პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

წელიწადი მერვე

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

კომუნისტი

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგე 18—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- 1 ლ აგვისტოს ვენაში გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ავსტრიაში ამხ. ბუნინი.
- საბჭოთა კრეისერი „ავრორა" ნორვეგიაში.
- ლენინგრადიდან სტოკჰოლმში გადაფრინდნენ საბჭოთა მფრინავები გლაგოლევი და შლიაპნიკოვი.
- 5 აგვისტოს ბრიუსელში გაიხსნება მეორე ინტერნაციონალის კონგრესი
- ინგლისის მრეწველების და ბანკირების მემორანდუმი.
- დამთავრდა საკავშირო თათბირი მებამბეობის შესახებ.

პარასკევი, 3 აგვისტო 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 178 (2221)

კომუნისტი

გრძელდება ხელისმოწერა აგვისტოსათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

მუშათა და გლეხთა დაწინაურების საკითხები

ჩვენი დაწესებულებათა მუშაობის გაჯანსაღების და მშრომელ მასებთან მათი დაახლოვების ერთ-ერთ მთავარ საშუალებას წარმოადგენს მუშათა და გლეხთა დაწინაურება სახელმძღვანელო თანამდებობებზე საბჭოთა აპარატში, სამეურნეო ორგანოებში, კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციებში. ამ საკითხს დიდი ხანია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ უმაღლესი პარტიული ინსტანციები, რომლებსაც არა ერთხელ გამოუციათ დირექტივები დაწინაურების საქმის სათანადო დონეზე დასაყენებლად.

ამ დირექტივების განხორციელების მხრივ მიღწევები უეჭველად გვაქვს. დაწინაურებულთა რაოდენობა თანდათან იზრდება. უმჯობესდება დაწინაურების მეთოდები და ფორმები; მას ეძლევა გეგმაშეწონილი ხასიათი; ამ საქმეში მატულობს მუშათა მასების და მათი ორგანიზაციების აქტივობა და როლი. ერთგვარი წარმატებანი გვაქვს დაწინაურებულთა მიზანშეწონილ გამოყენების დარგშიაც.

მაგრამ ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, სრულებით არ არის საკმარისი. სახელმძღვანელო სამუშაოებზე მუშათა და გლეხთა დაწინაურების საქმეს, აღნიშნულ მიღწევებთან ერთად, კიდევ ახასიათებს მრავალი, მეტად მნიშვნელოვანი ნაკლი, რომელთა აღმოფხვრისაკენ უნდა იქნეს ჩვენი საქმიანობა მიმართული. ამ მხრივ, სხვათა შორის საყურადღებოა საქ. კომპარტიის ა.-კ. საოლქო კომიტეტის სათანადო დადგენილება, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა.

პირველყოვლისა რამოდენიმე სიტყვა დაწინაურებულთა რიცხვის შესახებ. საქართველოში, მაგალითად, ასეთების რიცხვს ამჟამად დაახლოვებით სამ ათასს ანგარიშობენ. ეს ციფრი ჩვენ გადაჭარბებულად გვეჩვენება. საქმე ის არის, რომ დაწინაურებულთა კატეგორიას ხშირად აკუთვნებენ ისეთ მუშაკებს, რომლებიც შინსამმართველო წესით დაწესებულებებმა წინ წასწიეს სამუშაოზე. ამასთან, მათ საგრძნობ პროცენტს მოსამსახურენი შეადგენენ. დაწინაურება კი უნდა ტარდებოდეს პარტიული, პროფესიული და სხვა სათანადო ორგანიზაციების თაოსნობა - მონაწილეობით და ეხებოდეს მხოლოდ მუშებს და გლეხებს. ამ პირობების დაუცველობა ქმნის გაუგებრობას დაწინაურებულთა რიცხვის გამორკვევის დროს. საჭიროა ნამდვილად დაწინაურებულთა და სამსახურში წინ წაწეულთა განსაზღვრა და პირველთა სწორი არიცხვა.

შემდეგ: აღსანიშნავია დაწინაურებულ უპარტიო მუშების მეტად მცირე პროცენტი. უფრო ნაკლები ყურადღება ექცევა მუშა-ქალების დაწინაურებას. გლეხ და გლეხ-ქალთა დაწინაურების საქმე ხომ სულ ცუდათაა დაყენებული. ამ მიმართულებით მუშაობა უნდა იქნეს გაძლიერებული.

დაწინაურება უმთავრესად ტარდება პროფორგანიზაციების საშუალებით. ეს ასეც უნდა იყოს. მაგრამ ამ საკითხით უნდა დაინტერესდენ საბჭოებიც, კოოპერატივებიც, ნებაყოფლობითი საზოგადოებებიც. მცირე გამონაკლისის გარდა, ამას ჩვენ ვერ ვხედავთ, მაშინ როცა ამ მხრივ აქ ფართე შესაძლებლობა არსებობს. თვით პროფკავშირები ხშირად ვერ იჩენენ საკმაო აქტივობას და საკითხისადმი სწორ მიდგომას. საბოლოოდ უნდა აღმოიფხვრას აქა-იქ დარჩენილი პრაქტიკა (თუმცა იშვიათი გამონაკლისის სახით), როცა ამა თუ იმ პირის დაწინაურების საკითხი წყდება მარტო საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტში, მუშათა ფართე მასის აქტიურ მონაწილეობის გარეშე. ამასთან, უნდა განისაზღვროს ქვედა პარტორგანოების როლი დაწინაურების საქმეში: ისინი, ცხადია, ხელმძღვანელობას უნდა უწევდენ მთელ მუშაობას დაწინაურების დარგში, მაგრამ ამასთან სავსებით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ადგილობრივ პროფორგანიზაციების მონაწილეობა მუშათა დაწინაურებაში. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ასე არ არის: პარტუჯრედები არა მარტო ხელმძღვანელობენ ამ მუშაობას, არამედ პრაქტიკულადაც უშუალოდ ატარებენ მას, ისე რომ გვერდს უვლიან ძირითად პროფორგანოებს. ეს არანორმალური მოვლენაა, რომელიც უნდა აღმოიფხვრას.

ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად წარმოებს დასაწინაურებელთა შერჩევა. კარგად არ არის დაყენებული შესწავლა პარტ-პროფაქტივის, რომლის რიგებიდან დაწინაურებულნი გამოდიან. ამით აიხსნება, რომ დაწინაურებულს ზოგჯერ ისეთ სამუშაოზე გზავნიან, რომელიც სრულებით არ შეეფერება მის მომზადებას და მიდრეკილებას. ამით დაწინაურების იდეას ჩირქი ეცხება და მუშაობაც ფერხდება დაწესებულებაში, სადაც ასეთი პირი გაგზავნეს. არის შემთხვევები, როცა დაწინაურებულს, ახალ თანამდებობისათვის შეუფერებლობის გამო, უკან უხდება დაბრუნება. მეტი ყურადღება დასაწინაურებელთა შესწავლას, წინასწარ მომზადებას და შერჩევას—აი, რას გვიკარნახებს ასეთი მდგომარეობა.

შემდეგ, არა ნაკლებ მნიშვნელოვანია დაწინაურებულისათვის მუშაობის ხელსაყრელ პირობების შექმნა. ჩვენ ცოტა არ ვიცით ფაქტები, როცა დაწესებულებათა მუშაკები და ხელმძღვანელებიც კი აღმაცერად უყურებენ დაწინაურებულ ამხანაგს და დახმარებას არ უჩენენ მას თავის მოვალეობათა შესრულებაში. დაწინაურებულისადმი ასეთ დამოკიდებულებას გადამჭრელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. როგორც პროფკავშირებმა, ისე დაწესებულებათა მესვეურებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ დაწინაურებულისათვის მუშაობის გასაადვილებლად და მის კვალიფიკაციის ასაწევად.

ასეთია ზოგიერთი მთავარი ამოცანა, რომლებიც ჩვენს წინაშე დგანან დაწინაურების საქმის ჯეროვან დონეზე დასაყენებლად. ამ ამოცანების გადაჭრას დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა და სხვა აპარატების შემადგენლობის გადახალისების, ბიუროკრატიზმის მოსპობის და საერთოდ ჩვენი დაწესებულება ორგანიზაციების მუშაობის გაჯანსაღებისათვის. ამავე დროს დაწინაურების სისტემა ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, იმისათვის, რომ მუშებმა და გლეხებმა პრაქტიკულად შეისწავლონ ქვეყნის მმართვა და სამეურნეო მოღვაწეობა. ამიტომ დაწინაურების საკითხებს უნდა ექცეოდეს მუდმივი და სერიოზული ყურადღება პარტიულ, პროფესიულ და სხვა სათანადო ორგანიზაციების მხრით.

ღვარძლიანი, მაგრამ უძლური გამოლაშქრება

სამი დღის წინად მოვიყვანეთ საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობა პოლონეთის დიპლომატიის სულელური ამაშფოთებელი გამოსვლის შესახებ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, დიპლომატიის, რომელმაც თავის ოფიციალურ განცხადებებში უმიზეზოდ განიზრახა საბჭოთა მთავრობისათვის „ბრალდების" წაყენება იმაში, რომ მის ტერიტორიაზე მუშაობას ეწევა კომუნისტური ინტერნაციონალი და, რომ კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის წევრი ბუხარინი გამოდის კონგრესზე სიტყვით, რომელიც „არ მოსწონს" პოლონეთის ფაშისტურ დერჟიმორდებს.

ჩვენ უკვე შევაფასეთ პოლონეთის დიპლომატიის ეს მორიგი ანტისაბჭოთა მანევრი, რომელიც „პოლონეთის შინაურ საქმეებში ჩარევაზე" ლაყბობით სცდილობს ზოგიერთი მეტად ბნელი საქმის მოგვარებას. საჭიროდ მიგვაჩნია დღესაც შევჩერდეთ ამ უხეშ და თავხედურ ანტისაბჭოთა გამოლაშქრებაზე, მით უფრო, რომ ზოგიერთების სურვილით იწყება საზიზღარი ანტისაბჭოთა წასისიახება, რომელიც ნამდვილ საერთაშორისო ანტისაბჭოთა კამპანიის ხასიათს ღებულობს. პოგრომული ფაშისტური ფურცლები და გაზეთები, რომელთა სპეციალობასაც შეადგენს მუშების დახრჩობისა და პროლეტარული დემონსტრანტების დახვრეტისაკენ მოწოდება და აგრეთვე კავერდებისა, ვოიცეხოვსკებისა და ბნელი საქმეების სხვა თეთრგვარდიელი ოსტატების შექება,—ეს უსაზიზღრესი, თავზე ხელაღებული პრესა აჩაღებს უმაგალითო ანტისაბჭოთა კამპანიას და ცდილობს პოლონეთის შელახული „ეროვნული თავმოყვარეობის" მომიზეზებით უფრო მეტად გაამწვავოს, პოლონეთის არა ლოიალური პოლიტიკის მეოხებით, ისედაც საკმაოდ გამწვავებული პოლონეთ - საბჭოთა ურთიერთობა.

სცენაზე გამოჩნდნენ ანტისაბჭოთა წასისიანების სხვა უფრო გავლენიანი სპეცებიც, ჩვენი ძველი ნაცნობები — ინგლისური „დეილი ტელეგრაფ"-ი, ფრანგული „ტან"-ი და სხვა გაზეთები, რომლებიც იქითკენ იბრუნებენ პირს, საითკენაც ქარი ჰქრის. პოლონეთის პროვოკაციის ანკესს წამოეგო გერმანიის გაზეთების ერთი ნაწილიც, მათ შორის, რა თქმა უნდა, ამჟამად „სახელმწიფო" „ფორვერტს"-იც.

რაშია საქმე?

რაში სდებენ „ბრალს" ასე თავხედურად საბჭოთა მთავრობას ანტისაბჭოთა ცილისმწამებლები? საბჭოთა მთავრობის რომელი „ბოროტი საქმეა" „გამოყენებული" მორიგი ანტისაბჭოთა იერიშებისათვის?

ის, რომ კომინტერნი და საბჭოთა კავშირი „ერთი და იგივეა", რა ვერსიაც იმ ფაქტით მტკიცდება, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გაიმართა კომინტერნის მე-6 კონგრესი. მართლაც, რომ მეტად „საიდუმლო" და გასაოცრად „ახალი" ფაქტია, არა? კომუნისტური ინტერნაციონალის კონგრესი და კომინტერნის აღმასკომის სხდომები პირველად არ იმართება პროლეტარული დიქტატურის ქვეყანაში და უნდა იცოდნენ ბატონმა იმპერიალისტებმა, რომ მომავალშიაც გაიმართება. რატომ ეხლა გაჩაღდა კვლავ ანტისაბჭოთა კამპანია ჩვენს დასავლეთ საზღვარზე? სჩანს, საქმე ამაში არაა. სჩანს, აქ „სხვა განზრახვაა".

შეიძლება საქმე იმაშია, რომ კომინტერნის კონგრესმა ან ბუხარინმა მოუწოდეს რევოლიუციონერ მუშებს და, მათ შორის, პოლონეთის რევოლიუციონერ მუშებს, ისე მოიქცნენ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის დროს, როგორც ეს პროლეტარ რევოლიუციონერებს შეჰფერის? ეს საშინელი „ახალი ამბავი" დიდი ხნის წინად უნდა სცოდნოდა კარგად მთელ ქვეყანას.

ლენინის ცნობილ თხზულებებში, რომლებიც მრავალ უცხო ენაზეა გადათარგმნილი, ლაპარაკია პროლეტარ რევოლიუციონერების შეურიგებელ ბოლშევიკურ პოზიციაზე ომის დროს. შეიძლება პატეკმა მოსთხოვოს საბჭოთა მთავრობას, რომ მან „ცეცხლს მისცეს" ლენინის თხზულებები, ვინაიდან ისინი თითქოს რიგის ხელშეკრულების მე-5 მუხლს „არღვევენ"?

ომის საფრთხის საკითხისადმი კომინტერნის დამოკიდებულების შესახებ უკვე დიდი ხანია გამოქვეყნებულია კომინტერნის აღმასკომის მე-IX პლენუმის ცნობილი გადაწყვეტილებანი. ჩვენ არც ვფიქრობთ იმის უარყოფას, რომ ეს გადაწყვეტილებანი არ მოსწონს პოლონეთის გენერალურ ოლიგარხიას. მაგრამ პოლონეთის მთავრობას არაფერი განუცხადებია მაშინ ამის შესახებ. რატომ მაინცა და მაინც ეხლა არ აძლევს მოსვენებას პოლონეთის ავანტიურისტებს ამხ. ბუხარინის მოხსენება? მაშასადამე, საჭიროა უფრო ღრმად, უფრო „ძირში შევხედოთ" საქმეს.

იქნებ პოლონეთის დიპლომატია „აღელვა" იმ „სენსაციურმა აღმოჩენამ", რომ საკავშირო კომპარტია (ბ)—საბჭოთა კავშირის მმართველი პარტია— კომუნისტური ინტერნაციონალის სექციას წარმოადგენს? დაუშვათ, რომ ეს ასეა. მაგრამ ეს ხომ ასე იყო კომინტერნის დაარსებიდანვე და ამას ხომ თავის დროზე არ შეუშლია ხელი მრავალი ხელშეკრულებების დადებისათვის პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. სავსებით „შესაძლებელია",—და არა თუ შესაძლებელი, აუცილებელიც—და ასეც უნდა იყოს,—რომ ფაშისტურ პოლონეთს „არ მოსწონს" პროლეტარიატის დიქტატურის არსებობა ჩვენს ქვეყანაში. ეს მართალია, მაგრამ, როგორც ჩვენ, ისე პოლონეთის მუშებსა და გლეხებს, არა ნაკლებ „არ მოსწონთ", რომ პოლონეთში ფაშისტური რეჟიმი არსებობს. მაგრამ, ჩვენ ხომ ამ მიზეზის გამო არ ვსწერთ პატეკის განცხადების მსგავს ნოტებს და არ ვეწევით ბოროტ თამაშს ორივე ქვეყნის ნორმალურ ურთიერთობის გაწყვეტის მიზნით.

ჩვენ დიდათ „არ მოგვწონს" მოღალატე სოციალ-დემოკრატია და მთელი კონტრ-რევოლიუციონური მე-2 ინტერნაციონალი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საბჭოთა მთავრობა არ ფიქრობს საქმიანი დამოკიდებულების ჩაშლას იმ ქვეყნებთან, სადაც მე-2 ინტერნაციონალი „იკრიბება" და სადაც სოციალ-დემოკრატიას სრული ხელისუფლება ან ხელისუფლების „ნაგლეჯი" აქვს. ჩვენ „არ მოგვწონს" აგრეთვე ისეთი დაწესებულებები, როგორიც ვატიკანია, რომელიც გააფთრებით ებრძვის ბოლშევიზმს, როგორიც ყაჩაღური ერთა ლიგაა, რომელიც ანტისაბჭოთა ბრძოლას აწყობს და ხელს აფარებს მას. როგორც ვიცით, პოლონეთის მთავრობის წევრები შედიან ამ მაინცა და მაინც არა დიდათ საპატიო დაწესებულებებში, ან და ახლო კავშირი აქვთ მათთან. მერე, განა ამიტომ საბჭოთა მთავრობამ ოფიციალურად უნდა განაცხადოს, რომ ეს რიგის ხელშეკრულების დარღვევაა?

ყველა ეს თეთრი ძაფით ნაკერი „მოსაზრება", რომელთაც მორიგი ანტისაბჭოთა კამპანიისათვის იყენებენ, გროშ-ფარად არა ღირს. ხელი ჩაჰკიდეს ამხ. ბუხარინის მოხსენებას კონგრესზე.

მაგრამ საქმე ამაში როდია.

საქმე იმაშია, რომ როცა იმპერიალისტური მსოფლიო რაიმე საძაგელ საქმეს აწყობს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ყოველთვის პირველ პლანზე ჩნდება სულელური და გაცვეთილი არაკი კომინტერნისა და საბჭოთა მთავრობის „იგივეობაზე". უსაქმო კალმოსნები ათასი ვერსის მანძილიდან ცდილობენ „დაინახონ" ამხ. რიკოვი. ვითომ და კომინტერნის კონგრესის პრეზიდიუმში. ხვალ, ალბად, ისინი ამხ. ჩიჩერინსაც „შეიყვანენ" პრეზიდიუმში. ფაქტების დამახინჯება ბურჟუაზიულ ჟურნალისტებისათვის საძრახისი კი არა, სამაყო საქმეა.

პოლონეთის ღვარძლიანი ანტისაბჭოთა გამოლაშქრების აზრის გაგება ძნელი არ არის. საქმე იმაშია, რომ პოლონეთის შინაური და საგარეო მდგომარეობა არც იმდენად მყარია; ამან არ შეიძლება გავლენა არ იქონიოს პოლონეთის მთავრობის სიმტკიცეზე და, ეს გარემოება მის პოლიტიკას ნერვიულ, მოუფიქრებელ და ავანტიურისტულ ხასიათს აძლევს.

პოლონეთის ფაშიზმი მოსყიდული პრესის საშუალებით ცდილობს ასტეხოს განგაში და დაიწყოს კამპანია „შინაური" და „გარეშე" მტრის წინააღმდეგ. ამ გზით მას სურს კვლავ სისხლით მორწყოს მუშათა უბნები, გაიადვილოს რევოლიუციონერებთან, როგორც „მოღალატეებთან", გასწორება და შეასუსტოს გაძლიერებული მუშათა მოძრაობა.

საგარეო პოლიტიკის დარგში პოლონეთის ეს გამოლაშქრება მიზნად ისახავს საბჭოთა კავშირზე თავდასხმით გვერდი აუხვიოს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, რათა კვლავ გაუადვილოს თეთრგვარდიელ მკვლელებს ტერორისტული მუშაობა და კვლავ აამოქმედოს თეთრგვარდიელ ყაჩაღთა ბუნაგის ბნელი ძალები.- აი, რატომ იყო საჭირო გაღმა შედავება. აი, რატომ იყო საჭირო ახალი უხეში ანტისაბჭოთა ინტრიგა.

მაგრამ ახალი საზიზღარი ანტისაბჭოთა კამპანიის ინიციატორები სამი მიმართულებით მოსტყუვდებიან ანგარიშში.

კომინტერნი კიდევ უფრო ენერგიულად გასწევს დიად მსოფლიო-რევოლიუციონურ მუშაობას. კომინტერნის „აკრძალვა" — აბსოლუტურად უიმედო ფიქრია. არ შეიძლება გაძლიერებული კლასობრივი ბრძოლის „აკრძალვა". არ შეიძლება იმპერიალისტური რეაქციის ბნელი ღამის შემდეგ კაცობრიობის განთავისუფლების გარიჟრაჟის შეჩერება.

პოლონეთის მუშები და გლეხები კიდევ უფრო ძლიერ შეებრძოლებიან პოლონეთის აღვირახსნილ ფაშიზმს.

ის, ვინც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კვლავ აწყობს სახიფათო ინტრიგას, საცოდავად და სამარცხვინოდ მოსტყუვდება. ეს ინტრიგა მათ წინააღმდეგ შებრუნდება.

„პრავდა" 2 აგვისტო.

ჩემბერლენის განცხადება ჩინეთში შექმნილ მდგომარეობის შესახებ

„ინგლისისათვის ხელსაყრელია ერთი მთავრობის ძალაუფლების ქვეშ გაერთიანებული ჩინეთი"

გერმანია ურჩევს პოლონეთს ხელი შეუწყოს პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის გადაწყვეტას

ინგლისისათვის ხელსაყრელია გაერთიანებული ჩინეთი

ლონდონი, 1 აგვისტო. 31 ივლისს თემთა პალატაში ჩემბერლენის სიტყვის დროს მუშათა პარტიის დეპუტატმა მელონმა შეიტანა შეკითხვა: „როგორია ჩვენი დამოკიდებულება იაპონიის ინტერვენციის მიმართ ჩინეთში"-ო. ჩემბერლენმა უპასუხა: „მანჯურიას ჩვენ ჩინეთის ნაწილად ვცნობთ. ჩვენ ვაღიარებთ, რომ იაპონიას მანჯურიაში დიდი ინტერესები აქვს, მაგრამ **ინგლისის ინტერესებისათვის ხელსაყრელია ერთი მთავრობის ქვეშ გაერთიანებული ჩინეთი**, რომელიც იკისრებს ვალდებულებათა შესრულებას". (ადს).

გერმანიის დიპლომატიური ნაბიჯები

ბერლინი, 1 აგვისტო. გერმანიის პრესაში გამოქვეყნებულია ოფიციოზური ცნობა იმის შესახებ, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთ დეპარტამენტის დირექტორმა თავის გუშინდელ საუბარში პოლონეთის ელჩთან ბერლინში აღნიშნა, რომ **საჭიროა ხელი შეეწყოს პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის მოგვარებასო.**

საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციოზური ორგანო „დეიჩე დიპლომატიკ პოლიტიშე კორესპონდენც"-ი სწერს:

„პოლონეთის ელჩთან ამ საუბრის დროს მეგობრულ მითითებათა საქმეში **თავიდან აცილებულ იქმნა ცალმხრივობა არა მარტო გერმანიის, არამედ დანარჩენი დიდი სახელმწიფოების მხრივ. ამჟამად გერმანია ცდილობს, რომ ამ სახელმწიფოებმაც მოახდინონ გავლენა პოლონეთზე და აუხსნან მას გამწვავებული მდგომარეობის შენელების საჭიროება.** გერმანიის მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს ნამდვილი თანასწორობა ახასიათებს—ეს ნაბიჯები არ არის მიმართული ვისიმე სეპერატიული ინტერესების სასარგებლოდ. (ადს).

პოლონეთში საიდუმლოდ გამოცხადდა საალყო წესები?

ბერლინი. 1 აგვისტო. გაზეთი „ვეიხსელ ცაიტუნგ"-ი, რომელიც გამოდის მარიენ ვერდერში, იუწყება, რომ პოლონეთში გამოცხადდა საალყო წესები. სამხედრო მანევრები რომლებიც სწარმოებდა გერდაუენში, უცებ შესწყდა, სამხედრო ნაწილები დააბრუნეს თავიანთ გარნიზონებში და ისინი მზად არიან საომრად.

მიუხედავად იმისა, რომ ვარშავა უარჰყოფს ამ ცნობის სისწორეს, გაზეთი ამტკიცებს რომ ცნობა მიღებულია უდავოდ სარწმუნო წყაროებიდან. „თუ საალყო წესები არ არის გამოცხადებული ვარშავას და სხვა ქალაქებში—სწერს გაზეთი—იგი ყოველ შემთხვევაში გამოცხადებულია სანაპირო რაიონებში და, კერძოდ, პომერანიაში".

გაზეთი „ვესტპრეისიშე ტაგებლატ" იუწყება, რომ პოლონეთის სამხედრო ნაწილებიდან გამოქცეულნი ადასტურებენ საალყო წესების საიდუმლოდ გამოცხადების ფაქტს. გამოქცეულებმა განაცხადეს, რომ პოლონეთის ჯარები გამოვიდენ მანევრებზე საომარი ვაზნებით. პოლონეთ-ლიტვის და აგრეთვე გერმანია-პოლონეთის საზღვარზე მოახდინეს ჯარების დიდი გადაჯგუფება.

სხვა წყაროებიდან იუწყებიან, რომ სადგურ გრაუდენცზე დაგროვილია ბევრი ვაგონი ჯარებით. ქალაქი გრაუდენცი სავსეა ჯარებით, რომლებშიც ბევრია მფრინავი. (ადს).

პოლონეთი უარჰყოფს

ვარშავა, 1 აგვისტო. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო უარჰყოფს გერმანიის წყაროების ცნობას საალყო წესების გამოცხადების შესახებ პოლონეთის ზოგიერთ სანაპირო ოლქში და აღნიშნავს, რომ პოლონეთში საალყო წესები არსად არ გამოცხადებულა.

სახლი, სადაც ცხოვრობდა ლენინი

ბერლინი, 1 აგვისტო. იმ დადგენილების შესასრულებლად, რომელიც ციურიხის ქალაქის საბჭომ ორი წლის წინად (ქალაქის საბჭოს უმრავლესობას მაშინ სოციალ-დემოკრატები და კომუნისტები შეადგენდნენ) გამოიტანა, **სახლს, სადაც ცხოვრობდა ლენინი იმპერიალისტური ომის დროს — შპიგელშტრასე № 14, მიაკრეს მარმარილოს დაფა შემდეგი წარწერით: „1916 წლის 21 თებერვლიდან 1917 წ. 2 აპრილამდე აქ ცხოვრობდა ლენინი — რუსეთის რევოლიუციის ბელადი"** (ადს).

მრეწველთა და ბანკირთა მემორანდუმი

ლონდონი, 1 აგვისტო. 270 თვალსაჩინო მრეწველმა, კომერსანტმა, ბანკირმა და სხვებმა პრემიერ ბალდუინს გადასცეს მემორანდუმი, რომლითაც ისინი მოითხოვენ, რომ ინგლისის მთავრობამ **„ყოველგვარი საშუალებით ხელი შეუწყოს იმ მოძრაობას, რომელიც მიმართული იქნება საერთაშორისო თავისუფალი ვაჭრობის დასამყარებლად".** მემორანდუმზე ხელის მომწერთა შორის ბევრია მძიმე მრეწველობის წარმომადგენელი.

ინგლისის პოლიტიკურ წრეებში მემორანდუმის გადაცემას უყურებენ, როგორც **საპასუხო მანევრს, მიმართულს იმ პროტექციონისტული პოლიტიკის კამპანიის წინააღმდეგ,** რომელსაც ბოლო დროს ზოგიერთი კონსერვატორები ანვითარებენ. (ადს).

მეორე ინტერნაციონალის კონგრესი

ბერლინი, 2 აგვისტო. მე-2 ინტერნაციონალის კონგრესი გაიხსნება 5 აგვისტოს ბრიუსელში. კონგრესის დღიურ წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები: საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა და მუშათა მსოფლიო მოძრაობა, მილიტარიზმი და განიარაღება, კოლონიალური საკითხი, ომის შემდეგი დროის ეკონომიკა, მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობა და სხვა (ადს).

სამხედ. სამსახურის მოწინააღმდეგეთა კონფერენცია

ვენა, 1 აგვისტო. ზონტაგსბერგში მოხდა სამხედრო სამსახურის მოწინააღმდეგეთა საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციაზე მონაწილეობა მიიღეს ავსტრიის, გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის, ჩეხო-სლოვაკიის, შეერთებულ შტატებისა და ინდოეთის დელეგატებმა (ადს).

ამხ. ბუხარინის სიტყვის გამოძახილი

პოლონეთის დუდუკზე

რეველი, 1 აგვისტო. კომინტერნის მე-6-ე კონგრესზე ბუხარინის მიერ წარმოთქმულ სიტყვას „პიაევალკტ"-ი უძღვნის წერილს. გაზეთი სწერს:

„დღემდე საბჭოთა მთავრობა უარს ამბობდა კომინტერნის აგიტაციისათვის პასუხისმგებლობაზე და აცხადებდა, რომ მას საერთო არაფერი აქვს ამ უკანასკნელთან. ეხლა კი ოფიციალური წყაროებიდან ვიცით, რომ საბჭოთა მთავრობა და კომინტერნი ერთი და იგივეა, რომ საბჭოთა მთავრობა ომს ამზადებს პოლონეთის წინააღმდეგ და რომ ამ ომში პოლონელმა კომუნისტებმა მოსკოვის ჯაშუშების როლი უნდა ითამაშონ". (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

ექსტერიტორიალობის უფლებები შეერთებული შტატების მოქალაქეთათვის ჩინეთში

ვაშინგტონი, 1 აგვისტო. ასოშიეტედ პრესის სააგენტოს სიტყვით, შეერთებული შტატების მთავრობა ამჟამად არ არის თანახმა, რომ გაუქმებულ იქნეს ექსტერიტორიალობის უფლებები ამერიკის მოქალაქეთათვის ჩინეთში. იგი წინააღმდეგია, რომ ის საქმეები, რომლებიც შეეხებიან ამერიკის მოქალაქეებს, გადასცეს ჩინეთის სასამართლოებს (ადს).

სუნ-ფოს მოლაპარაკება შეერთებულ შტატებთან

ნიუ-იორკი, 1 აგვისტო. ჩამოვიდა ნანკინის ყოფილი მინისტრი, **სუნ-იატსენის** შვილი, **სუნ-ფო,** რომელიც მოლაპარაკებას დაიწყებს ამერიკის საქმიან წრეების ხელმძღვანელებთან ამერიკის კაპიტალის მონაწილეობის შესახებ ჩინეთის სახალხო მეურნეობის აღდგენაში (ადს).

უთანხმოება ინგლისის კაბინეტში

ლონდონი, 1 აგვისტო. რეიტერის ცნობით, კაბინეტმა მსჯელობა იქონია იმ უთანხმოებათა შესახებ მინისტრთა შორის ბაჟების საკითხში, რომელმაც თავი იჩინა ზოგიერთი მინისტრის უკანასკნელი გამოსვლის დროს. ბოლდუინი იცავდა კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპს მინისტრთა საჯარო გამოსვლების დროს. კაბინეტის იმ წევრებმა, რომლებიც ბოლდუინს მხედველობაში ჰყავდა დაარწმუნეს იგი, რომ მათ არა აქვთ არავითარი სურვილი დაბრკოლებები შეუქმნან მას. როგორც ამბობენ, აღნიშნულმა მინისტრებმა მიიღეს საბაჟო პოლიტიკის ის პრინციპები, რომელსაც ბოლდუინი იცავდა.

დარბაზობა „ავრორა"-ს ნორვეგიაში მისვლის გამო

ოსლო, 1 აგვისტო. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„საბჭოთა საელჩოს მდივანი, „ავრორა"-ს უფროსი რალი და კომისარი ვოლკოვი სადარბაზოდ იყვნენ თავდაცვის მინისტრთან, აკერსხუსის ციხის კომენდანტთან და საზღვაო მოხელეებთან.

საღამოთი „ავრორა" ინახულა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელმა ნორვეგიაში კოლონტაიმ.

ნორვეგიის მხრივ საპასუხო დარბაზობა მოხდება ხვალ. სანაპირო იქ, სადაც „ავრორა" სდგას, მორთულია წითელი დროშებით. ადგილობრივმა კომუნისტურმა ორგანომ მისალმება კრეისერის ეკიპაჟისადმი რუსულ ენაზე მოათავსა. (ადს).

ნობილეს ექსპედიციის გარშემო



„კრასინ"-ის ექსპედიციის უფროსი პროფ. სამოილოვიჩი და ყინულის მჭრელის კაპიტანი ეგგე

ცნობა ამხ. სამოილოვიჩისაგან

მოსკოვი, 2 აგვისტო. „იტალია"-ს დამხმარე კომიტეტმა ამხ. სამოილოვიჩისაგან მიიღო შემდეგი ცნობა: ზღვაზე დიდი ღელვის გამო, „კრასინი" განშორდა „მონტე სერვანტეს" და მისგან 30 საჟენის მანძილზე გაჩერდა. „მონტე სერვანტესის" შეკეთება მეტად მძიმე პირობებში გრძელდება. „კრასინის" მესამე მექანიკოსმა მუშაობის დროს ფეხი დაიშავა. „კრასინის" ეკიპაჟი ყოველ ღონეს ხმარობს მუშაობის დასაჩქარებლად. (ადს).

„მალიგინ"-ის ექსპედიციის წევრები მოსკოვში

მოსკოვი. 2 აგვისტო. 2 აგვისტოს მოსკოვში ჩამოვიდნენ „იტალია"-ს დამხმარე კომიტეტისათვის მოხსენების წარსადგენად პროფ. ვიზე და ექსპედიციის ჰიდროგრაფი ლავროვი. ამავე დღეს არხანგელსკიდან ჩამოვიდნენ ბაბუშკინი, მექანიკოსი გროშევი და აღმოსავლეთის ექსპედიციის წევრი და საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტის თავმჯდომარე სტრელკოვი.

ექსპედიციის წევრებს შეხვდნენ თავდაცვა ავიაქიმის მდივანი მილნოვსკი, „იტალია"-ს დამხმარე კომიტეტის თანამშრომლები და საბჭოთა და ამერიკის პრესის წარმომადგენლები (ადს).

პროფ. ვიზე ამუნდსენისა და ალექსანდრის ბედის შესახებ

მოსკოვი, 2 აგვისტო. პროფ. ვიზემ ამუნდსენისა და ალექსანდრის ჯგუფის ბედის შესახებ განაცხადა:

„მე დარწმუნებული ვარ, რომ ამუნდსენი და მისი თანამგზავრები ცოცხლები არიან. პოლიარული ქვეყნების ისეთი მცოდნე, როგორც ამუნდსენია, აეროპლანის იძულებით დაშვების დროს, დახმარების მოლოდინში გაატარებს არამც თუ თვეს, არამედ მთელ წელიწადსაც. იმ რაიონებში, სადაც ალბად ამუნდსენის ექსპედიცია დაეშვა, ბევრი დათვი და ირემია, რომელთა ხორცითაც შეუძლიათ კვება. რაც შეეხება ალექსანდრის ჯგუფს, რომლის წევრები არ იცნობენ ჩრდილოეთის პირობებს,—მისი მდგომარეობა უფრო ცუდია მაგრამ ამ შემთხვევაშიაც, რადგან ისინი შეიარაღებულნი არიან, დიდ ხანს გაძლებენ". (ადს).

ნაწილები ჩუხნოვსკის თვითმფრინავისთვის

ლენინგრადი, 2 აგვისტო. დღეს, კოკისპირული წვიმის მიუხედავად სტოკჰოლმში გაფრინდა ჰიდროპლანი, რომელსაც თან მიაქვს ნაწილები ჩუხნოვსკის თვითმფრინავისთვის. (ადს).

ლენინგრადიდან — სტოკჰოლმში

სტოკჰოლმი, 2 აგვისტო. 1 აგვისტოს, 15 საათზე, ლენინგრადიდან თვითმფრინავი გადმოფრენილი საბჭოთა მფრინავები **გლაგოლევი** და **შლიაპნიკოვი** იმავე დღეს 20 საათზე მოვიდნენ სტოკჰოლმში.

თვითმფრინავმა აპარატის სათადარიგო ნაწილები მიუტანა **ჩუხნოვსკის.** (ადს).

კომინტერნის მე-VI მსოფლიო კონგრესი

31 ივლისის საღამოს სხდომა

ამხ. ბელის მოხსენება იმპერიალისტური ომების საფრთხესთან ბრძოლის შესახებ

მოსკოვი, 2 აგვისტო. კომინტერნის კონგრესის 31 ივლისის საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ბელის (ინგლისი) მოხსენება იმპერიალისტური ომების საფრთხესთან ბრძოლის შესახებ.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ კომისიის დადგენილებით ომის საფრთხესთან ბრძოლის საკითხზე გამოვა ოთხი თანამომხსენებელი. ამხ. ბელი ამბობს, რომ თითქმის სრულებით არ არსებობს მასალები კომპარტიების მოქმედების შესახებ ომის საფრთხესთან ბრძოლაში, რაიც ამტკიცებს ჩვენი სექციების თეორეტიულ მოუმზადებლობას ამ საქმეში.

კომინტერნის ბევრი სექციისათვის,—ამბობს ამხ. ბელი,—ომი წარმოადგენს საკმაოდ შორეული მომავლის საქმეს. სწორედ ამიტომ მოვაგონებთ ლენინის მითითებას იმაზე, რომ რევოლიუციონური თეორიის გარეშე არ არსებობს რევოლიუციონური მოძრაობა.

მე ვფიქრობ, ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ ომის აუცილებლობაზე და მის შესაძლებლობაზე ახლო მომავალში. ზოგიერთი ამხანაგი ამბობს, რომ აუცილებლობის რწმენა პასიობას იწვევსო; ომის აუცილებლობაზე ლაპარაკი ისევე სახიფათოა, როგორც ომის აღიარება შორეული მომავლის საკითხადო. მაგრამ მე მგონია, უმჯობესია ანგარიში გაუწიოთ ეხლანდელი სიტუაციის რეალობას და გავაძლიეროთ ბრძოლა ომთან ეხლა, ვიდრე გამოვიჩინოთ პასიობა იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ შორსაა.

ინგლის-ამერიკის მეტოქეობა

როგორია ომის სიახლოვის ობიექტიური სიმპტომები? მრავალ სიმპტომიდან ჩვენ უპირველეს ყოვლისა თვალში გვეცემა ანტაგონიზმი და მეტოქეობა ამერიკასა და დიდ ბრიტანეთს შორის, როგორც ძირითადი წინააღმდეგობა იმპერიალისტების ბანაკში.

ეკონომიურმა წინააღმდეგობამ დიდ ბრიტანეთსა და ამერიკას შორის თავისი აშკარა სამხედრო-პოლიტიკური გამოხატულება ჰპოვა ზღვაზე მეტოქეობაში, რომელმაც უკანასკნელ წლებში მეტად ფართო ხასიათი მიიღო. ამერიკას უნდოდა უომრათ, თავის ეკონომიურ უპირატესობაზე დაყრდნობით, აეძულებია ინგლისი საბოლოოდ აეღო ხელი თავის ძველ პოლიტიკურ პრინციპზე—მსოფლიოში უძლიერესი ფლოტის ყოლაზე, აეძულებია ინგლისი დათანხმებულიყო იმაზე, რომ მას ჰყოლოდა ისეთივე ფლოტი, როგორიც ინგლისს ჰყავს. 1927 წლის ზაფხულში, ამერიკის ინიციატივით ჟენევაში გაიმართა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების, დიდ ბრიტანეთის და იაპონიის საზღვაო კონფერენცია. დიდმა ბრიტანეთმა არ დაუთმო ამერიკას, და ჟენევის კონფერენცია უშედეგოთ დამთავრდა. კონფერენციის შემდეგ დაიწყო გააფთრებული მზადება ახალი გემების ასაგებად, განსაკუთრებით ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების მხრივ.

ამერიკისა და ინგლისის პრესას შემდეგი ოფიციალური ცნობები მოჰყავს შეერთებული შტატების ახალი საზღვაო პროგრამის შესახებ: კანონპროექტი ითვალისწინებს ფლოტის 71 ერთეულის აგებას უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში, მათ შორის აგებული იქნება 25 კრეისერი—10.000 ტონა წყალტევით თითო, 5 ავიომზიდავი, 9 ნაღმოსანი და 32 წყალქვეშა ნავი. ამ პროგრამის დასაბუთების დროს ვილბურმა განაცხადა: ის ფაქტი, რომ დიდი ბრიტანეთი აუცილებლად სცნობს შედარებით დიდი ტონაჟის კრეისერების აგებას, მიუხედავათ სხვა სახელმწიფოების საზღვაო პროგრამისა, ნათლად ამტკიცებს იმას, რომ ჩვენთვისაც აუცილებელია დიდი ტონაჟის კრეისერები, მიუხედავათ სხვა სახელმწიფოების საამშენებლო პროგრამისაო. ვილბურმა თავის სიტყვაში წამოაყენა არგუმენტი „ვაჭრობის დაცვის" აუცილებლობის შესახებ და განაცხადა: ჩვენს ვაჭრებს და ფაბრიკანტებს საშუალება უნდა მიეცეთ მტკიცედ მოიდგან ფეხი უცხოეთის ბაზრებზე, სადაც ისინი დამკვიდრდნენ, და იმის მიხედვით, რამდენადაც ევროპაში კვლავ დამყარდება ნორმალური სიტუაცია, ჩვენ უნდა გამოვნახოთ ახალი ბაზრები ჩვენი პროდუქციისათვისო. ეროვნული დროშის დემონსტრაცია მნიშვნელოვან სტიმულს აძლევს ჩვენი საქმიანი წრეების ბრძოლას ახალი გამსაღებელი ბაზრებისათვის და ამ ბრძოლის წარმატება საგრძნობლად არის დამოკიდებული იმ პრესტიჟზე, რომელსაც სახელმწიფოს შეუქმნიან თანამედროვე კრეისერებიო.

ვილბურმა თავისი განცხადება გააკეთა 1928 წლის 11 იანვარს, ორი დღის შემდეგ მან ოფიციალურად განაცხადა, რომ სამხედრო გემების ასაგებად შეერთებულ შტატებს განზრახვა აქვს უახლოესი 20 წლის განმავლობაში დახარჯოს 2.570.000.000 დოლარი.

ეს 20 წლიანი პროგრამა შეიცავს 23 დიდი კრეისერების აგებას—10.000 ტონა წყალტევით თითო,—მრავალი წყალქვეშა ნავების და საესკადრო ნაღმოსნების აგებას. ვილბურის აზრით, თუ ეს პროგრამა შესრულდა, ამერიკის ფლოტი შესძლებს გადასწყვიტოს „მის წინაშე მდგომი თავდაცვითი ხასიათის ამოცანები", თუმცა ეს პროგრამა დაარღვევს ვაშინგტონის შეთანხმებით გათვალისწინებულ ძალთა განწყობილებას.

უფრო დამახასიათებელია განცხადება ამერიკელი ადმირალის პლენკეტისა, რომელმაც 1928 წლის 23 იანვარს ნიუ-იორკში წარმოსთქვა სიტყვა შემდეგ თემაზე: უნდა ჰყავდეს თუ არა შეერთებულ შტატებს ისეთი ფლოტი, რომელიც მსოფლიოში უდიდესი ფლოტის ოდენა იქნება? პლენკეტმა სთქვა: „ჩვენ ეხლა უფრო ახლო ვართ ომის საფრთხესთან, ვიდრე ოდესმე, ვინაიდან ვაჭრობაში ჩვენ ვიცავთ კონკურენციის პოლიტიკას და სხვა ერების ადგილს ვიჭერთ. ასეთი პოლიტიკა აუცილებლად იწვევს ომს. თუ თქვენ მოინდომებთ ზღვებზე კონტროლის უფლების მიღებას, თქვენ უნდა იომოთ,—ეს ისევე მართალია, როგორც ის, რომ თქვენ ეხლა სხედხართ ამ შენობაში. რამდენადაც ჩვენ ვატარებთ ჩვენს ეხლანდელ პოლიტიკას, ომი სავსებით აუცილებელია".

შეკითხვაზე—აქვს თუ არა მას მხედველობაში ომი დიდ ბრიტანეთთან,—პლანკეტმა უპასუხა: „დიახ, მე მხედველობაში მაქვს დიდი ბრიტანეთი ან სხვა რომელიმე ერი, რომლის ინტერესებსაც შეეხებიან. დიდი ბრიტანეთი ჩვენ უცებ არ გამოგვიცხადებს ომს, იგი ომს გამოაცხადებინებს ერთ-ერთ რომელიმე პატარა ერს და თვითონ მის ზურგს უკან დაიმალება".

ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ მომავალ წლებში ადგილი ექნება სამხედრო და პოლიტიკურ მზადებას მომავალი ომისათვის. ამ ომის უმთავრესი მონაწილე დიდი ბრიტანეთი და ამერიკა იქნება.

ინგლის - საფრანგეთ - იტალიის მეტოქეობა

წინააღმდეგობათა მეორე ჯგუფს წარმოადგენს ურთიერთობა დიდ ბრიტანეთსა, საფრანგეთსა და იტალიას შორის. ჯერ კიდევ ამას წინად ევროპა იყოფოდა ორ ბანაკად: ინგლისის და საფრანგეთის ბანაკად. მაგრამ შარშან მოხდა ინგლისის დიპლომატიის პოზიციის ერთგვარი შეცვლა საფრანგეთის მიმართ.

დიდი ბრიტანეთი არბიტრად გამოვიდა საფრანგეთსა და იტალიას შორის, ის განსაზღვრულ ზეგავლენას ახდენს იტალიაზე და აიძულებს მას წავიდეს დათმობაზე. ამის გამო იტალია იძულებული გახდა საგრძნობლად შეესუსტებია თავისი აგრესიულობა სამხრეთ-სლავიის მიმართ და აგრეთვე წასულიყო დათმობაზე ტანჟერის მმართველობაში მონაწილეობის შესახებ.

ამჟამად მზადებაა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ეკონომიური დაახლოებისათვის. ვხედავთ გარკვეულ ორიენტაციას ევროპის კონტინენტის ორი უმთავრესი იმპერიალისტური სახელმწიფოს დაახლოებისათვის, რაიც რამდენადმე სცვლის საერთაშორისო სიტუაციას.

იტალია - საფრანგეთ - სამხრეთ სლავიის მეტოქეობა

იტალია-სამხრეთ-სლავიის ურთიერთობა საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთის დიდ ზეგავლენას განიცდის. ჩვენ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ არსებობს ომის საფრთხე ხმელთაშუა ზღვაზე და ადრე თუ გვიან უნდა იფეთქოს ომმა, რომელიც გადაიქცევა მსოფლიო ომად, ვინაიდან იგი თავის ორბიტაში მაშინვე ჩაითრევს დიდ ბრიტანეთს და მთელ რიგ მეორე ხარისხოვან სახელმწიფოებს.

საფრანგეთ - ინგლის - გერმანიის მეტოქეობა

გერმანიის ბურჟუაზიას არ შეუძლია იქონიოს დიდი ბრიტანეთის თანამშრომლობის იმედი დაუესის გეგმის გადასინჯვის საქმეში, და ამიტომ ის სცდილობს დაუახლოვდეს შეერთებულ შტატებს. ეს რამდენადმე დაკავშირებულია ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობის გაუმჯობესებასთან.

გერმანიის ეკონომიური განვითარება და გამტკიცება კვლავ ხდის მას დიდი ბრიტანეთის საშიშ მეტოქეთ. ინგლისის კაპიტალის გავლენა გერმანიის მრეწველობაში, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო 2—3 წლის წინედ, უკანასკნელ ხანებში მოისპო. მეტოქეობა აღმოსავლეთ ევროპისა და ევროპის დანარჩენი ტერიტორიის ბაზრებზე მალე კვლავ გაჩაღდება. ბრძოლა ინგლისის საქონლის გასადევნად ევროპის ბაზრიდან ამჟამად გერმანიისათვის წარმოადგენს არსებობისათვის ბრძოლას და გერმანიამ ამ მიმართულებით მართლაც მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია.

ამერიკა - იაპონია - ინგლისის მეტოქეობა

ანტაგონიზმი შეერთებულ შტატებსა, იაპონიასა და დიდ ბრიტანეთს შორის, რომელმაც თავი იჩინა შორეულ აღმოსავლეთში, ეკუთვნის ყველაზე მნიშვნელოვან იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა რიცხვს და შეიცავს ომის საფრთხეს. ამ ანტაგონიზმის ხასიათი ძირიანფესვიანად შეიცვალა უკანასკნელ წლებში. რამდენიმე წლის წინად ინგლისმა ამერიკის ზეგავლენით კავშირი გასწყვიტა იაპონიასთან. ჩინეთის ამბებმა, რომლებმაც ძლიერად ჩასცა მახვილი დიდ ბრიტანეთს, აიძულა იგი კვლავ ცდილიყო იაპონიასთან შერიგებას. სწორედ ამიტომ სცდილობდა იაპონიისა და ინგლისის პრესა 1927 წელს განეხილა ინგლის-იაპონიის კავშირის განახლების საკითხი. ამის გამო შეერთებულმა შტატებმა დაიწყეს კონტრმანევრები, რომელიც მიმართული იყო იაპონიასთან დაახლოვების და დიდი ბრიტანეთის იზოლაციისაკენ.

მაგრამ 1928 წლის დასაწყისში უკვე მოხდა ისეთი ამბები, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ დაახლოებას შეერთებულ შტატებთან და შესაძლოდ ხდიდენ ურთიერთობის გამწვავებას ამ ორ სა-

გაგრძელება იხ. მე-2-ე გვერდზე

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ამხ. კუტიურიეს მიუსაჯეს ექვსი თვის ციხე

მოსკოვი, 2 აგვისტო. „პრავდა"-ს პარიზელი კორესპონდენტი გაბრიელ პერი იტყობინება: „საფრანგეთის ცეკას ორგანოს „იუმანიტე"-ს რედაქტორს ამხ. ვაიან კუტიურეს სასამართლომ ექვსი თვის ციხე და ათასი ფრანკით დაჯარიმება მიუსაჯა წერილის გამოქვეყნებისათვის, რომელშიაც ის საფრანგეთის ჯარისკაცებს მოუწოდებდა დაძმობილებოდნენ ჩინეთის მშრომელებს.

გერმანია და პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი

მოსკოვი, 2 აგვისტო. „იზვესტია"-ს ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ გუშინ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთ ქვეყნების დეპარტამენტის უფროსს დირქსენს საუბარი ჰქონდა პოლონეთის ელჩთან ბერლინში კნოლთან. საუბარში დირქსენმა გააცნო კნოლს გერმანიის მთავრობის შეხედულება პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტზე. დირქსენმა გამოსთქვა იმედი, რომ პოლონეთი გადასდგამს ნაბიჯებს კონფლიქტის შესანელებლად და ლიტვასთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად.

იაპონურ თეატრის გასტროლები

მოსკოვი, 2 აგვისტო. გუშინ, მოსკოვში შესდგა კაბუკის თეატრის პირველი საზეიმო წარმოდგენა. გაზეთები აღფრთოვანებული არიან იაპონურ თეატრით. „იზვესტია" ხაზგასმით აღნიშნავს მსახიობ სადანძის დიდ ნიჭსა და არტისტიულ კულტურას. გაზეთი სწერს, რომ კაბუკის თეატრის გამოსვლა თეატრალურ დიდ დღესასწაულს წარმოადგენდა.

საბინაო კოოპერაცია საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 2 აგვისტო. საბინაო კოოპერაციის ცენტრალურ კავშირის ცნობების მიხედვით, საბჭოთა კავშირში ამჟამად საბინაო კოოპერაციაში 742 ათასი წევრი ითვლება.

უკანასკნელი ხნის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა საბინაო კოოპერაციაში ჩაბმულ მუშების რიცხვი, რუსეთის სოც. ფედ. რესპუბლიკაში საბინაო კოოპერაციის წევრთა შორის მუშები შეადგენენ 68 პროც. უკრაინაში—64 პროცენტს, ხოლო ამიერ-კავკასიაში 37 პროცენტს.

ხელმწიფოს შორის: შეთანხმება ნანკინის ინციდენტის ლიკვიდაციის შესახებ, რომელიც ამერიკასა და სამხრეთელებს შორის დადდო, და იაპონიის ინტერვენცია შანდუნში. პირველი ფაქტი მოწმობდა იმას, რომ ამერიკას სურდა უფრო აქტიური პოლიტიკის წარმოება ჩინეთში და ამიტომ მან შეაშფოთა დიდი ბრიტანეთი და ერთგვარი ჩოჩქოლი გამოიწვია იაპონიაში. იაპონიის ინტერვენცია შანდუნში უეჭველია ძალიან არ მოსწონს ამერიკას და იაპონელებს უკანასკნელს მიიღოს კონტრ-ზომები.

რაც შეეხება იაპონიას, მის პოლიტიკაში შეიძლება შევამჩნიოთ ამერიკასთან დაახლოვების ერთგვარი ტენდენცია.

აქამდე ჩვენ ვლაპარაკობდით პოლიტიკურ ურთიერთობაზე, ანტაგონიზმზე და მეტოქეობაზე იმპერიალისტურ ჯგუფებში. ეხლა გადავიდეთ სამხედრო ბიუჯეტზე. აქ ჩვენ თვალში გვეცემა ხუთი უდიდესი სახელმწიფოს—საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, შეერთებული შტატების და იაპონიის თავდაცვის ხარჯების ზრდა.

1913 წელს ეს ხარჯები შეადგენდენ 1.182,7 მილიონ დოლარს, 1927—28 წელს კი — 2.057,1 მილიონ დოლარს. ხუთი დიდი სახელმწიფოს ხმელეთის არმიების (რეგულიარული) შემადგენლობა 1913 წელს უდრიდა 1.753.000, ხოლო 1928 წელს კი—1.865.000 კაცს.

მაგრამ უმთავრესი ფაქტორი, რომლის წყალობითაც იზრდება არმიის ძლიერება, არის სამხედრო ტექნიკა. მაგალითად, დიდი სახელმწიფოების სამხედრო საჰაერო ფლოტი ყოველ წლობით იზრდება და 1923 წლიდან 1927 წლამდე თითქმის ორჯერ გაიზარდა.

დიდ სახელმწიფოების ფლოტიც იზრდება ახალი ტიპების გემების, უმთავრესად ავიომზიდავების და წყალქვეშა ნავების აგებით.

რეგულიარული არმიების გარდა ყველა ბურჟუაზიული სახელმწიფოები ინახავენ და ომისათვის ამზადებენ სამხედრო ხასიათის ნებაყოფლობითი ორგანიზაციების და არარეგულიარული სამხედრო რაზმების მნიშვნელოვან რიცხვს. ეს სამხედრო-საზოგადოებრივი ორგანიზაციები სწრაფად იზრდებიან.

ამგვარად, მოწმენი ვართ იმისა, რომ განუწყვეტლივ იზრდება მილიტარიზმი და სწრაფის ტემპით სწარმოებს ეგრედწოდებული დიდი სახელმწიფოების სამხედრო მზადება. ჩვენ მიერ მოყვანილი ციფრები ნათლად ამტკიცებენ, რომ მომავალი იმპერიალისტური ომი თავისი სიძლიერით გადააჭარბებს 1914—1918 წლის ომს, რომელსაც ეხლა უკვე მელარავინ ბედავს უწოდოს უკანასკნელი ომი.

კაპიტალისტური მსოფლიო და საბჭოთა კავშირი

ამავე დროს ბურჟუაზიული სახელმწიფოები ერთსულოვნად გამოდიან საბჭოთა კავშირის, როგორც თავიანთი საერთო მტრის, წინააღმდეგ და ცდილობენ თავიანთი მეტოქეობა დაუმორჩილონ პროლეტარული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლას, რადგან ეს პროლეტარული სახელმწიფო მათ მსოფლიოს რევოლიუციის ცენტრად მიაჩნიათ. ამ ანტისაბჭოთა კამპანიას პირველ რიგში აწარმოებს ინგლისი. ანტისაბჭოთა ტენდენციების ზრდის სიმპტომებია: ინგლის-საფრანგეთის დაახლოება, საბჭოთა კავშირის მიმართ ფინანსიური ბლოკადის გატარების ცდები, საფრანგეთისა და გერმანიის ბურჟუაზიის მისწრაფება გაატარონ საერთო პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ, საბჭოთა კავშირთან სავაჭრო მოლაპარაკების ფაქტიურად შეწყვეტა გერმანიის მხრივ იმ საბაბით, ვითომც საბჭოთა კავშირში სდევნიან გერმანელ ინჟინრებს.

ანტისაბჭოთა ტენდენციების გაძლიერებას ადგილი აქვს აგრეთვე იაპონიაში. ამის გამო ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მონღოლეთს.

საბჭოთა კავშირის დასავლეთის მეზობლების სამხედრო მზადება

მეორეს მხრივ საჭიროა აღვნიშნოთ დასავლეთის მეზობლების, პოლონეთისა და რუმინეთის, შეიარაღების ზრდა და საბჭოთა კავშირთან ომის სამზადისის გაძლიერება საფრანგეთისა და ინგლისის იმპერიალისტების უშუალო გავლენით. ასეთ პირობებში კომპარტიის უსაჭიროეს ამოცანას წარმოადგენს მთელი ძალების მობილიზაცია ომის საფრთხესთან საბრძოლველად. არავითარი აზრი არა აქვს იმაზე თავის ტეხას, თუ სად და როდის დაიწყება ომი და რამდენად აფერხებენ ან, პირიქით, აჩქარებენ მას ისეთი ფაქტორები, როგორიც, მაგალითად, ბურჟუაზიის შიში რევოლიუციის წინაშე და სხვა. არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ერთა ლიგის მნიშვნელობა და გავლენა, საჭიროა გულდასმით ვადევნოთ თვალყური მის პროპაგანდას განიარაღების შესახებ. ამ მხრით მთელი სიგრძე-სიგანით უნდა შევიგნოთ ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც ჩვენთვის აქვს საბჭოთა კავშირის წინადადებას განიარაღების შესახებ. საჭიროა ამ წინადადების ფართოდ გამოყენება ჩვენი ანტიმილიტარისტული პროპაგანდის დროს. უნდა აღვნიშნოთ ხოლმე როლი კელოგის პროექტისა, რომელიც შეიმუშავებით მიიღო სხვადასხვა იმპერიალისტურმა ქვეყანამ და რომელიც ომს—მეტადრე საბჭოთა კავშირთან—ყოველგვარ საშუალებას უტოვებს. ამ პროექტის მიზანია მხოლოდ დროს მოგება, რომ იმპერიალისტები მომავალი ომისათვის მოემზადონ. მაგრამ ჩვენს მუშაობაში არავითარ შემთხვევაში მექანიკურად არ უნდა ვიყენებდეთ საბჭოთა კავშირის წინადადებას განიარაღების შესახებ. ეს წინადადება სრულებითაც ვერ უკუაგდებს პროლეტარიატის რევოლიუციონურ ბრძოლის საჭიროებას ბურჟუაზიული წყობილების დასამხობათ. ჩვენს ანტიმილიტარისტულ ბრძოლაში ანგარიში უნდა გავუწიოთ აგრეთვე მე-2 ინტერნაციონალის ხელმძღვანელების როლს, რადგან ამ ინტერნაციონალში შემავალი პარტიები იმპერიალიზმის აშკარა დამცველები არიან.

რეფორმისტებთან ბრძოლა

ამ ბრძოლის პროცესში ჩვენ უნდა ვცდილობდეთ, რომ პროლეტარიატის ფართო ფენები განთავისუფლდნენ რეფორმისტების გავლენისაგან.

ამიტომ ბრძოლა უნდა გავამწვავოთ სოციალ-დემოკრატიასთან, მეტადრე მის მემარცხენე ფრთასთან, რომელიც განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს, რადგან ქვეყანას თავს ისე აჩვენებს, თითქოს ისიც ებრძოდეს ომის საფრთხეს. ჩვენი ბრძოლის დროს უნდა გვახსოვდეს ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ ომის ბოიკოტი მხოლოდ სულელური ფრაზაა, მაგრამ ჩვენ, რასაკვირველია, წინააღმდეგნი არა ვართ ბოიკოტისა, როცა იგი ომის საწინააღმდეგო ბრძოლის ერთ-ერთ იარაღს წარმოადგენს იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ტაქტიკის განხორციელების დროს. მაგრამ ყოველი ამგვარი ჩვენი გამოსვლა ძირიან-ფესვიანად უნდა განსხვავდებოდეს პაციფისტურ, ჰუმანიტარულ ლაყბობისაგან.

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ თუ იმპერიალისტური ომი დაიწყო, კოლონიალურ ხალხთა რევოლიუციონური მოძრაობა არაჩვეულებრივად განვითარდება. კოლონიებში მუშაობის შესახებ ჩვენ სერიოზულად შეგვეძლება ლაპარაკი მხოლოდ მაშინ, როდესაც მოვახერხებთ, რომ ხელი შეუშალოთ ჯარის გაგზავნას მეტროპოლიიდან კოლონიებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ აგრეთვე რევოლიუციონურ პროპაგანდას როგორც მეტროპოლიების, ისე კოლონიების არმიებში, აგიტაციას იმპერიალისტური არმიის ჯარისკაცთა შორის, მათს დამობილებას და დეზერტირობას. ამ მუშაობას სუსტად აწარმოებენ ჩვენი სექციები. მაგალითად, ჩვენმა პარტიებმა თითქმის სრულებით უყურადღებოთ დასტოვეს ის გარემოება, რომ იაპონიამ თავხედათ ხელში ჩაიგდო შანდუნი. მათ საკმაო აქტივობა არ გამოიჩინეს აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ამბების გამო, რომლებიც ომის საფრთხეს მოასწავებდნენ; ასეთია, მაგალითად, საბჭოთა საელჩოს შენობაზე თავდასხმა პეკინში, არკოსის შენობაზე თავდასხმა ლონდონში და ვოიკოვის მოკვლა. უნდა გვახსოვდეს, რომ ომთან ბრძოლა არავითარ შემთხვევაში არ წარმადგენს ჩვენი მუშაობის ერთ-ერთ დამხმარე დარგს, არამედ კომპარტიის ყველა წევრის ძირითად ამოცანას. ჩვენი ანტიმილიტარისტული მუშაობის ყოველი ნაკლი უნდა გამოვასწოროთ მედგარი და დაუღალავი შრომით. ჯერ კიდევ ძალიან სუსტად მიმდინარეობს მუშაობა პარტუჯრედების შესაქმნელად სამხედრო მრეწველობის წარმოებებში.

ჩვენი გავლენა ჯერ კიდევ ძალიან სუსტია სავაჭრო ქალაქებში. ჩვენ საკმაოთ ვერ ვაფასებთ და ვერ ვიყენებთ სამხედრო მანევრებს.

ჩვენს მეტის-მეტად მნიშვნელოვან ამოცანას შეადგენს აგრეთვე ის, რომ, თუ ომი დაიწყო, საშუალება არ მივსცეთ რეფორმისტებს, გამოიყენონ პროფკავშირთა აპარატი კაპიტალისტური სახელმწიფოების დასახმარებლად.

იმ ბრძოლასთან დაკავშირებით, რომელსაც ომის საფრთხის წინააღმდეგ ვაწარმოებთ, მუშაობა უნდა გავაძლიეროთ ქალებსა და გლეხებს შორის, დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ნაციონალურ უმცირესობათა პრობლემას, ვაწარმოოთ სისტემატიური მუშაობა არმიებში, შევქმნათ არალეგალური აპარატი იმ შემთხვევისათვის, თუ ომი დაიწყება. აქ ტელმანმა სრულიად სამართლიანად აღნიშნა—ჩვენ არ შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ კომინტერნის მე-7 მსოფლიო კონგრესი მშვიდობიან პირობებში შეიკრიბება.

კომინტერნის ბრძოლას ომის საფრთხესთან ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ მედგარი მუშაობით მოვახერხებთ იმას, რომ როდესაც იმპერიალისტები მშრომელთა მასებს იარაღისაკენ მოუწოდებენ, ამ იარაღს მშრომელი მასები მიმართავენ თავიანთი კლასობრივი მტრების წინააღმდეგ ბოლშევიზმის გასამარჯვებლად მთელ მსოფლიოში. (მქუხარე ტაში).

1 აგვისტოს საღამოს სხდომა

ამხ. გარლანდის თანამოხსენება

მოსკოვი, 2 აგვისტო. 1 აგვისტოს საღამოს სხდომაზე კონგრესი განაგრძობდა დღის წესრიგის მეორე მუხლის განხილვას, რომელიც ომის საფრთხესთან ბრძოლას შეეხება. პირველ თანამომხსენებლად გამოვიდა ამხ. გარლანდი (იტალია).

საზავო ხელშეკრულებამ,—სთქვა ამხ. გარლანდმა,—არ მიანიჭა იტალიას თითქმის არავითარი ახალი კოლონიები, რომლებიც ნედლეულის წყაროდ გამოდგებოდნენ. ამიტომ იტალიის ფაშიზმი ყოველნაირად ცდილობს ხელშეკრულებით შექმნილი მდგომარეობის შეცვლას და აქტიურად ემზადება ომისათვის, რომელიც მას ეხლანდელი ეკონომიური კრიზისისაგან თავის დაღწევის გზად ეჩვენება. იტალიის შეიარაღების ზრდას ის გარემოება გვიდასტურებს, რომ, სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, გასავლის 78 პროცენტი ნავარაუდევია არმიისა და პოლიციის შესანახად. იტალიის ექსპანსიის უმთავრეს საგანს წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთი. ამ ექსპანსიაში ფაშისტურ იტალიას მხარს უჭერს ინგლისი, რამდენადაც იგი არ ეხება ბრიტანეთის იმპერიალიზმის ინტერესებს, განსაკუთრებულ მნიშვნელოვან როლს ასრულებს იტალია ინგლისის სამხედრო გეგმებში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაგრამ ყოველივე ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ იტალია მთლიანად ემორჩილება ინგლისს. იტალია ცდილობს თავისი მანევრებით მაქსიმალურად ისარგებლოს ინგლისისა და გერმანიის ეკონომიური მეტოქეობით. მისი როლი ანტისაბჭოთა ბლოკში იმაში გამოიხატება, რომ იგი ცდილობს ამ ბლოკს მისცეს საგანგებო იდეოლოგიური ხასიათი და საბჭოთა კავშირთან მომავალ ომს ისახავს, როგორც მოსკოვისა და რომის ომს. მეორე მხრით, იტალიის პროლეტარიატი გამსჭვალულია საერთაშორისო სოლიდარობის იდეით და მას ომის წინააღმდეგ ბრძოლის ძველი ტრადიციები აქვს. მან არა ერთხელ გამოიჩინა თავისი თანაგრძნობა საბჭოთა კავშირისადმი ინტერვენციის პერიოდში. სამაგიეროთ იტალიის სოციალ-დემოკრატიას საბჭოთა კავშირის მიმართ ისეთივე პოზიცია უჭირავს, როგორც სხვა სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს.

იტალიის სოციალ-დემოკრატიის ბელადები იმ თეორიას ქადაგებენ, რომ ფაშიზმის დამარცხება მხოლოდ მას შემდეგ მოხერხდება, როცა საბოლოოდ მოისპობა ბოლშევიზმი იტალიაში. ჩვენ ულმობელი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ ამ სოციალ-დემოკრატიული თეორიის წინააღმდეგ.

ჩვენს მასიურ ბრძოლაში ომის საფრთხესთან უნდა ვემყარებოდეთ იმ აზრს, რომ ომი აუცილებელია. მეტად ფართოდ უნდა გავავრცელოთ ეს აზრი ომის აუცილებლობის შესახებ და ჩვენი ყოველდღიური მუშაობა მასებში დავუკავშიროთ ანტი-იმპერიალისტურ ბრძოლას. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ ბრძოლის გაძლიერებას გლეხობაში. უნდა გვახსოვდეს, რომ იმპერიალისტური ომის დაწყებასთან ერთად უნდა დაიწყოს სამოქალაქო ომიც. ჩვენ ამას მოვახერხებთ, თუ მთელ ჩვენს ენერგიას მოვახმართ ომთან ბრძოლას (ტაში).

ამხ. ბელა კუნი კონგრესზე

ამხ. გარლანდის სიტყვის შემდეგ თავმჯდომარემ მანუილსკიმ აცნობა დელეგატებს, რომ კონგრესზე გამოცხადდა ბელა კუნი, რომელიც მოსკოვში დღეს მოვიდა. კონგრესმა ფეხზე ადგომით ხანგრძლივი ოვაცია გაუმართა კუნს. შემდეგ სმარი კონგრესის სახელით მიესალმა კუნს, როგორც უნგრეთის რევოლიუციის მებრძოლს და მიულოცა მას ავსტრიისა და უნგრეთის რეაქციის ბრჭყალებისაგან თავის დაღწევა. სმარმა წინადადება მისცა კონგრესს—კონგრესის პრეზიდიუმში შეიყვანონ იგი. წინადადება ერთხმად იქნა მიღებული, რასაც მქუხარე ტაში მოჰყვა. ბელა კუნმა პრეზიდიუმში თავმჯდომარის ადგილი დაიჭირა.

ამხ. შმელერის თანამოხსენება

შემდეგ თანამომხსენებლად გამოვიდა შმელერი (გერმანია).

მე შევჩერდები იმ მომენტებზე, რომლებიც განასხვავებენ დღევანდელ ბრძოლას ომის საფრთხესთან იმ მდგომარეობისაგან, როგორც არსებობდა 1914 წელს. ამ მომენტებს ეკუთვნის, პირველ ყოვლისა, დაჯგუფების შეცვლა იმპერიალისტთა ბანაკში, ამასთანავე ამ დაჯგუფებას გაცილებით უფრო ნაკლები სიმტკიცის ხასიათი აქვს, ვიდრე ჰქონდა წინად. შემდეგ უნდა აღინიშნოს როლი ერთა ლიგისა, რომელიც იმპერიალიზმის სამხედრო პოლიტიკის იარაღს წარმოადგენს საბჭოთა კავშირისა და დაჩაგრული ერების მიმართ,—რეაქციის გაძლიერება, ფაშიზმის გამოჩენა და რეფორმისტული ზედაფენის შეხორცების გაძლიერება სახელმწიფოს და კაპიტალისტთა ორგანიზაციების აპარატებთან. მეორეს მხრით, უნდა აღვნიშნოთ საწინააღმდეგო ხასიათის ფაქტორებიც, სახელდობრ: კომინტერნისა და მისი გავლენითა და ხელმძღვანელობით მომქმედი დიდი ორგანიზაციების, საბჭ. კავშირისა და რევოლიუციონური მოძრაობის არსებობა კოლონიებში, მეტადრე ჩინეთსა და ინდოეთში, აგრეთვე მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის თვალსაჩინო ზრდა მთელ მსოფლიოში, გლეხობის ნაწილისა და საშუალო ფენების გარევოლიუციონერება. ყოველივე ეს გვისახავს იმ პერსპექტივას, რომ ახალი მსოფლიო ომი აამოძრავებს გაცილებით მეტ მასებს, რომ მასში უფრო თვალსაჩინოთ იჩენს თავს კლასობრივი ხასიათი (ომები საბჭოთა კავშირთან და კოლონიებთან) და რომ ბურჟუაზია გაცილებით უფრო ნაკლებად შეძლებს, ვიდრე 1914 წელს, რევოლიუციონური მოძრაობის ჩაქრობას. ამასთან დაკავშირებით, თვალსაჩინოთ გაიზრდება ომის დიდი მნიშვნელობა მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობასთან.

შევეხები გერმანიის როლს მომავალ ომში. გერმანიის ნეოიმპერიალიზმი უფრო და უფრო მეტად ცდილობს, რომ დამოუკიდებელი როლი ითამაშოს. კელოგის პროექტმა, რომლის მთავარ დამცველად ევროპაში გერმანია გამოდის, გამოიწვია გერმანიის იმპერიალიზმის პოზიციის შემდგომი გამაგრება.

პროექტის მახვილი მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გერმანიის ბურჟუაზიას სურს, დიდი ფასი გადაახდევინოს საერთაშორისო ბურჟუაზიას იმაში, რომ გერმანია საბჭოთა საწინააღმდეგო ფრონტს მიემხროს. ეს ფასია—ვერსალის საზავო ხელშეკრულების პირობების შეცვლა (ნაგულისხმევია ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც გერმანიის შეიარაღების შეზღუდვას ეხება) და აგრეთვე გერმანიის აღმოსავლეთი საზღვრის შეცვლა. გერმანიის ბურჟუაზიის ლაპარაკი საბჭოთა კავშირის მიმართ ნეიტრალობის დაცვის შესახებ—სულ ბევრი იმას ნიშნავდეს, რომ თუ ომი დაიწყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გერმანიამ, შესაძლებელია ნეიტრალიტეტი დაიცვას ცოტა ხნით. მაგრამ ფაქტიურათ გერმანია გადაიქცევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო მოქმედებათა პლაცდარმათ. ამას ადასტურებს გერმანიის სამხედრო პოლიტიკის მთელი თეორეტიული და პრაქტიკული მიმართულება.

ომის პოლიტიკის გეზი აიძულებს გერმანიის ბურჟუაზიას მიიღოს ზომები გამემარცხენებული მუშათა მოძრაობის ჩასახრჩობათ. ეს ბრძოლა მოითხოვს მხარის დაჭერას ფაშიზმისა და სოციალ-დემოკრატიის მხრივ.

ფაშისტური მოძრაობა გერმანიაში ამჟამად არ არის განსაკუთრებით ძლიერი, მაგრამ სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში ამ მოძრაობამ შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს, ვინაიდან ფაშისტური ორგანიზაციები არიან საკადრო ორგანიზაციები, რომლებიც სხვადასხვა, უმთავრესად, მასიურ სანპორტო ორგანიზაციებში მუშაობენ და რომლებშიაც შედიან წვრილი ბურჟუაზიის ფართო ფენები და მუშათა კლასის ნაწილი.

სოციალ-დემოკრატებმა ჩამოიხსნეს ნიღაბი და აშკარა ომის პოლიტიკაზე გადავიდნენ. ნაწილობრივ ეს ჰქმნის უფრო ხელსაყრელ წინასწარ პირობებს სოციალ-დემოკრატიის ნამდვილი ფიზიონომიის გამოაშკარავებისათვის. მაგრამ, მეორეს მხრით, ბრძოლა სოციალ-დემოკრატიასთან უფრო ადვილი იყო, მაშინ, როცა მოქმედებდა თავის საკუთარ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. ეხლა კი სოციალ-დემოკრატიამ შექმნა გამცემლობის და იმპერიალიზმისათვის მხარის დაჭერის საკუთარი თეორიები.

სოციალ-დემოკრატიის გამცემლობის „თეორეტიული ბაზისი“ არის ულტრა-იმპერიალიზმის თეორია სამეურნეო დემოკრატიის თეორიასთან ერთად. სოციალ-დემოკრატია აშკარად გადადის ძალდატანებითი ღონისძიებებზე კომუნისტების წინააღმდეგ, იგი არ ერიდება მუშათა მოძრაობის გათიშვასაც. სოციალ-დემოკრატები არიან იმპერიალისტური ომის წამქეზებელნი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ჩვენ არ უნდა დავუწყოთ ლოდინი ომის დაწყებას და დღესვე უნდა მივიღოთ სერიოზული მოსამზადებელი ზომები, რათა იმპერიალისტური ომი გადაიქცეს სამოქალაქო ომად. ბურჟუაზიის სამხედრო პოლიტიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული მისი მოქმედების ყველა დანარჩენ მხარესთან. ამის გამო, მთელი ჩვენი მოქმედება უნდა დაუმორჩილოთ ომთან ბრძოლის ამოცანას. კონგრესმა კომინტერნის ყველა სექციას უნდა დაავალოს შეიმუშაონ კონკრეტიული გეგმა ომის წინააღმდეგ მუშაობისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლეგალური მუშაობის შეთანხმება არალეგალურ მუშაობასთან. როცა ომი დაიწყება, ჩვენ გავყვებით რუსი მუშების მოწოდებას: „მოგვყევით ჩვენ, გაანადგურეთ საკუთარი ბურჟუაზია და შეგვიერთდით ჩვენ!“

—:—

3 აგვისტოს დილიდან მუშაობენ კონგრესის საპროგრამო და სხვა კომისიები.

პლენარული სხდომა გაიხსნება საღამოს 5 საათზე. დღის წესრიგშია **ლევსტონის** (ამერიკა) და **ბარბეს** (საფრანგეთი) თანამოხსენებანი იმპერიალისტური ომების საფრთხესთან ბრძოლის ზომების საკითხებზე. (ადს).

ღამის ცნობები

ჩხრეკა დამოუკიდებელ პროფკავშირთა სადგომში ზაგრებში

ვენა, 2 აგვისტო. ბელგრადიდან მიღებული ცნობებით, ზაგრებში მოახდინეს ჩხრეკა დამოუკიდებელ პროფკავშირთა ყველა სადგომში. კონფისკაცია ექნა არქივს. სადგომი დაბეჭდეს (ადს).

პოლონეთის პრესა კარახანის პასუხის შესახებ

ვარშავა, 2 აგვისტო. პოლონეთის ზოგიერთი გაზეთი აქვეყნებს ცნობას კარახანის პასუხის შესახებ პატეკის საპროტესტო ნოტაზე ბუხარინის სიტყვის გამო კომინტერნის მე-6 კონგრესზე. უმეტესობა გაზეთებისა პასუხს არ აქვეყნებს. კომენტარის პასუხის შესახებ აკეთებს მხოლოდ ზოგიერთი გაზეთები, რომელნიც მას „საბჭოთა ტონს“ უწოდებენ (ადს).

ვილიამ ხეივუტის დაკრძალვა

მოსკოვი, 2 აგვისტო. ვილიამ ხეივუტის და ევგენი ლანდლერის დაკრძალვა მოხდება 3 აგვისტოს საღამოს 6 საათზე წითელ მოედანზე (ადს).

ფეიქართა გაფიცვა

ნიუ-იორკი, 1 აგვისტო. ნიუ-ბეტფორდში, სადაც ამჟამად ფეიქართა გაფიცვაა, პოლიციამ დააპატიმრა ფეიქართა პროფკავშირის დაცვის სრ. ამერიკული კომიტეტის მდივანი ალბერტ ვეისბოკდი (ადს).

ამხ. ბენჩინის გარდაცვალება

ვენა, 1 აგვისტო. 1-ლ აგვისტოს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ამხ. ბენჩინი. (ადს).

—:—

მოსკოვი, 2 აგვისტო. ტელეგრაფმა გვაუწყა, რომ ვენაში გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ამხ. ბენჩინი. იგი გარდაიცვალა ენტოკორდიტისაგან.

ლაზარე მიხეილისძე ბენჩინი დაიბადა 1898 წელს ხელოსნის ოჯახში და სიყმაწვილეშივე იღებდა აქტიურ მონაწილეობას რევოლიუციონურ მოძრაობაში. 1910 წ. ბენჩინი გადავიდა ამერიკაში, სადაც დაჰყო 6 ნახ. წელი, ემიგრაციაში. იქ იგი მუშაობდა კანტორის მოხელედ. რევოლიუციამ საშუალება მისცა ამხ. ბენჩინს დაბრუნებულიყო სამშობლოში რუსეთში დაბრუნების შემდეგ იგი შევიდა ბოლშევიკურ პარტიაში. 1917—18 წ. ამხ. ბენჩინი ეწევა დიდ პარტიულ მუშაობას ლენინგრადში. 1919—1920 წ. მას უკავია საპასუხისმგებლო თანამდებობები წით. არმიაში 1921—23 წ. ამხ. ბენჩინი მუშაობს ჩერნიგოვში, სადაც განაგებს საგუბერნიო საფინანსო განყოფილებას, შემდეგ მას ირჩევენ საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ. 1925 წ. იგი გადადის სამუშაოდ უკრაინის სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოში (პრეზიდიუმის წევრი და საგეგმო-ეკონომიური სამმართველოს უფროსი). 1927 წ. ამხ. ბენჩინი დაინიშნა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლად ავსტრიაში (ადს).

მემაღაროეთა უნიტარული ფედერაციის ბიუროს დადგენილება

პარიზი, 1 აგვისტო. მემაღაროეთა უნიტარული ფედერაციის გაფართოებულმა ბიურომ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: ვინაიდან რეფორმისტები განაგრძობენ გაჭიანურების ტაქტიკას, დაინიშნოს კომისია წერილის შესადგენად მაღაროების პატრონთა გაერთიანების ცენტრალური კომიტეტის სახელზე შემდეგი მოთხოვნილებებით: **სამუშაო ხელფასის გადიდება საერთო ნაციონალური შეთანხმების საფუძველზე დათხოვნის შეწყვეტა, დათხოვნილთა აღდგენა, სამუშაო დროის შეზღუდვა 7 საათით დღეში**, აგრეთვე მუშათა წარმომადგენლების დაშვება საფრანგეთის ქვა-ნახშირის მრეწველობის და რურის, ბაზელისა და საარის ქვა-ნახშირის რაიონების წარმომადგენელთა კონფერენციებზე. გარდა ამისა, გამოტანილია დადგენილება ფართო სააგიტაციო კამპანიის გაშლების შესახებ მთელ ქვეყანაში, მაღაროში როშ-ლა-მოლიერში მომხდარ კატასტროფისა და იმ უბედურ შემთხვევებთან დაკავშირებით, რასაც ადგილი ჰქონდა ლუარის რაიონის მაღაროებში (ადს).

ინგლისის მემაღაროეთა გადასახლება

ლონდონი, 1 აგვისტო. კოლონიალურ საქმეთა სტატს-მდივნის ერთ-ერთი თანაშემწე ლოვატი იძლევა დაწვრილებით ცნობებს მთავრობის იმ პროექტის შესახებ, **რომლითაც განზრახულია 21.000 მემაღაროეს და მათი ოჯახის წევრების გადასახლება ინგლისის დომინიონებში სასოფლო მეურნეობაში სამუშაოდ.**

თანახმად ამ პროექტისა, რომელიც კაბინეტმა უკვე დაამტკიცა, განზრახულია უმუშევარ მემაღაროეთა წინასწარი მომზადება სასოფლო-სამეურნეო მუშაობისათვის ინგლისის დომინიონებში.

ლოვატი მიემგზავრება ინგლისიდან კანადაში, ახალ ზელანდიაში და ავსტრალიაში, სადაც მოლაპარაკებას გამართავს დომინიონების მთავრობის და წესებულებებთან გადასახლებულთათვის შეღავათების მინიჭების შესახებ. (ადს).

საბჭოთა კავშირში

ბელა კუნის შეხვედრა

მოსკოვი, 2 აგვისტო. ჩამოვიდა ბელა-კუნი, რომელსაც სადგურზე შეხვდნენ მუშები, მუშა-ქალები და უნგრეთის პოლიტიკური ემიგრანტები. თავის საპასუხო სიტყვაში ბელა-კუნმა სთხოვა მუშებს, ნუ დაივიწყებენ იმ რევოლიუციონერებს, რომლებიც იტანჯებიან იტალიის, ბულგარეთის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების საპყრობილეებში. (ადს).

ახალ დიდ მარცვლეულ საბჭოთა მეურნეობების მოწყობა

მოსკოვი, 2 აგვისტო. სოფლის მეურნეობის სოციალური სექტორის გაძლიერების მიზნით, საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა აუცილებლად სცნო ახალ დიდ მარცვლეულ საბჭოთა მეურნეობების მოწყობა თავისუფალ მიწის ფონდებზე იმ ანგარიშით, რომ 1933 წლის მოსავლის აკრეფის დროს ამ მეურნეობებმა გაიტანონ ბაზარზე სულ ცოტა 100 მილ. ფუთი ხორბალი მაინც. ამ მეურნეობებში ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები. აღნიშნული საბჭოთა მეურნეობანი უნდა მოეწყოს იმ გეგმის მიხედვით, რომელიც უზრუნველჰყოფს მათ გარდაქმნას მომავალში მახლობლად მცხოვრებ გლეხურ მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამმუშავებელ ცენტრებად. ახალი საბჭოთა მეურნეობანი ერთიანდებიან საკავშირო მნიშვნელობის ტრესტში—„ზერნო „ტრესტ“-ში რ. ს. ფ. ს. რ. და უ. ს. ს. რ. მთავრობებს წინადადება ეძლევათ დაუყოვნებლივ გამოჰყონ თავისუფალი მიწები ახალ საბჭოთა მეურნეობების მოსაწყობად; მიწების გამოყოფა უნდა დამთავრდეს 1928 წლის განმავლობაში, ხოლო საბჭოთა მეურნეობების მიწათმოწყობა—1929 წლის განმავლობაში. ახალ დიდ საბჭოთა მეურნეობების მოწყობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა ხელმძღვანელობის მიზნით საკავშირო ცაკის პრეზიდიუმთან არსდება დიდ საბჭოთა მეურნეობების მშენებლობისათვის ხელისშემწყობი კომიტეტი. საბჭოთა მეურნეობების მოწყობის ადგილებში ხელის შემწყობი კომიტეტები არსდება საოლქო და საგუბერნიო აღმასკომებთან (ადს).

პარტიული ცხოვრება

გამოფენა მეორე ყრილობის 25 წლ. თავისათვის

მოსკოვი, 1 აგვისტო. საბჭოთა კავშირის რევოლიუციის მუზეუმში გაიხსნა გამოფენა პარტიის მეორე ყრილობის 25 წლის თავის აღსანიშნავად. გახსნას წინ უძღოდა საზეიმო კრება. კრების პრეზიდიუმში შეიყვნენ გამოფენის მომწყობი კომისიის წევრები, პარტიის მეორე ყრილობის ყოფილი მონაწილენი ამხ—ბი კრუპსკაია, სტოპანი, მოშინსკი; ნიკიტინი; და იაროსლავსკი. ამხ. საველიევმა მოკლე სიტყვაში აღნიშნა გამოფენის ამოცანები და შინაარსი.

კრებაზე მოგონებებით გამოვიდნენ მეორე ყრილობის ყოფილი მონაწილენი ამხ. კრუპსკაია, სტოპანი და ნიკიტინი. (ადს).

პოლიტსკოლების პროგრამა უნდა შესწორდეს

(წინადადების წესით)

პოლიტ-სკოლების მუშაობას საქართველოში მოკლე ისტორია აქვს. ამიტომაც ისინი ჯერ კიდევ ვერ დამდგარან თავის სიმაღლეზე. გადის წლები და იზრდება გამოცდილებათა ჯამი. პრაქტიკულ გამოცდილებათა საფუძველზე სწარმოებს სკოლის პროგრამისა და ორგანიზაციული სტრუქტურის სოფლის სინამდვილესთან შეფარდება. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტსკოლების პროგრამა გასულ წელს შესწორდა, მაგრამ წელსაც ისევ წამოიჭრა ზოგიერთი საუბრის გადახალისებისა და შევსების საკითხი. მოძრავ სკოლების მუშაობა ძირფესვიანად უნდა იქნეს შეფარდებული სოფლის სოციალისტურ აღმშენებლობასთან. სამწუხაროდ ძველი პროგრამა ამ მოთხოვნილებას ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს.

დავასახელოთ ნაკლოვანებები:

პროგრამაში (და მაშასადამე პოლიტ-ცოდნის სახელმძღვანელოშიაც) არ მოიპოვება კონკრეტიული ცნობები მიწათ სარგებლობის ფორმების შესახებ. მომავლისათვის ჩვენის აზრით საჭიროა პროგრამაში შეტანილ იქნას მასალა კოლექტიურ მეურნეობათა სხვადასხვა სახეების დაარსების და იმის შესახებ, თუ რა დახმარებას უწევს ამ უკანასკნელთ საბჭოთა ხელისუფლება.

საჭიროა აგრეთვე აღნიშნულ იქნეს კოლექტიურ მეურნეობათა სხვადასხვა სახეების ურთიერთ დამოკიდებულება, წევრთა უფლება და მოვალეობა. პროგრამაში აუცილებლად უნდა იქნეს დაპირდაპირებული კერძო მესაკუთრეობა, როგორც სასოფლო-მეურნეობის მომავალი განვითარების ხელის შემშლელი, შრომის ნაყოფიერების შემცირების, გლეხის ეკონომიურად დაუძლურების წყარო და სასოფლო-მეურნეობის კოლექტივიზაცია, როგორც სოფლის ეკონომიკის გაძლიერებისა და კეთილდღეობის ზრდის საშუალება.

ძველ პროგრამაში ერთი სიტყვითაც არ არის ნათქვამი საბჭოთა მეურნეობებზე, იმ დროს, როდესაც მათ უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სასოფლო მეურნეობისა და კერძოთ კოლმეურნეობათა განვითარების საქმეში. ასევე ითქმის მიწათ-სარგებლობის უფლების და მიწათ-მოწყობის რეორგანიზაციის შესახებაც.

მეხუთე საუბარი იმდენად უნდა გაღრმავდეს, რომ მსმენელებს უფრო საფუძვლიანი წარმოდგენა მიეცეს სოფლის დიფერენციაციის და სოციალურ ელემენტების ბრძოლის შესახებ: საჭიროა პროგრამაში შეტანილ იქნეს ახალი საუბარი ნაციონალური პოლიტიკის შესახებ, რომელსაც საქართველოსთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს.

ყურადღება უნდა მიექცეს გლეხთა ინტერნაციონალის ამოცანებისა და დანიშნულების გაშუქებასაც პროგრამაში. ამის შესახებ ძველ პროგრამაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი.

შ. მეგენეიშვილი.

ვამჟღავნებთ სასამართლოს ნაკლოვანებებს

ქუთაისის პარტიულ და პროფაქტივის საერთო კრებაზე, მოსმენილ იქნა ინფორმაციული მოხსენება სახალხო სასამართლოების მუშაობის გამოკვლევის შედეგების შესახებ.

მოხსენებიდან და კამათიდან გამოირკვა, რომ ზოგიერთ სასამართლოში მთელ რიგ დეფექტებს აქვს ადგილი, რის გამოც რევოლიუციონური კანონიერების გატარება, ხშირად ძაბუნდება. სხვადასხვა ორგანოები ზოგჯერ სასამართლოს საქმეში უკანონოდ ერევიან, თაერებელი საქმეებია შემოსული მიწა ყიდვა-გაყიდვის შესახებ, სასამართლოს მიერ კი ჯერ-ჯერობით სათანადო ზომები არ არის მიღებული. აღმასრულებელი ფურცლება, უმთავრესად შრომის ხელფასის მიცემის შესახებ დროულად არ მოჰყავთ სისრულეში.

პირადი შემადგენლობაც არ არის დამაკმაყოფილებელი, ზოგიერთ მოსამართლეს არ აქვს რევოლიუციონური კანონიერება კარგად შესწავლილი, რის გამოც ის ზოგჯერ წარმოიება-დაწესებულების ადმინისტრაციის ან რომელიმე პასუხისმგებელ მომუშავის გავლენის ქვეშ ექცევა.

ასეთი მოვლენები ხშირია შრომის სასამართლოში. მაგალითად, აღმასკომის საფინანსო განყოფილებიდან მოხსნილ იქნა ფინაგენტი გოგიაძე, შრომის სასამართლომ ის გაამართლა. გოგიაძემ მოითხოვა გაცდენილი თვეების ხელფასი, სასამართლომ 9 ივნისს მას აღმასრულებელი ფურცელი (№ 1743) მისცა, მაგრამ იგი სისრულეში დღესაც არ არის მოყვანილი.

მიწის ყიდვა-გაყიდვა უმთავრესად გავრცელებულია ბაღდადის და ვანის რაიონებში. ამ საქმეში სახალხო მოსამართლეები ვერ იჩენენ სათანადო უნარს. მაგ. სოფ. ბაშში, გიორგი ჩიქოვანმა, რომელიც წით. ჯვრის პუნქტში მსახურობს, გაყიდა მიწა. პროკურატურამ ეს ამბავი შემთხვევით გაიგო და განკარგულება გასცა, როგორც გამყიდველი, ისე მყიდველი დაეპატიმრებინათ. საქმე გასარჩევად ვანის უბნის სახალხო მოსამართლეს გადაეცა. მოსამართლემ საქმის მიღებისთანავე გაანთავისუფლა პატიმრები. რა მოსაზრებით, ჯერ-ჯერობით არ არის გამორკვეული.

იყო ასეთი შემთხვევაც. აღმასკომის ტექნიკოსმა მახვილაძემ სამუშაოს სათხოვნელად მისულ მუშას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და გარედ გამოაგდო. ამ საქმეში ჩაერია კავშირი, მახვილაძე პასუხისგებაში მისცეს, მაგრამ აქაც შეეცადნენ საქმის მიჩქმალვას და ის დღესაც დაუსჯელი დასეირნობს.

ორატორებს შეჰქონდათ პრაქტიკული წინადადებები სასამართლოს ორგანოების საქმიანობის გასაჯანსაღებლად.

ს. მესხი.

კომკავშირში

თბილისის კომიტეტის პლენუმი

გუშინ საღამოს სხდომაზე პლენუმმა მოისმინა ამხ. აზარაშვილის მოხსენება ბიუროების გადარჩევის შედეგების შესახებ.

მოსამზადებელი მუშაობა—სთქვა მომხსენებელმა,—დაიწყო მაისის თვიდან. ადგილებს კომკავშირის მე-8 საქ. ყრილობის რეზოლიუციების საფუძველზე დაეგზავნა სათანადო მითითებები.

გადარჩევების საკითხი დამუშავდა აგრეთვე რაიკომების გაფართოებულ პლენუმზე და თვით-შემმოწმებელ კომისიების თათბირებზე. უჯრედებმა სადირექტივო წერილის მიღებისთანავე გამოყვეს თვით შემმოწმებელი კომისიები, რომლებიც იმ თავითვე შეუდგენ განვლილ მუშაობის შემოწმებას. კომისიებში მონაწილეობდენ როგორც რაიკომის წარმომადგენლები, ისე პარტმიმაგრებულებიც.

გადარჩევის კამპანია წელს შინა საკავშირო დემოკრატიის დაცვისა და თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ ჩატარდა. ამას ადასტურებს კამათში მონაწილეების და კრებებზე დამსწრეთა დიდი რაოდენობა. საარჩევნო კრებებზე, მიუხედავად იმისა რომ ივნისში მუშა მოსამსახურეთა თვალსაჩინო რაოდენობა სოფლად არის წასული, დასწრება 79,5 პროც. უდრიდა, კამათში გამოვიდა სულ 1,257 კაცი ანუ 28,2 პროც. საარჩევნო კრებებზე გამოირკვა, რომ უჯრედის ბიუროები სუსტ ხელმძღვანელობას უწევენ საუჯრედო კომისიებს. კომკავშირის წევრთა შორის დავალებანი სწორად არ არის განაწილებული. ადგილი აქვს აგრეთვე უპასუხისმგებლობას, როგორც რიგის წევრებში, ისე საუჯრედო აქტივისტებში. აღსანიშნავია რომ კომიტეტების ხელმძღვანელობაც უჯრედებზე მოისუსტებს. განსაკუთრებით ნაკლებ დახმარებას უწევენ აქტივისტებს მათ ყოველდღიურ მუშაობაში. მაგალითად, სახარატო საამქროში კომკავშირის უჯრედმა ამხ. პაპოვი ეკონომ დარგში მომუშავეთ გამოყო. მას დახმარება არ გაუწიეს, არ მისცეს რჩევა-დარიგება. რის გამოც იძულებული შეიქნა მუშაობისთვის თავი დაენებებია.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო უჯრედების გეგმიანობას და დასძინა რომ ზოგიერთ უჯრედებში შაბლონურ გეგმებს ადგენენ, ვერ ასრულებენ გეგმას ან და სრულიად უგეგმოთ მუშაობენ. ჩვენ უამრავ პრაქტიკულ წინადადებებს ვწერთ, მაგრამ ამ წინადადებებში საქმიანი ხასიათის ღონისძიებებს იშვიათად შევხვდებით. არაა საკმარისი ვიძახოთ: „გაძლიერდეს, გაღრმავდეს და სხვ.“ საჭიროა მოუთითოთ კონკრეტულად, თუ როგორ გაღრმავდეს მუშაობა, რა და რა მიმართულებით გაკეთდეს და სხვ. ამხ. აზარაშვილის მოხსენების ირგვლივ— კამათის დამთავრების შემდეგ პლენუმმა მოისმინა ამხ. აზარაშვილის საბოლოო სიტყვა. შემდეგ დამტკიცებულ იქნა პრეზიდიუმის მუშაობის გეგმა. დასასრულ პლენუმმა პრეზიდიუმის შემადგენლობაში შეიყვანა ამხ. ახრიბეკოვი და შოგირაძე, კანდიდატათ—ამხ. ვ. ბუჯიაშვილი.

ლევ ტოლსტოი და ჩვენი პარტია

I.

ტოლსტოის იუბილესთან დაკავშირებით რუსულ კრიტიკულ პრესაში დაისვა საკითხი: როგორ უნდა დავაფასოთ ტოლსტოი და მისი შემოქმედება, რა საზომით უნდა მიუდგეს მას კომუნისტური პარტია? ზოგიერთები იმ აზრს გამოსთქვამდენ, რომ ტოლსტოისთან და მის შემოქმედებასთან ჩვენ არაფერი საერთო გვაქვს, რომ ტოლსტოის ნაწერები (მხატვრულიც) კონტრ-რევოლიუციონური ნაწერებია და რომ ტოლსტოის წინააღმდეგ საჭიროა დაუზოგავი ბრძოლა, როგორც რევოლიუციის მტერის, პომეშჩიკის და რეაქციონერის წინააღმდეგ. კომუნისტური პარტია სწორედ ასეთი საზომით უნდა მიუდგეს ტოლსტოის და სწორედ ასე უნდა დააფასოს მისი შემოქმედებაო.

სხვათა შორის ასეთი აზრი გამოსთქვა მიხაილ ოლმინსკიმ თავის მოკლე, მაგრამ შინაარსიან წერილში: „ჩვენი დამოკიდებულება ტოლსტოისადმი“ (ჟურ. „Огонек“ № 4). ერთ ადგილას ამ თავის წერილში იგი სწერს: „მე პირადათ „ომი და ზავი“ წავიკითხე მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ ვიყავი რამოდენიმეთ მაინც გარკვეული რევოლიუციონერი, ბავშობისას; შემდეგ კიდევ წავიკითხე ტოლსტოის ნაწერები (მათ შორის „ომი და ზავი“, „ანა კარენინა“ და სხვა) საპყრობილეში ყოფნის დროს 1890 წ. მეორე ნახევარში. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ტყუილად დავკარგე დრო ამ კონტრ-რევოლიუციონურ ნაწარმოებთა კითხვაში. რასაკვირველია, ტოლსტოის ნაწერები ნიჭიერად არიან შესრულებული, მაგრამ სწორედ ამიტომაც განსაკუთრებით საშიში და მავნეა ისინი“.

მიხაილ ოლმინსკი საკმაოდ ცნობილი მარქსისტია. ძველი ბოლშევიკი და გამოცდილი ლიტერატორი, მაგრამ მის მიერ ასე ხელაღებით გამოთქმული აზრი ტოლსტოის ნაწერების კონტრ-რევოლიუციონერობის შესახებ არ არის სწორი და მართალი, ყოველ შემთხვევაში იგი არ ეთანხმება ოდნავათაც იმ დაფასებას, რომელიც მისცეს ტოლსტოის გამოჩენილმა რუსმა და საზღვარგარეთელ მარქსისტებმა, მათ შორის პლეხანოვმა, ლ. აქსელროდ-ორთოდოქსმა, როზა ლიუქსენბურგმა, ფრანც მერინგმა, ლუნაჩარსკიმ, ფრიჩემ და, კერძოდ და განსაკუთრებით ლენინმა. ჟურნალის რედაქციაც არ დაეთანხმა ოლმინსკის წერილის ამ ადგილს და თავისი შენიშვნა გაუკეთა მას.

II.

რას სწერს ლენინი ტოლსტოის შესახებ? თავის წერილში „ლ. ნ. ტოლსტოი“, რომელიც დაწერილია ტოლსტოის სიკვდილის გამო, ლენინი სწერს: „მოკვდა ლევ ტოლსტოი. მისი მსოფლიო მნიშვნელობა, როგორც მხატვარისა, მისი საქვეყნო სახელი, როგორც მოაზროვნისა და მქადაგის, პირველიცა და მეორეც, გამოხატავენ თავისებურათ, რუსეთის რევოლიუციის მსოფლიო მნიშვნელობას.

ტოლსტოი გამოვიდა როგორც დიდი მხატვარი, ჯერ კიდევ ბატონყმობის დროს. მთელ რიგ გენიალურ ნაწარმოებში, რომლებიც მან მოგვცა ჩვენ თავის ნახევარ საუკუნის ლიტერატურულ მოღვაწეობის განმავლობაში, ის გვიხატავს ძველ რევოლიუციამდე არსებულ რუსეთს, იმ რუსეთს, რომელიც 1861 წლის შემდეგაც დარჩა ნახევრად ბატონ-ყმურ მდგომარეობაში, სოფლურ რუსეთს, მემამულისა და გლეხის რუსეთს. და აი აქ ტოლსტოიმ დააყენა თავის შრომებში მთელი რიგი და უდიდეს მნიშვნელობის საკითხებისა. შესძლო ამაღლებულიყო ხელოვნების ისეთ სიძლიერემდე, რომ მისმა ნაწერებმა დაიკავეს პირველხარისხოვანი ადგილი მსოფლიო მხატვრულ ლიტერატურაში. ეპოქა რევოლიუციის მომზადებისა ერთ ქვეყანაში, რომელიც დამონებული იყო ბატონების მიერ, წამოიჭრა, ტოლსტოის გენიალურ განათების წყალობით, როგორც ნაბიჯი წინ მთელი კაცობრიობის მხატვრულ განვითარებაში“.

საქვეყნოდ ცნობილია, თუ როგორ ეჯავრებოდა ლენინს ბურჟუაზიულ მწერალთა მიერ ასე მიღებული გადაჭარბებული შექება ვინმესი,—განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს რომელიმე კერძო პიროვნებას და ისიც სხვა, არა მუშათა კლასის, შვილს ეხებოდა— „გენიალური“, „დიადი“, „საქვეყნო“ და სხვა, სწორედ ის ეპიტეტები, რომლებითაც ახასიათებს ტოლსტოის ლენინი ამ მოკლე ამონაწერში. ტოლსტოი არის „მსოფლიო მნიშვნელობის“ ხელოვანი, „დიადი მხატვარი“, მან მოგვცა ჩვენ მთელი რიგი „გენიალურ ნაწერებისა“, თავის შრომებში „წამოაყენა მთელი რიგი „უდიდესი მნიშვნელობის“ საკითხებისა, მის შემოქმედებას მთელ მსოფლიო ლიტერატურაში უკავია პირველხარისხოვანი ადგილი“, ტოლსტოის გენიალურ განათების წყალობით რუსეთის რევოლიუციის მოსამზადებითი ეპოქა წარმოგვიდგა, როგორც ნაბიჯი წინ მთელი კაცობრიობის მხატვრულ განვითარებაში.

ლენინის იმავე წერილში ვკითხულობთ: „ტოლსტოი მხატვარი რუსეთშიაც ცნობილია მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობისათვის. და იმისათვის, რომ მისი დიადი ნაწარმოებნი შეიქნენ კუთვნილებათ მართლაც რომ ყველასი, საჭიროა ბრძოლა და ბრძოლა იმ საზოგადოებრივ წესწყობილების წინააღმდეგ, რომლის წყალობითაც მილიონები და ათეული მილიონები სიბნელეში, მონობაში, კატორღულ შრომაში და სიღატაკეში ილუპებიან. საჭიროა სოციალისტური გადატრიალება“.

ლენინს მარტო ეს რომ დაეწერა ტოლსტოის შესახებ, ესეც საკმაო იქნებოდა სავსებით რომ გვეთქვა: ტოლსტოი—მხატვარი ჩვენი, ახალი ქვეყნის მშენებელთა საკუთრებაა. ლენინი ამ სიტყვებით ამბობს არა იმას სრულებითაც, რომ ტოლსტოი მემამულეა, რეაქციონერი, კონტრ-რევოლიუციონერი, მისი ნაწერები საშიშია და მავნე, მაშასადამე რევოლიუციონერების მოვალეობაა „დაიფარონ“ მშრომელი ხალხი ასეთ საშიშროებისაგან. სრულებითაც არა. ლენინი სწუხს იმას, რომ ძალიან ცოტანი იცნობენ ტოლსტოის და ურყევ იმედს გამოსთქვამს, რომ სოციალისტური გადატრიალება საშუალებას მისცემს ყველას ახლოს გაეცნონ ტოლსტოის შემოქმედებას.

„სოციალისტური გადატრიალება“ უკვე მოხდა, უკვე თერთმეტი [illegible] ბატონობს ძველი რუსეთის საზღვრებში გამარჯვებული და თავისუფალი მშრომელი ხალხი და აი ეხლა ხორციელდება ლენინის ოცნება: ტოლსტოის ეცნობა ყველა და თითქოს სწორედ იმისათვის, რომ ურწმუნო თომებიც დარწმუნდნენ, თუ როგორ აფასებდა ლენინი ტოლსტოის, იგი განაგრძობს: **და ტოლსტოიმ მოგვცა არა მარტო მხატვრული ნაწერები, რომლებიც ყოველთვის იქნებიან დაფასებული და საკითხავი მასების მიერ, როდესაც ისინი შექმნიან ცხოვრების ადამიანურ პირობებს, მოიშორებენ რა თავიდან მემამულეთა და კაპიტალისტების უღელს; მან აგრეთვე შესძლო საოცარი სიძლიერით გადმოეცა განწყობილება თანამედროვე წესების მიერ დაჩაგრული ფართო მასებისა, დაეგვიხატა მათი მდგომარეობა, გამოხატა მათი სტიქიური გრძნობა პროტესტისა და აღშფოთებისა“.**

ლენინი ამბობს: მშრომელი ხალხი და ანგრევს ძველ წესებს, მოიგლეჯს რკინის უღელს მემამულეებისა და კაპიტალისტებისა, შექმნის ადამიანურ პირობებს თავისი არსებობისათვის, ერთი სიტყვით მოახდენს „სოციალისტურ გადატრიალებას“ და აი მაშინ ტოლსტოის ნაწერები შეიქნებიან პატივსაცემი ყველასათვის, ტოლსტოის გაიცნობს მთელი ხალხი.

რატომ? რა ისეთი ღირსებებია ტოლსტოის ნაწერებში? იმიტომ,—უპასუხებს ლენინი—რომ ტოლსტოის ნაწარმოებნი არიან დაჯილდოებული მაღალ ღირსების ხელოვნების ნიშნებით, ეს პირველი, და მეორე, იმიტომ რომ მათში ნახა გამოსახვა განსაცვიფრებელი სიძლიერით დაჩაგრულ და დამონებულ გლეხურ მასების სტიქიურმა პროტესტმა და აღშფოთებამ არსებულ ეკონომიურ და პოლიტიკურ წესების წინააღმდეგ.

მაშასადამე ლენინის დაფასებიდან ტოლსტოის შემოქმედებისა, ჩვენ შეგვიძლია ჯერ-ჯერობით გავაკეთოთ სამი უმთავრესი დასკვნა:

პირველი: ტოლსტოი როგორც მხატვარი, როგორც ხელოვანი დიდია, გენიალური.

მეორე: ტოლსტოი განსაცვიფრებელი სიძლიერით გადმოგვცემს გლეხურ მასების განწყობილებას, მათ სტიქიურ პროტესტს და აღშფოთებას არსებულ წესების წინააღმდეგ.

მესამე: ტოლსტოი დაუზოგავი სიაშკარავით და საშინელ სინამდვილის სწორი ასახვით გვაჩვენებს „ცოცხალ“ სურათებს გაბატონებულ წრეების სრული გათახსირებისა და გარყვნილებისა.

გასაკვირი არაა, რომ ლენინმა ტოლსტოიში ნახა „სარკე რუსეთის რევოლიუციისა“.

III.

ტოლსტოი ბარინი იყო, მაგრამ ამ ბარინმა შესძლო და ზურგით მიუბრუნდა თავის კლასს, დაშორდა მას. ამავე დროს იგი არ იყო უბრალო ბარინი, ის მწერალი იყო, მხატვარი, იშვიათი ხელოვანი. მისი სამოქმედო გზის სათავე იგივე იყო რაიც ნაროდნიკების. ძველ კლასს მოშორდა, მაგრამ მომავლის მქონე კლასი ვერ ნახა, ვერ დაინახა. პროლეტარიატი მის მოღვაწეობის დაწყების ხანებში საკმაოდ სუსტი იყო, რომ ბრწყინვალე წოდებიდან გამოქცეულ მხატვარს ის სცემოდა თვალებში, როგორც ქვეყნის მხსნელი. ტოლსტოი იცნობდა მათ, რომელთა შვილი თვით იყო: იცნობდა მემამულეთ, იცნობდა აგრეთვე გლეხებს. პირველნი ბატონობდნენ, მეორენი მუშაობდნენ

პირველთა სიმდიდრეს აგროვებდნენ. მემამულეთა კლასს ზურგი შეაქცია, გლეხობასთან მივიდა დამჩაგვრელები დაგმო. გოლიათის ძალ-ღონით შექმნა უდიდესი ეპოპეია რუსეთის დაჩაგრულთა და დამჩაგვრელთა ცხოვრებისა, როგორც მოსარჩლე პირველთა და მტერი მეორეთა. **მუჟიკის თვალთახედვით გაზომა და შეაფასა არსებული წესები.** ის რაც ახასიათებდა მაშინდელ გლეხობას, შეიქნა დამახასიათებელი მთელ ტოლსტოის ახალ სწავლებისა და თვალთახედვის, და რადგან მაშინდელი გლეხობის მოქმედება იშლებოდა უაღრესად საწინააღმდეგო პირობებით და საშუალებით, ტოლსტოის შემოქმედებაც შეიქნა გიგანტური სარკე, რომელშიდაც სისწორით და ნათლად გამოსჭვივის მთელი წინააღმდეგობანი ისტორიულად შექმნილ გლეხურ მოქმედებათა და მისწრაფებათა.

რაში იხატებოდა ეს წინააღმდეგობანი? ერთის მხრივ იმ უსაზღვრო სიძულვილში, რომლითაც იყო აღვსილი მაშინდელი გლეხობა მემამულეთა და მათ ბატონობის მიმართ. იგი მომხრე იყო ძირფესვიანად ამოეგდო მთელი ის წესები, რომლებთა წყალობით იგი შრომობდა სხვის მიწაზე და სხვის სასარგებლოდ. უსაზღვრო იყო მისი სიძულვილი იმ კაზიონურ ეკლესიისა, და მის მოსამსახურეთა მიმართ, რომელთა ლოცვა-კურთხევით სარწმუნოებრივ იყო დაკანონებული გაბატონებული ეკონომიური წესები. გლეხი მოითხოვდა თავისუფლებას მიწისა და თავის შრომისა. და ყველანი, ადამიანები თუ წესები, რაც და ვინც არ აძლევდა, ხელს უშლიდა მის ასეთ თავისუფლების განხორციელებას. გასაგებია, მასიურ აღშფოთებას, პროტესტს და სიძულვილს იწვევდა მასში.

მაგრამ გლეხობამ არ იცოდა რა გზით და როგორ განეხორციელებია ეს თავისი გლეხური თავისუფლება; სად ეძებნა მოკავშირე, ვინ აერჩია მეთაურათ გიგანტურ ბრძოლაში ძველი წესების წინააღმდეგ? ცხადია არ კმაროდა მარტო სიძულვილი მემამულისა. მღვდელისა და ჩინოვნიკის წინააღმდეგ საჭირო იყო გამოძებნა იმ გზისა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდებოდა მათი თავიდან მოცილება, თავისუფლების განხორციელება. მას ეს გზა ვერ მოენახა, ის ვერ მისულიყო იმ დასკვნამდე, რომ ამისათვის პირველად ყოვლისა საჭიროა დანგრევა მეფის რეჟიმისა, საჭიროა ნამდვილი პოლიტიკური რევოლიუცია. რადგან მხოლოდ ამ პოლიტიკურ რევოლიუციით შესაძლო იყო პომეშჩიკური მიწადმფლობელობის მოსპობა. ეს გზა მაშინდელ გლეხობას არ ქონდა. ასეთი დასკვნები მას ჯერ კიდევ ვერ გამოეტანა წარსულ ბრძოლების ისტორიიდან და არსებულ სინამდვილიდან. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ 1905 წლის რევოლიუციაში, რომლის უახლოესი მიზნები იყო მეფის რეჟიმის დანგრევა და გლეხების ეკონომიური განთავისუფლება, — გლეხობის უმრავლესობა აქტიურად არ ჩაება. განმარტოებული მუშათა კლასი დამარცხდა და დამარცხდა გლეხობის ეკონომიური განთავისუფლების საქმეც. გლეხობის უმრავლესობის პასივობამ რევოლიუციის მიმართ გადაარჩინა 1905 წელს სწორედ ის რეჟიმი, რომელიც იყო უპირველესი დამცველი პომეშჩიკური მიწადმფლობელობისა.

ასეთი იყო უმთავრესი წინააღმდეგობანი, რომლებშიაც იყო მოქცეული ტოლსტოის ეპოქის გლეხობა თავის მოქმედებებსა და მისწრაფებებში. ერთის მხრივ უსაზღვრო სიძულვილი და პროტესტი არსებულ წესების მიმართ, მეორეს მხრივ პასივობა და უმოქმედობა სწორ გზის გამონახვაში და პრაქტიკულ ბრძოლებში სწორედ იმ წესების მოსასპობად.

და ცხადია გლეხობის მისწრაფებათა მხატვრულად ამსახავი ტოლსტოი ვერ ასცილდებოდა ამ წინააღმდეგობებს. პირიქით: ტოლსტოის ნაწერებში, როგორც გიგანტურ სარკეში გამოჩნდა ყველას დასანახად მთელი თავისი სიგრძე-სიგანით ყველა ეს წინააღმდეგობანი გლეხურ სინამდვილისა, ყველა სუსტი და ძლიერი მხარეები 1905 წ. რევოლიუციისა და მის მომზადებისა, ის უმთავრესი მიზეზები, რომელთა წყალობით დამარცხდა ეს რევოლიუცია.

და აი აქ ამ მიზეზებში, გლეხობის პასივობაში, უმოქმედობაში და აპოლიტიკობაში ტოლსტოიმ იპოვა „ახალი სიმართლე“, სწორედ ის სიმართლე, რომელიც ხდის ტოლსტოის მოძღვრებას და სწავლას **რეაქციონურად და კონსერვატიულად**. ტოლსტოი მორალისტი, ტოლსტოი ცხოვრების მასწავლებელი იყო, არის და იქნება მტერი რევოლიუციისა და ყოველგვარ წინსვლის ისევე, როგორც მტერი იყო და არის ყოველგვარ წინსვლისა და პროგრესის ყოველგვარი პასივობა, უმოქმედობა და „ღმერთის ძებნა“. ტოლსტოის ახალი სარწმუნოება——царство божие внутри нас—და ამ სარწმუნოებაზე აგებული სამოქმედო მორალი—не противься злу насилием—რეაქციის ქვაკუთხედი იყო. სწორედ ეს მორალი და სარწმუნოება იდო საფუძლად იმ ცდებს, როდესაც ხატებითა და დროშებით ფიქრობდენ „საყვარელი“ მეფის გულის მოგებას „ბოროტ“ ჩინოვნიკებისა და „ურწმუნო“ მღვდლების და მხეც მემამულეთა წინააღმდეგ, თითქოს და ეს ბოროტი ჩინოვნიკების ურწმუნო ხუცები და მხეცი მემამულენი—სისხლი და ხორცი არ იყვნენ „კეთილ“ მეფისა და მთელი მისი რეჟიმის...

ჩვენ ვიცით, თუ რით დამთავრდა ხატებითა და დროშებით თავისუფლების მოპოების ცდა: 9 იანვარს სისხლიანი კვირით. ისიც ვიცით, რომ ტოლსტოის „ახალი“ სარწმუნოება და საკმაოდ ძველი მორალი დამარცხდა და მოკვდა 1905 წლის რევოლიუციასთან ერთად. რადგან ამ რევოლიუციაში, სხვათა შორის, საბოლოოდ გაიფანტა ილიუზიები—ხვეწნით და მუდარით თავისუფლების მოპოებისა. აშკარა შეიქნა, რომ მხოლოდ ძალდატანებით, მხოლოდ სისხლიანი ბრძოლებით, მხოლოდ დაუზოგავი შეტევებით შეიძლება ძველი რეჟიმის დანგრევა და ეკონომიური და პოლიტიკური თავისუფლების მოპოება ყველა დაჩაგრულთათვის და მათ შორის გლეხობის ფართო მასებისათვის.

სასაცილოა და სულელობა, ყველასათვის მისახვედრი, რაიმე ცდა ტოლსტოის მოძღვრებისა და სარწმუნოების გამოცოცხლებისა დღეს, იმპერიალისტურ ომების და რევოლიუციების ამდენ გამოცდების შემდეგ. ტოლსტოი მოძღვარი და „პროპაგანდისტი“ წარსულ ისტორიის არქივს ჩაბარებულ დროებს ეკუთვნის, ვერავითარი „ალქიმიკოსები“ ვერ გააცოცხლებენ მას.... ლენინის და მუსოლინის სისტემათა ბრძოლების ეპოქაში — ტოლსტოის, ავტორის „ახალი სახარების“, „რაშია ჩემი რწმენა“, „ცხოვრების აზრი“ და სხვა, ადგილი უკვე არა აქვს... მოკვდა ნეტარხსენებული პლატონ კარტაევი („ომი და ზავი“), ბაბუა აკიმი, („მეუფება წყვდიადისა), ალიოშა ქოთანი („ალიოშა გორშოკ“), უსახელო მათხოვარი („აღდგომა“)—ყველა ეს „ჭკვიანი“, ტკბილი და უწყინარი მოწაფეები გრაფ ტოლსტოისა, რომელთაც უკვე მოუნახავთ „მეუფება უფლისა თავიანთ თავში“ და ამიტომ არ „ეწინააღმდეგებიან ბოროტებას ძალდატანებით“... მოკვდენ ისინი, დაიხოცენ, რადგან, აბა სად უნდა მოძებნონ თავის ადგილი დღევანდელ ეპოქაში მათ... კულაკებისა და ღარიბების კბილებდალესილ ბრძოლების სოფელში,—ადგილი არა აქვს პლატონ კარატაევის ტიპის უილაჯო და უხერხემლო „ფილოსოფოსებს“... და ცხადია: როდესაც ისმება საკითხი: ვინ იყო ტოლსტოი, როგორც მოძღვარი მორალისტი, ავტორი პლატონ კარატაევის და ბაბუა აკიმის პასიური ფილოსოფიისა,—„ნუ ებრძვით ბოროტებას“, „ღვთის მეუფება ეძებეთ თვით თქვენ თავში“, „კეისარს კეისრისა და ღმერთს ღმერთისა“,—ცხადია, ამ კითხვაზე ჩვენ პარტიას ქონდა და ექნება მხოლოდ ერთი პასუხი: რეაქციონერია და კონსერვატორი ტოლსტოი, რევოლიუციის ობიექტიური მტერი და მისი გამარჯვების ხელის შემშლელი... ამ ტოლსტოის ჩვენი პარტია ყოველთვის ებრძოდა, ებრძვის და ებრძოლება მანამ, სანამ ამის საჭიროება კი იქნება...

მაშ, თითქოს გამოდის, რომ შეცდა ლენინი, როდესაც ტოლსტოის მემკვიდრეობა პროლეტარიატს უანდერძა, როდესაც სთქვა, რომ ტოლსტოი მუდმივ იქნება ძვირფასი მშრომელთა მასებისათვის— კითხულობს ლუნაჩარსკი და იქვე უპასუხებს:

„არა. ჩამოვთვალოთ რა არის ძვირფასი ჩვენთვის ტოლსტოიში. პირველად ყოვლისა, გოლიათური სიძლიერით ახატვა ცხოვრებისა, როგორც შინაარსის მხრივ, ისე შესრულების მხრივაც, საოცარი შედუღებით მხატვრობისა და უბრალოების. ამ გაგებით ის ჩვენი მასწავლებელია. შემდეგ, უმახვილესი კრიტიკა ცხოვრების ყოველგვარ მხეცურ თვისებების წინააღმდეგ. იშვიათად მოინახება მეორე ისეთი მწერალი, რომელსაც ქონდეს ისეთი მუდმივი და შეურიგებელი სიძულვილი ყოველგვარ უსამართლობის და ადამიანის ადამიანთა მიერ ჩაგვრა-ბატონობის ყოველგვარ ფორმების მიმართ. ამ გაგებით ტოლსტოი ჩვენი მოკავშირეა.

დაბოლოს, მისი უდიდესი წყურვილი სიმართლისა, სიყვარულის. ერთობის, რომლებიც მას შეუძლია გამოხატოს ასეთი საკვირველი სილამაზის სიტყვებით — ყველაფერი ეს აგრეთვე ჩვენი ამოცანაა. ჩვენც გვწყურია ყოველივე ეს. ჩვენ ვიცით, რომ მათი განხორციელება შეუძლებელია ტოლსტოის რეცეპტით. მაგრამ ეს ჩვენი იდეალია და იმდენად, რამდენადაც იგი გვეძახის თავის წმინდა და მაღალი ხმით ამ იდეალისაკენ, იგი ჩვენი ძმაა...

„ტოლსტოი წინასწარმეტყველია ჩვენი გლეხობის, იდეოლოგი — მთელი მისი დიადი დადებითი და უარყოფითი მხარეებით“. ასე ათავებს ერთ თავის წერილს ტოლსტოიზე ლუნაჩარსკი და ჩვენ ვფიქრობთ: სწორედ ასეთი დაფასება შეუძლია მისცეს ტოლსტოის ჩვენმა პარტიამ. და ეს იქნება ერთად-ერთი ლენინური და მარქსისტული დაფასება „იასნაია პოლიანის“ საოცარი მოხუცის, ბრძენისა და ხელოვანის დიად შემოქმედებისა.

ვალ. სახტაძე.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

აბრეშუმის პარკი

თელავი, 1 აგვისტო. „საქართველოს აბრეშუმის" დამამზადებელმა პუნქტმა კახეთის მაზრაში მიიღო 8.600 ფუთი ნედლი აბრეშუმის პარკი, რომელიც თელავის აბრეშუმის სართავ ფაბრიკას გადაეცა გადასამუშავებლად. (ადს).

ნაოსნობის გახსნა მდ. რიონზე

ფოთი, 1 აგვისტო. 30 ივლისს გაიხსნა ნაოსნობა მდ. რიონზე, დღეს დილით, სამტრედიაში წავიდა პირველი გემი „ელიავა", რომელმაც თან წაიყვანა მგზავრები. (ადს).

საბინაო მშენებლობა ტყვარჩელში

სოხუმი, 2 აგვისტო. ივლისის ბოლო რიცხვებში „იუგოსტალ"-მა ტყვარჩელში მიავლინა ინჟ. სტალნიკოვი, რომელმაც გამოიკვლია მომავალი მაღაროების მუშებისათვის ბინების მოწყობის საკითხი, როგორც გამოირკვა, 2 წლის განმავლობაში საბინაო მშენებლობისათვის საჭირო იქნება 4 მილიონი კუბ. ფუტი ხე-ტყის მასალა, საჭიროა ადგილობრივად აგებულ იქნეს ხის დამამუშავებელი, აგურ-კრამიტისა და ბეტონის ქარხნები და მექანიკური სახელოსნო. ამორჩეულ იქნა ადგილი ბინებისათვის, გათვალისწინებულ იქნა საცხოვრებელი სახლების ტიპი და ზომა. სახლები ნავარაუდევია 2.100 მუშა-მოსამსახურისათვის. ოჯახებითა და ჩამოსული მოსახლეობით სახლებში მოთავსდება 8.000 კაცი. (ადს).

სასოფლო-სამეურნეო აღწერა

ბაშკიჩეთი, ბორჩალოს მაზრა

ბაშკიჩეთის რაიონში დასრულდა სას.-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრ ობიექტების აღწერა და დაიწყო საგადასახადო ფურცლების დამზადება.

გადასახადის სისტემა წელს ძლიერ დაახლოვებულია საშემოსავლო გადასახადთან და უნდა ითქვას, რომ ჯერ არ ნახული ენტუზიაზმი გამოიწვია გლეხობაში დასაბეგრ წყაროების აღრიცხვამ, რაც უნდა მიეწეროს იმას, რომ სას. გადასახადის წყაროებთან ერთად აღრიცხვაზე აჰყავთ სახ. დაზღვევის სავალდებულო საგანაკვეთო დასაბეგრი წყაროებიც. აღრიცხული სამეურნეო დასაბეგრ და დასაზღვევ წყაროების რაოდენობა და სივრცე, როგორც არის მსხვილფეხა საქონელი, ხნული და სხვა გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას სას.-სამ. გადასახადის დასაბეგრ წყაროების აღრიცხვაში დიდი დახმარება გაუწიეს ადგილობრივ სოფლის კომკავშირის ორგანიზაციებმა, გლეხკომებმა, საბჭოს წევრებმა და ღარიბთა მოსახლეობამ, რითაც შესაძლებელი გახდა თავიდან აცილებულიყო არა სწორი აღრიცხვა.

იყო შემთხვევები ზოგიერთ სოფლებში. მაგ. სოფ. დიდი-გომარეთში, ირგანჩაიში და დისდუმანისში კულაკებმა შეეცადნენ ორგანიზაციის მოწყობა ზოგიერთ ღარიბების მოტყუილებით, გლეხობის წინააღმდეგ კომისიებში შესვლის მიზნით და სხვა. მაგრამ ღარიბ გლეხობისა და ადგილობრივი პარტორგანიზაციის მთლიანობასთან ისინი სრულიად უძლურნი გამოდგნენ.

ამრიგად წელს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე გაუგებრობა თავიდან აცილებულია და სას.-სამ. 1928-29 წლის დასაბეგრი წყაროების აღრიცხვა მეტად დამაკმაყოფილებლად ჩატარდა.

გერონტი.

სახალხო ქონება ნადგურდება

(წერილი სურამიდან)

სურამის თემაღმასკომი სახალხო ქონების მოვლა-პატრონობისათვის დიდ გულგრილობას იჩენს. მაგალითად 1924 წელში ვაჭარ არუწოვს ჩამოართვეს ვენახი, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ მოუვლელობის გამო განადგურებულია; ყოფილ აზნაურ შურმანიშვილზე ჩამორთმეული ვენახიც განადგურების პირასაა. გული გიკვდება, როდესაც ამ ვენახის ახლო-მახლო მდებარე კერძო პირების ვენახები მოვლილი და გასუფთავებულია. ხოლო აღმასკომის კუთვნილი კი დაუსარავი და დაუთოხნავი.

1924 წელში სოფ. ტეზერში მცხოვრებ მიშა ორჯონიკიძეს ჩამოართვეს სახლი და ხეხილის ბაღი. ზემოაღნიშნულ სახლში გახსნილ იქნა კლუბი, მაგრამ რას ვხედავთ? ოთხი წლის განმავლობაში აღნიშნული სახლი ნახევრად განადგურებულია და ბაღიც ნადგურდება.

იმედია სამაზრო აღმასკომი დაიხსნის სახალხო ქონებას განადგურებისაგან.

ტალკვესი.

წერილებიდან

კოდი (დუშეთის მაზრა). კოდში გვაქვს კოოპერატივი და მის პირდაპირ კი ვაჭრობს ძოქ. „ყამბოლა", რომელიც ყიდის წვრილმან საგნებს; თამბაქოს და ამზადებს აგრეთვე სადილსაც. ეს ჩარჩი იმდენად დახელოვნებულია თავისი ტკბილი სიტყვებით; რომ გლეხობა მის დუქანს უფრო ეტანება, ვიდრე კოოპერატივს. საჭიროა ამ ჩარჩის წინააღმდეგ ბრძოლა და კოოპერატივის მიერ წითელი სადილის გახსნა.

ქარიშხალი.

ზემო-ჭალადიდი; (სენაკის მაზრა). ს. სირობანში ადგილობრივ მნიშვნელობის ტყის ძველად მსახურობს ღარიბი გლეხი ლავრენტი ჯაჯავა. ამ რამდენიმე ხნის წინედ მას მისცეს სულ მცირე ხელფასი 1927 წლის ნამსახური და განუცხადეს, რომ მიმდინარე წლის ნამსახურს ვერ მიიღებს. საჭიროა შრომის ინსპექტორმა მიიღოს ზომები ერთგული მოსამსახურის ინტერესების დასაცავად.

დ. ლ—ა.

სამიქაო-მაიდნის თემი, (სენაკის მაზრა). ს. მაიდანში გლეხობა თვითდაბეგვრის საშუალებით აშენებს გლეხთა ახალგაზრდობის სკოლის შენობას. პირველად განზრახული იყო ხის შენობის აგება, მაგრამ ამავე სოფლის გლეხობის მოთხოვნით სკოლა შენდება აგურით. გლეხობა დიდ აქტივობას იჩენს აღნიშნული სკოლის შენობის აგებაში.

იჭაური.

წერილები

საზაფხულო საძოვრებზე

წერილი თელავიდან

საზაფხულო საძოვრები ჩვენ ბევრი გვაქვს. მარტო მთა-თუშეთში 60.00 ჰექტარამდე მოედანია საძოვარი, მაგრამ მოუწყობლობის და უგზოობის გამო მთლიანად გამოყენებული როდია.

ჩვენს თუშებს ძალიან მცირეთ რომ ვიანგარიშოთ, 250.000 სული ცხვარი ჰყავთ. აქედან 10—12.000 ცხვარი მიდის საზაფხულოთ თრიალეთის მთებში, 100.000 სული ლეკის მთაში (დაღესტანის რესპუბლიკაში), დანარჩენი კი—ფშავის და მთა-თუშეთის მთების საძოვრებზე. მშვენიერია ეს საძოვრები რომელნიც კავკასიონის მთავარ ქედის კალთებზე არიან გადაჭიმულნი. სუფთა, გამჭირვალე ჰაერი, ლამაზი ბუნება, ცივი, ანკარა წყაროები საუცხოვოდ მოქმედობენ ადამიანის ჯანმრთელობაზე.

აი, ასეთ პირობებშია ჩვენი მწყემსები. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ათ არც საჭმელი აქვთ საკმაო და არც სათანადოთ მოწყობილი ბინები. პური აქ მარტო ოცნების საგან წარმოადგენს. იშვიათად თუ სადმე გამოაცხობენ პურს ბინებში. პურის მაგივრად ხმარობენ ქუმელს. ცეცხლზე მოშუშულ და ქვებზე დაროშილ ფქვილს.

ბინები კი ზოგიერთ რაიონებში, განსაკუთრებით ლეკის მთაში, მწყემსებს სრულებით არა აქვთ. „ვერ მოვაწყვეთ ბინები, რადგან არ ვიცით რა პირობებში იქნება აქ, კვლავ შემოგვიშობენ თუ არა; ლეკების საძოვრების საკითხი ჩვენთვის დღემდის მოუგვარებელია"—ამბობენ მწყემსები.

ამ დღეებში ლეკეთის მთაში ჩამოვიდნენ „მწყემსი"-ს წარმომადგენელი ამხ. უმარაულოი და სახკომსაბჭოდან ამხ. ი. ხილიბეგიშვილი. მათ დასდეს საძოვრების შესახებ ტრიაროტის აღმასკომთან ხელშეკრულება, რომლის ძალით მთიულთა რესპუბლიკა გვითმობს საძოვრებს სამი წლით 90.000 ცხვრისათვის. გარდა ამ ორ ამხანაგისა, ჩამოვიდა კახეთის მაზრის სასოფლო-სამეურნეო და ტყის მუშაკთა კავშირის მწყემსთა შორის მომუშავე ამხანაგი, რომელიც ეცნობა მწყემსების მდგომარეობას და აწარმოებს პროფესიონალურ-კულტურულ მუშაობას. ეს ლეკების მთებში. უფრო ცუდათ არის საქმე მთა-თუშეთში. გზის გაყვანის საკითხმა მიიძინა. „დაგვრჩა ხელში პროექტები და დაპირებები"-ო —ამბობენ თუშები.

საძოვრების მოწყობა სწარმოებს: ეხლა მუშაობს 2 მიწის მზომელი, მაგრამ როდის დამთავრდება ასეთი მცირე ძალებით ეს მუშაობა, ამისი თქმა ძნელია.

საექიმო დახმარებაზე არამც თუ მწყემსებში, არამედ თვით თუშის სოფლებში ლაპარაკი ზედმეტია. ქვების საკითხი ძალიან ცუდათ არის: თვით მთა-თუშეთში ცუდი მოსავალი იყო, უგზოობის გამო ბარიდან საქვების ატანა ძნელი და საზიფათოა.

ამინდები საძოვრებზე წელს ხელსაყრელი არ არის. ხშირად წვიმს. ამის გამო ყველი ნაკლები კეთდება, ცხვარი მატყლს წესიერად არ „უშვებს".

სამაგიეროდ, ერთი სასიამოვნო მოვლენას აქვს ეხლა აქ ადგილი. თუშებს და ქისტებს შორის დამყარებულია მეზობლური კეთილგანწყობილება. უკვე მეორე წელიწადია საზღვრებზე არა სდგანან ყარაულები და არ ყოფილა ცხვრის გარეკის, ან ყაჩაღურად დაცემის შემთხვევები. საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო შეერიგებინა ეს ორი პატარა ერი გადაკიდებული ერთმანეთს „სისხლის ღების" ნიადაგზე.

საჭიროა, რომ მთა-თუშეთის და საზაფხულო საძოვრებზე დაბანაკებულ მწყემსებს მიექცეს მეტი ყურადღება.

ტ. კაკულია.

რაჭა-ლეჩხუმის გაერთიანებული პლენუმი

(წერილი ჭრებალოდან)

22 ივლისს ჭრებალოში გაიხსნა რაჭა-ლეჩხუმის მაზრაღმასკომების გაერთიანებული პლენუმი. პლენუმს ორთავე მაზრების წარმომადგენლები თითქმის მთლიანად დაესწრო. დღის წესრიგში მხოლოდ ორგანიზაციული კითხვები იყო. ცენტრიდან პლენუმს დაესწრო ამხ. კაკაბაძე, რაჭა-ლეჩხუმის მაზრების გაერთიანების საკითხს კმაყოფილებით შეხვდნენ და კიდევაც გამოყვეს პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობაში სხვათა შორის შედიან: ამხ. პარმენ წულუკიძე, სიამაშვილი, ჭელიძე, გულბანი, ხუციკელაშვილი და სხვები.

აღმასკომის თავმჯდომარედ პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხ. პარმენ წულუკიძე, თანაშემწედ კი გულბანი. გაერთიანებული მაზრების პარტიულ კომიტეტის პ.-მგ. მდივნად არჩეულია ამხ. ანდრო სიამაშვილი:

არჩევნების დასრულების შემდეგ გამოითქვა აზრი, რომ გაერთიანებული მუშაობა დაწყებულ იქნეს ა. წ. 1-ლ ოქტომბრიდან. ახლად არჩეულ პრეზიდიუმს ევალება შეუდგეს ზრუნვას და სახსარის გამონახვას ჭრებალოში სახლების ასაგებად.

დღის წესრიგში დასმულ საკითხების ამოწურვის შემდეგ პლენუმი დაიხურა სრული კმაყოფილებით. ჭრებალოში მაზრების ცენტრის გადმოტანას თანაგრძნობით შეხვდნენ დამსწრე ამხანაგები. ამიერიდან რაჭა-ლეჩხუმის მაზრები შეერთებული არიან ერთ მთლიან ადმინისტრატიულ ერთეულად, რაც წინ წასწევს ამ მაზრების მშრომელი ხალხს კულტურულად და ეკონომიურად.

პ. ფრუიძე.

—:—

თავის მოვალეობას არ ასრულებს

აწყურის თემი, ახალციხის მაზრა

აწყურის მთელ თემს აქვს ერთი აფთიაქი რომელიც მოთავსებულია აწყურში. ამ თემის მოსახლეობა უფრო მოლებში და ექიმბაშებში ეძებს წამლებს. ამას სხვათა შორის ხელს უწყობს ის გარემოება, რომ აფთიაქის კარები მუდამ გამოხურულია. აფთიაქის გამგე ვ. ცურინოვი დიდია რომ ერთად-ერთი საათი გაჩერდეს აფთიაქში, შემდეგ კი სახაიეში ნარდს თამაშობს სპეკულიანტ-ყასბებთან; ძალიან ხშირია შემთხვევა, რომ აფთიაქის გამგეს გლეხები რეცეპტით ხელში დაეძებენ ხან სახაიეში და ხან სამიკიტნოში. ადგილობრივ ორგანოებიდან რამოდენჯერმე მისცეს შენიშვნა, მაგრამ ეს შენიშვნა შეუმჩნეველი რჩება.

ამასთანავე გამგე ცურინოვი ხშირად ქალაქში დადის და ამ დროს აფთიაქში მისი ცოლი ჰყიდის წამლებს, რაც დაუშვებელია და სანამ ვინმე მოიწამლებოდეს ამას დროზე უნდა მიექცეს ყურადღება.

აფთიაქში არ არის დაცული სისუფთავე აფთიაქს ჰყავდა დარაჯი, რომელსაც გამგე უფრო თავის კერძო საქმეზე იმსახურებდა. რასაც მთელი თემი დაამტკიცებს. აზიდვინებდა სარეცხის წყალს, აგზავნიდა პურისთვის ხორცისთვის და სხვა. ამის გამო დარაჯმა სამსახურს თავი დაანება. დღეს 4 თვეა · რაც დარაჯი არა ჰყავს აფთიაქს, გლეხებში ხმებია, რომ ცურინოვი დარაჯის ფულს თითონ იღებს და დარაჯი კი არა ყავსო.

ყველა ამ დეფექტებს დროზე უნდა მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

ვაკატუშ.

მუშათა ცხოვრება

სუფთად არ მზადდება

(ბორჯომის გაზის ქარხანა)

ამ ბოლო ხანებში არა ერთი წერილი დაბეჭდილა ბორჯომის გაზჩამომსხმელ ქარხნის მიერ უვარგისი წყლის გამოშვების შესახებ. ეს საკითხი ქარხნის საწარმოო კომისიის სხდომაზეც იყო განხილული. კომისიაზე მუშები მიუთითებდნენ სხვადასხვა დეფექტებზე და აძლევდნენ წინადადებებს მის გამოსასწორებლად. რასაკვირველია, უვარგისი წყლის გამოშვება ბაზარზე, სცემს წყლის ფასს, იწვევს კლიენტების საფუძვლიან საჩივრებს და უკარგავს მარკას. წელს, გეგმით გათვალისწინებულია წყლის ჩამოსხმა 11 მილ. ბოთლამდე. რისთვისაც საჭიროა ფართე ბაზარი.

წყლის ხარისხის უვარგისობის ერთ უმთავრეს მიზეზად, როგორც ეს არის აღნიშნული კომისიების ოქმებში, უნდა ჩაითვალოს ის, რომ ჩამწყობ განყოფილებაში დამწყობლები ნაკლები ყურადღებით ეპყრობიან საქმეს. მათი მოვალეობაა არ გაუშვან უვარგისი წყალი, სინამდვილეში კი სულ სხვა ხდება. ბაზარზე წყალი ხშირად უვარგისი გადის. ამის აღმოსაფხვრელად საჭიროა ადმინისტრაციის თვალი. ქარხნის დირექტორი მართალია კარგად მუშაობს, მაგრამ ერთი კაცი ვერ სწვდება ამ დიდ საქმეს. ჩამწყობი განყოფილება დაშორებულია ქარხანასთან დაახლოებით სამი ვერსის მანძილზე. ამიტომ საჭიროა ქარხნის გამგეს ჰყავდეს თანაშემწე, რომელიც დაეხმარება გამგეს და ხელს შეუწყობს კარგს და სუფთა წყლის გამოშვებაში. ამით სამუდამოთ მოვსპობთ უვარგისი წყლის გამოშვებას.

მართალია ქარხნის გამგეს ჰყავს თანაშემწეთ სტატისტიკოსი ამხ. ცეიმონი, მაგრამ ის როგორც სტატისტიკურ განყოფილების გამგე, უმეტეს შემთხვევაში კანტორაში იმყოფება და ამით ნაკლები ყურადღება ექცევა წარმოებას. წარმოების გაუმჯობესების მიზნით, აუცილებელი საჭიროა ქარხნის გამგის თანაშემწის თანამდებობაზე წამოყენებული იქნეს წარმოებასთან კარგად გაცნობილი მუშა.

ამის შესახებ სიტყვა ეკუთვნის საწარმოო კომისიას და ქარხკომს.

დიმ.

—:—

კლუბის მუშაობას ხელს უშლის

(წერილი ქუთაისიდან)

წელიწადზე მეტია, რაც სადგურ ქუთაისის რკ. გზის კლუბს დრამწრის ხელმძღვანელად დაქირავებული ჰყავს მოქ. შ. ხონელი, რომელიც სანამ დაიხურებოდა სახელმწიფო თეატრის სეზონი, დიდ იმედებს გვაძლევდა იმისას, რომ დრამწრის მუშაობას გამოაცოცხლებდა. კლუბის გულუხვმა გამგეობამ დაუჯერა ჰა და ზამთარშივე ჩარიცხა შტატში. გათავდა ზამთრის სეზონი. თანახმად მუშათა კლუბების წესდებისა, კლუბში ჩამოყალიბდა დრამწრე, რომლის ხელმძღვანელობა დაევალა მოქ. ხონელს. უკანასკნელმა სიამოვნებით მიიღო ეს საპატიო თანამდებობა, მაგრამ ზამთარში დაზარმაცებულს, ზაფხულშიც ეწვია მუშაობა კლუბზე გულგრილობა; წრეში წაიკითხა მხოლოდ ორი ლექცია და გაარჩია რაღაც პიესები ზეპირათ. ამით მან ამოწურა თავისი ლექცია ხელოვნების შესახებ. მსმენელები თანდათან ჩამოშორდნენ და მალე წრეც სავსებით დაიშალა. მაგრამ ხონელი ამით არ დაკმაყოფილდა, მართალია წრე დაიშალა, მაგრამ იგი ჯამაგირს კვლავ ღებულობს.

ამის შესახებ კედლის გაზეთმა მიუთითა კლუბის გამგეობას. ის იწყინა ხონელმა და აარჩია 4—5 სცენის მოყვარე, მოამზადა ერთი პიესა და იმის მაგიერ, რომ ხსენებულ კლუბში გამართოს წარმოდგენები, მან ადგილობრივი ძალებით მოხეტიალე დასი შექმნა, რითაც ხელი შეუშალა ჩვენი მუშათა კლუბის მუშაობას.

საჭიროა ასეთ ხელმძღვანელებს ფეხი აღეკვეთოთ მუშათა კლუბებში. ხონელი განთავისუფლებული უნდა იქნეს თავის თანამდებობიდან.

გოდ.

გახურებულ ღუმელთან

ამხ. თამარა სიკორსკაია, ბორჯომის შუშას ქარხანაში მუშაობს ბოთლების ამომრჩეველად 1922 წლიდან. ამ ხნის განმავლობაში იგი პირნათლად ასრულებს, როგორც დაკისრებულ საქმეს, ისე სხვადასხვა საზოგადო მუშაობასაც. სიკორსკაია არჩეული იყო დელეგატად და სისტემატიურად ესწრებოდა სადელეგატო კრებებს. დაინტერესებულია და ხელს უწყობს ქალთა შორის მუშაობის გაძლიერებას და მის გაჯანსაღებას. საერთოდ ამხ. სიკორსკაია ერთი აქტიური მუშათაგანია ბორჯომის შუშის ქარხნისა.

ამხ. ნ. სალარიძე, მუშაობს ამავე ქარხანაში 1917 წლიდან, იგი ამჟამად 35 წლისაა, ძალღონით და ენერგიით სავსე. ამხ. ნასტია აქტიურ მონაწილეობას ღებულობს კრებებზე და ხელს უწყობს როგორც ქარხნის მდგომარეობის გაუმჯობესებას, ისე პროფმუშაობისა და ქალთა აქტივობის გაძლიერებას.



ამხ. თ. სიკორსკაია

ამხ. ნ. სალარიძე

ამხ: მარო ზაქაშვილი

ამხ. მარო ზაქაშვილი, უკვე ათი წელიწადია მუშაობს ქარხანაში. იგი, მიუხედავათ თავისი ხნოვანობისა და მოღლილობისა ენერგიულ მუშაობას ეწევა სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. მარო არჩეული იყო დელეგატად, საიდანაც იგი გადავიდა კომპარტიის რიგებში. ამხ. მარო ერთი იმ მუშა ქალთაგანია ბორჯომის შუშის ქარხანაში, რომელმაც თავისი პატიოსანი შრომით დაიმსახურა მუშების სიყვარული და პატივისცემა.

მუშა.

—:—

დაამთავრეთ დაწყებული საქმე

მიმდინარე წელს, როგორც იყო არტილერიის ბალკების ერთი ქუჩა მოკირწყლეს და ნამდვილ ქუჩას დაამზგავსეს, მაგრამ მარტო მოკირწყვლა არ კმარა. საჭიროა მისი მოვლა-დაგვა და დასუფთავება. მის დაგვაზე კი არავინ ფიქრობს. ნათქვამია: „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებოდნენო". სწორედ ჩვენს ქუჩას ემართება ასე. ვის და რა მოსაზრებით, არავინ იცის, შუა ქუჩაში, ორ-სამ ადგილას დაუყრია მიწა, რომელიც რასაკვირველია, წვიმის დროს ატალახდება და შეუძლებელი გახდება გავლა.

გარდა ამისა, ამას წინად მეორე ქუჩას დაუწყეს თხრა და მიატოვეს ისე ოღრო-ჩოღრო დარჩენილი ადგილები, სადაც პატარა რუსაგან ჩნდება მყრალი გუბეები და ლორებიც აბინძურებენ. საჭიროა პატრონობა, თორემ მყრალი გუბეების სუნით ვიხრჩვებით ამ სიცხეში.

მეეზოვეებს უნდა დაევალოს ქუჩების დაგვა საერთო წესით, თორემ აქაური მეეზოვეები სრულიად არ ზრუნავენ ქუჩის სისუფთავეზე.

ნ. ახ—ლი.

მუშა-მოჯამაგირეთა შორის მუშაობისათვის

მუშა-მოჯამაგირეების მისწრაფებას, კულტურულ დარგში, საბჭოთა ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს; მუშა-მოჯამაგირეების გასათვითცნობიერებლად და მათი კულტურული დონის ასაწევად არსდება კლუბები, სკოლები, ბიბლიოთეკები და სხვა კულტურული დაწესებულებები. ფართოვდება და ღრმავდება მუშაობა კულტურულ ფრონტზე და საერთოდ იზრდება მათი კულტურული მოთხოვნილება.

ამის შესახებ მიწა-ტყის კავშირის მეშვიდე ყრილობამ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიუხედავათ ჩვენი კავშირის წევრების კულტურულად ჩამორჩენილობისა და მათი დაქსაქსულობისა, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა შევძლოთ უახლოეს ხანში წ.-კითხვის უცოდინართა სრული ლიკვიდაცია და მათი კულტურული დონის საგრძნობლად აწევა. ამიტომ კავშირის ორგანოებთან ერთად, კლუბების და სამკითხველოების ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მუშა-მოჯამაგირეთა შორის მუშაობას; უნდა გაფართოვდეს მუშა-მოჯამაგირეთა ჩაბმა სხვადასხვა წრეებში; წითელ და მოჯამაგირეთა კუთხეებში, ლიკპუნქტებში, გლეხკრთა წრეებში, საოჯახო კოლეგიებში და სხვა. აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნაციონალურ ენაზე მეცადინეობის საქმეს.

მუშა-მოჯამაგირეთა აქტიური მონაწილეობით ხშირად უნდა იწყობოდეს სადამო-წარმოდგენები, გასამართლებები კულაკის, უხეში დამქირავებლის, კავშირის პასიური წევრის და სხვ.

ასეთი საშუალებით შევსძლებთ მუშა-მოჯამაგირეების კულტურული დონის ამაღლებას და მათი საბჭოთა და სხვა საზოგადო მუშაობაში ჩაბმას.

ჟანელი.

—:—

გარყვნილების ბუდე

ქალაქის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებას ორთაჭალის რაიონში გახსნილი აქვს უპატრონო ბავშვთა თავშესაფარი, სადაც მსახურობს ორმოცზე მეტი ძიძა. მოზარდ ბავშვების მასწავლებლები და სხვა თანამშრომლები, რომლების 95 პროც. ქალები შეადგენენ.

უნდა ითქვას, რომ თანამშრომელთა შორის კულტურული მუშაობა ვერა სდგას სათანადო სიმაღლეზე. ამას ერთვის ის გარემოება, რომ აღნიშნულ საბავშვო ბაგა-ბაღის მახლობლად, ვიღაც ჩოფურაშვილს გახსნილი აქვს რესტორანი, რომელიც წარმოადგენს ნამდვილ გარყვნილების ბუდეს, სადაც მთელი დღე-ღამეობით გახურებულია ქეიფი და არის ერთი აყალმაყალი. არღანის და ზურნის ხმით, საბავშვო ბაღის თანამშრომლებს ყურები გამოჭედილი აქვთ. ქეიფს ხშირად მოსდევს ჩხუბი და ერთმანეთის უშვერი სიტყვებით ლანძღვა-გინება. ყველა ამის მოწმენი ხდებიან როგორც საბავშვო ბაღის თანამშრომლები, ისე მოზარდი ბავშვებიც.

ქალაქის აღმასკომმა უნდა მიიღოს ზომები აღნიშნულ გარყვნილების ბუდის დასაკეტად.

ვ. გვარამაძე.

—:—

მუშკორთა წერილებიდან

ინვალიდების კლუბი. ამ დღეებში, ქსენოფონტის ქუჩაზე გაიხსნა ინვალიდების კლუბი, სადაც უკვე სწარმოებს საწრეო და საერთოდ საკლუბო მუშაობა, გამოვიდა კედლის გაზეთის პირველი ნომერი, რომელშიც გაშუქებულია ინვალიდების ყოფა-ცხოვრება და სხ. სათანადო ორგანოებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ კლუბს.

ლ. ხ.

რად დააბრუნეს უკან? თბილისის ფოსტის კანტორიდან ამას წინად მოითხოვეს ოთხი უმუშევარი დროებითი სამუშაოზე. შრ. ბირჟამ, რიგის მიხედვით გაგზავნა უმუშევრები, მაგრამ ფოსტის კანტორის საქმის მმართველმა მოქ. ჯიხუტიამ ისინი მკვახე პასუხით გაისტუმრა უკან. არ ვიცით რათ. შრ. ბირჟამ უნდა გამოარკვიოს ეს საქმე.

ელიზბარაშვილი.

უხეშად გვეპყრობა (ოზურგეთი). ოზურგეთის აბრეშუმის ძაფ-საღები ქარხნის უფროსი მუშა მოქ. თ. გიორგაძე, უხეშად და უდიერად ეპყრობა მუშებს. ამის შესახებ მუშებმა მიმართეს ქარხკომს, მაგრამ გიორგაძეს გამოსწორებას საშველი არ დაადგა.

ქარ—მუშა.

პროფმუშაობის გასაცხოველებლად

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ გამოაქვეყნა საინფორმაციო-სადირექტივო წერილი, რომელშიაც აღნიშნულია პროფმუშაობის მთელი რიგი ნაკლოვანებანი და საზიანო მოვლენები, რომელთა აღმოსაფხვრელად საჭიროა გადამწყვეტი ზომების მიღება.

ამ მოვლენათა ანალიზიდან ირკვევა პროფმუშაობაში სწორი ხაზის გამრუდების მიზეზები და ის აღმაშფოთებელი ფაქტები, რომელნიც ზოგიერთ პროფორგანიზაციების გადაგვარებას ამჟღავნებენ.

წერილში აღნიშნულია ის ღონისძიებანი, რომელთა მტკიცედ ცხოვრებაში გატარება გამოაცხოველებს პროფმუშაობას და აღმოფხვრის დეფექტებს.

ამის გამო, ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ყველა პროფორგანიზაციებს:

უახლოეს თავის მოქმედებას საფუძვლად დაუდვან დირექტივები და მითითებანი, რომელთაც სრულიად საკავშირო პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს ხსენებული წერილი შეიცავს.

ხელმძღვანელ საკავშირო ორგანიზაციებმა ზედმიწევნით შეისწავლონ ეს წერილი და დაამუშაონ იგი ქვემდგომ საკავშირო აქტივთან და საერთო კრებებზე, რისთვისაც მოწვეულ უნდა იქნეს ფაბქარხადგილკომების კონფერენცია თბილისში საკავშირო, ხოლო მაზრებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში საკავშირო და საკავშირთაშორისო ხაზით.

ხსენებულ კონფერენციებზე პროფაქტივის წევრებს და ფართო საკავშირო მასას უნდა გააცნონ წერილის შინაარსი და ზედმიწევნით განუმარტონ იგი.

ამასთანავე მოწვეულ უნდა იქნას აქტივის თათბირები პროფმუშაობის ცალკე დარგების მიხედვით (საკლუბო მუშაკების; ფიზკულტურის ბიუროების, შემგ. საკონფლიქტო კომისიების მუშათა ნაწილის, საწარმოო კომისიების, ურთიერთ დამხმარე კასების გამგეობათა და სხვა) თბილისში საკავშირო, ხოლო მაზრებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში საკავშირო და საკავშირთაშორისო ხაზით.

საკავშირო პროფსაბჭოს საინფ. სადირექტ. წერილი ამ დღეებში გამოვა ცალკე ბროშურად.

ყველა კავშირებს წინადადება მიეცა შეიძინონ ეს წიგნი საჭირო რაოდენობით.

მოთხოვნილების გადიდება საქართველოს მადნეულობაზე

სამთო მრეწველობის ტრესტში მიღებული ცნობებით უკანასკნელი თვეების განმავლობაში საბჭოთა კავშირის ბაზარზე შესამჩნევი გახდა საქართველოდან გატანილ სხვადასხვა მადნეულობაზე მოთხოვნილების ზრდა. განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნილება ბარიტზე, ისე რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში სამთო ტრესტს უჭირს მთელი მოთხოვნილების თავის დროზე დაკმაყოფილება.

გასულ წელთან შედარებით ბარიტზე მოთხოვნილებამ ერთი-ორად იმატა და ამჟამად მიაღწია 20 ვაგონამდე ყოველთვიურად. როგორც ცნობილია ბარიტს ხმარობენ სხვადასხვა სალებავების დასამზადებლათ. საბჭოთა კავშირის მთელი მოთხოვნილების 90 პროცენტი ბარიტზე კმაყოფილდება საქართველოდან გატანილი ბარიტით.

უკანასკნელ ხანებში შესამჩნევათ გაიზარდა მოთხოვნილება ლითოგრაფიულ ქვებზედაც. ამიტომ სამთო ტრესტი გაძლიერებული ტემპით აწარმოებს ლითოგრაფიული ქვების ახალი პარტიების დამზადებას.

სწარმოებს მუშაობა აგრეთვე დიატომიტების მადნის დასამზადებლათ. დიატომიტების პარტიებს ამზადებენ საზღვარ გარეთის ბაზრებზე გასატანათ.

სახელმწიფო ვაჭრობის და კაპიტალური მშენებლობის გეგმები

ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომსაბჭოს უკანასკნელ სხდომაზე განხილული იქნა ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ წარმოდგენილი 1928—29 წლის სავაჭრო მშენებლობის და სახელმწიფო ვაჭრობის ფინანსებით მომარაგების გეგმა.

ამიერ-კავკ. ეკონომსაბჭოს დადგენილებით, სავაჭრო კაპიტალურ მშენებლობის საკონტროლო ციფრი დამტკიცებულია 8.100.000 მან. ხოლო სახელმწიფო ვაჭრობის ფინანსებით მომარაგების გეგმა—1.650.000 მანეთის რაოდენობით.

ამ თანხებიდან სამი მილიონი მანეთი გამოთხოვილი უნდა იქნეს საკავშირო ბიუჯეტიდან, 2.410.000 მან. გათვალისწინებული უნდა იქნეს ამიერ-კავკ. ბიუჯეტით, 2.500.000 მან. სას.-სამ. კრედიტის სისტემით, 1.200.000 მან. საკუთარი თანხებიდან, 300.000 მან. ადგილობრივი თანხებიდან და 350.000 მან. სხვადასხვა ბანკებიდან.

ამ თანხებიდან 1 მილიონი მანეთი გადადებული უნდა იქნეს „ზაკგოსტორგი"-ს ძირითად თანხების გასადიდებლად, 2 მილიონი მანეთი სავაჭრო კაპიტალური მშენებლობის მიზნებისათვის, 1.610.000 მანეთი მაცივრების ასაშენებლად და 350.000 მან. „ზაკავტოპრომტორგი"-ს ავტო-ტრანსპორტის გასაფართოებლად.

ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახ. კომისარიატს წინადადება მიეცა—გამოარკვიოს, შესაძლებელია თუ არა, რომ ამ მიზნებისათვის ამიერკავკასიის ადგილობრივი თანხებიდან გადადებული იქნეს მეტი თანხა, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული.

ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახ. კომისარიატს წინადადება მიეცა აგრეთვე შეადგინოს სავაჭრო კაპიტალური მშენებლობის და სახ. ვაჭრობის ფინანსებით მომარაგების ახალი გეგმა, რომელიც დაყრდნობილი უნდა იქნეს ამიერ-კავკ. ეკონომსაბჭოს მიერ დამტკიცებულ საკონტროლო ციფრზე.

ინდუსტრიალური სააბრეშუმო თესლის გაყიდვისა და დამზადების აკრძალვა

საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის ხელის შეწყობის მიზნით საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა: დაევალოს ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ, კოოპერატიულ ორგანიზაციას და კერძო პირს, რომელიც სააბრეშუმო თესლს ამზადებს და ჰყიდის, აბრეშუმის თესლი, როგორც შემოზიდული, ისე საქართველოს ფარგლებში დამზადებული, წარუდგინოს კონტროლისათვის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

ის სააბრეშუმო თესლი, რომელსაც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სააბრეშუმო სადგური ინდუსტრიალურ თესლად სცნობს, მოსპობილი იქნება, ხოლო ცელულიარულ თესლს გადაეკვრება სათანადო ბანდეროლი.

აკრძალულია იმ სააბრეშუმო თესლის ყიდვა-გაყიდვა და მეაბრეშუმეთა შორის გავრცელება, აგრეთვე საქართველოს ფარგლებიდან მეზობელ რესპუბლიკებში გატანა, რომელსაც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სააბრეშუმო სადგურის ბანდეროლი არა აქვს.

აღნიშნული დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული.

აფხაზეთის და აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოებს წინადადება მიეცათ გამოსცენ ანალოგიური დადგენილება.

ცოტა რამ ფსიქიატრიულ მზრუნველობის შესახებ

(წერილი პროვინციიდან)

პრაქტიკული მედიცინის ეს დარგი ჩვენში ერთობ ჩამორჩენილია. ფსიქიატრიული საწოლების სიმცირის გამო სულით ავადმყოფთა უდიდესი უმრავლესობა მოკლებულია ყოველგვარ დახმარებას. ნაწილი დაბმული ჰყავთ, სხვები კიდევ უპატრონოთ ეხეტებიან ქალაქებში და სოფლებში. მახლობლები ხშირათ იძულებული ხდებიან ავადმყოფის პატრონობაზე ხელი აიღონ, ის სახლიდან შორს წამოიყვანონ და ქუჩაში დასტოვონ. ამ რამოდენიმე ხნის წინეთ გურიიდან თბილისში ჩამოიყვანეს ავადმყოფი გოგელია, რომელიც ქრონიკული სენით იყო შეპყრობილი. ასეთებს საავადმყოფოში არ იღებენ. მხლებელმა ის დიდხანს ატარა ჯანმრთელობის კომისარიატსა და ფსიქიატრიულ სამკურნალოს შუა; ბოლოს, რომ ვერაფერს გახდა, ავადმყოფი ქუჩაში მიატოვა და წავიდა. რამდენიმე დღის შემდეგ რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში მიიტანეს გოგელიას თავგაჭყლეტილი გვამი. უფრო გამძლე ჭირისუფლები არ იმეტებენ თავიანთ ავადმყოფებს, მაგრამ ასეთი თავგანწირვა ბევრ მათგანს მთელი ოჯახის კეთილდღეობის და ზოგჯერ სიცოცხლის ფასადაც უჯდება. მიმდინარე წლის გაზაფხულზე სოფ. ნაგომარში სულით ავადმყოფმა ქალმა თოხით თავი გაუტეხა და მოკლა მოხუცებული დედამთილი. ავადმყოფის ქმარი ადრევე გრძნობდა, რომ ის უბედურებას დაატრიალებდა, ცდილობდა მის გაგზავნას სულით ავადმყოფთა სამკურნალოში, მაგრამ ვერას გახდა, რადგანაც ქალი ქრონიკული ავადმყოფი იყო. ამ რამდენიმე დღის წინეთ სოფ. აკეთში სულით ავადმყოფმა დედამ ცულით დაკლა თავისი პატარა შვილი. ამ წლის დასაწყისს ქ. ოზურგეთში მოკლეს მოქ. გოგიბერიძე. მკვლელი გამოდგა ქრონიკული სულით ავადმყოფი სიხარულიძე, რომელსაც წარსულში აქვს ქურდობისა და მკვლელობის ცდის სამი რეგისტრაცია. ასეთი ფაქტებით სავსეა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება. ბოროტმოქმედთა საგრძნობ ნაწილს სულით ავადმყოფები შეადგენენ. წელიწად ნახევრის წინეთ მე შემთხვევა მქონდა გამესინჯა ოზურგეთის სამაზრო გამსახლის პატიმრები. რამდენიმე ათეულ ტუსაღში 4 აშკარა სულით ავადმყოფი აღმოჩნდა. ალბად, ასეთივე მდგომარეობა იქნება სხვა მაზრებშიაც, ფსიქიატრიული ექსპერტიზის ცუდათ დაყენების გამო (სიმართლე რომ ვსთქვათ, მაზრებში ის სრულებით არ არის) საპატიმროებში ზოგჯერ სხედან არა მარტო გამოძიების ქვეშ მყოფი სულით ავადმყოფები, არამედ მსჯავრ დადებულნიც, სოფლებში ცოტათ თუ ბევრათ აღელვებული ავადმყოფები დაბმული ჰყავთ, მათი ტანჯვა წარმოუდგენელია. ერთხელ ჩემი რჩევით აუშვეს ავადმყოფი, რომელმაც იმ ღამესვე ცეცხლს მისცა და ნაცარტუტათ აქცია მამის სარჩო-საბადებელი. ამის შემდეგ გამობრძანდით და იქადაგეთ ხალხში, რომ ავადმყოფის დაბმა დაუშვებელია. ოჯახში მყოფი სულით ავადმყოფი დამღუპველათ მოქმედებს გარშემომყოფებზე, განსაკუთრებით მგრძნობიარე ბავშვებზე და სუსტი ფსიქიური წყობის პირებზე. ვიცი მაგალითი, როცა პატარა ბავშვებმა სავსებით გადმოიღეს და შეითვისეს სახლში მყოფ ავადმყოფის ქცევა და მანერები. გასულ წელს ფსიქონევროლოგიური ინსტიტუტიდან გასწერეს ქრონიკული სულით ავადმყოფი მ-ე სახლში ის დააბეს, რადგანაც სხ. გამოსავალი არ ჰქონდათ. ავადმყოფს უვლიდა სუსტი ფსიქიური კონსტიტუციის დედა, რომელმაც დიდხანს ვერ აიტანა ეს წამება,—ნერვები აეშალა და მალე გარდაიცვალა. ეს ქრონიკული ავადმყოფების შესახებ.

ბევრად უკეთეს პირობებში არც მწვავე ავადმყოფებია. ჩვეულებრივად მთელი კვირა და ხშირად მეტიც გადის, სანამ თბილისიდან მოვიდოდეს ავადმყოფის გადაგზავნის ნებართვა. ამჟამად ფსიქონევროლოგიურ ინსტიტუტში წევს ავადმყოფი დ—ძე, რომელიც ოზურგეთიდან ბათომში წაიყვანეს (იქაური დამხსალარის წევრია), იქიდან კი 10 დღეზე ადრე ვერ მოხერხდა მისი თბილისში გადაგზავნა. ამ ხნის განმავლობაში ავადმყოფი იწვა ადგილობრივ საავადმყოფოში, იქაურობას იკლებდა და თითონაც იტანჯებოდა საწოლზე დაკრული. ასეთ პირობებში გასაკვირი არ არის, რომ ბევრი სულით ავადმყოფი ექიმბაშების ხელში ვარდება და მოუვლელობით იღუპება. ასე მოკვდა სოფ. შ—ში ავადმყოფი ცეცხლაძე, რომელიც შეპყრობილი იყო ადრე გარდამავალი ფსიქიური აშლილობით.

ჩვენ ამ წერილში აღვნიშნეთ მხოლოდ უმახლობელეს დროში მომხდარ ფაქტების მცირე ნაწილი. ეს ფაქტები ამოკრეფილია ერთი მაზრის ცხოვრებიდან. დარწმუნებული ვართ, რომ სხვა მაზრებშიაც არ არის უკეთესი მდგომარეობა. ამას ადასტურებს თუგინდ ის პატარა წერილი, რომელიც მიიღო კახეთში მომუშავე ერთმა რაიონულმა ექიმმა. წერილის ავტორი სთხოვს ექიმს, რომ მან საწამლავი მიაღებინოს მის სულით ავადმყოფ ძმას. „მე თქვენს წინაშე ვსდებ პირობას, ნათქვამია წერილში, რომ თუ ვინმე გამოგედავოთ, მე ვაგო პასუხი კანონის წინაშე. აღმასკომშიაც ვსწერ წერილს ასეთსავეს და გთხოვთ მისცეთ წამალი," გათავდეს და მოისვენო"-ო.

აუტანელი მდგომარეობაა, ფსიქიატრიული მზრუნველობის საქმეს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ავადმყოფების ინტერესები ,რომ არ მივიღოთ მხედველობაში, მოსახლეობის დაცვისათვის მაინც უნდა მივიღოთ საჭირო ღონისძიებანი. დაუშვებელია სულით ავადმყოფის დატოვება ისეთ ოჯახში, სადაც არ შეუძლიათ ავადმყოფს ცალკე ბინა მიუჩინონ და ოჯახის ყველა წევრები ერთ ოთახში ცხოვრობენ. არ შეიძლება საზოგადოებაში თავისუფლად დარჩეს ისეთი ავადმყოფი, რომელიც გარშემომყოფთათვის საშიშ ელემენტს წარმოადგენს. შეუწყნარებელია, რომ მწვავე და აღგზნებულ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფი დაუყოვნებლივ არ იქნას მიღებული სპეციალურ დაწესებულებაში. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ფსიქიატრიულ ექსპერტიზას, ურომლისოდაც წარმოუდგენელია მართებული მართლმსაჯულება და გამსახლების განტვირთვა სულით ავადმყოფებისაგან. ეს არის ის მინიმუმი, რაც ახლო ხანში უნდა გაკეთდეს ფსიქიატრიული მზრუნველობის დარგში. ვერ ვიტყვით, რომ ამ საქმეს გულშემატკივარი არა ჰყავს, მაგრამ რატომღაც ყველაფერი, რაც ამ საკითხის მოგვარებას შეეხება, წამოწყების უმალვე ქრება ან კუს ნაბიჯით მიდის წინ ჯერ კიდევ 1923 წ. დაარსდა ეგრეთწოდებული „სულით ავადმყოფთა დამხმარე საზოგადოება", მაგრამ ამ საზოგადოების საქმიანობა ჯერ არავის უნახავს. განზრახული იყო აგრეთვე ფსიქიატრიული დისპანსერის მოწყობა, მაგრამ 3—4 წელიწადი საკმარისი არ შეიქმნა იმისათვის, რომ ეს განზრახვა განხორციელებულიყო. პატრონაჟის შემოღებასაც ფიქრობდნენ, მაგრამ არც აქედან გამოვიდა რამე ახალი საავადმყოფოს გახსნაზე და ფსიქიატრიული საწოლების გამრავლებაზე ხომ დღე ნიადაგ ვლაპარაკობთ, მაგრამ სიტყვა ხორცს ვერ ისხამს და ფსიქიატრიული მზრუნველობის საკითხი მკვდარი წერტილიდან არ იძვრის. და ეს იმ დროს, როცა სხვა დარგების ავადმყოფთა საწოლების რიცხვი რამდენიმე ასეულ პროცენტით არის გაზრდილი. რაშია საქმე? სულით ავადმყოფთადმი ტრადიციული უყურადღებობით ხომ არ აიხსნება ეს ფაქტი? ფსიქიატრებს უნდა დაეთმოს თავისი წილი.

პროვინციელი ექიმი

ა.-კ. ცაკში

გამოცემათა გადაგზავნა სახ. წიგნთსაცავებში

ამიერ-კავკასიის ცაკმა წინადადება მისცა ამიერ-კავკ. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებს დაავალონ სათანადო წიგნის პალატებს, რათა ამა თუ იმ რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოცემულ წიგნების, ბროშურების, ჟურნალების, ბიულეტენების, დედაქალაქის გაზეთების, გეოგრაფიული ქარტების და გეგმების თითო ეგზემპლიარი გადაუგზავნონ საბჭოთა კავშირში არსებულ 17 მთავარ სახელმწიფო წიგნთსაცავებს. ლენინის ინსტიტუტის ბიბლიოთეკას უნდა გადაეგზავნოს ლენინის თხზულებათა ყველა გამოცემა, ლენინის შესახებ დაწერილი ყველა თხზულება და ლენინის პორტრეტები, რომლებიც გამოცემული იქნება ამა თუ იმ რესპუბლიკაში. ამიერ-კავკასიის ცაკის მიერ საკავშირო ცაკის წინაშე აღძრული იქნება შუამდგომლობა, რათა მთავარ სახელმწიფო წიგნთსაცავების სიაში დამატებით შეტანილ იქნეს 26 კომუნარის სახ. ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა.

ა.-კ. ეკონომსაბჭოში

მომამზადებელი კომისია

ა.-კ. სახკომსაბჭოში და ეკონომსაბჭოში გასარჩევათ დასმული სხვადასხვა საკითხების წინასწარ შესასწავლათ ა.-კ. ეკონომსაბჭომ და სახკომსაბჭომ გამოყვეს მომამზადებელი კომისია ამხ. შავერდოვის (თავმჯდომარე), კ. ჩხენკელის, მგალობლიშვილის, პირუმოვის, გაბიევის; განჯინსკის, შეფტელის, ვარდანიანის, ბანოვიჩის, ა.-კ. სახკომსაბჭოს და ა.-კ. ეკონომსაბჭოს საქმეთა მმართველების შემადგენლობით. მომამზადებელ კომისიას დაევალა შეიმუშაოს და დასამტკიცებლათ წარადგინოს დებულება მომამზადებელ კომისიის შესახებ.

საგანაკვეთო დაზღვევა ცეცხლისაგან

ა.-კ. უმაღლესმა ეკონომსაბჭომ წინადადება მისცა საქართველოს სახკომსაბჭოს, რათა მან დაავალოს აფხაზეთის სახ. კომისართა საბჭოს დაჩქარებით გაატაროს ცხოვრებაში დადგენილება სოფლათ ცეცხლისაგან საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ.

ბეჭდვითი საქმის კომიტეტში

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატთან არსებულ ბეჭდვითი საქმის კომიტეტის ცნობით, საბეჭდი და საწერი ქაღალდის კრიზისი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მიმდინარე წლის ივნისში, ამჟამად მოსპობილია, ვინაიდან ივლისის განმავლობაში შემოზიდული იქნა დიდ ძალი ქაღალდი. ამ რიგათ სამისწავლო სახელმძღვანელოების გამოცემის საქმე მოგვარებულია და ამ სახელმძღვანელოების გამოცემისათვის შესრულებული იქნება მთლიანათ.

გარდა ამისა ბეჭდვითი საქმის კომიტეტს შემუშავებული აქვს პოლიგრაფიულ წარმოების საგამომცემლო სტამბის მოწყობილობის და საკანცელიარიო ნივთების საიმპორტო გეგმა 1928-29 წლისათვის.

ამჟამად სწარმოებს ბეჭდვითი საქმის განვითარების ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის შედგენა. ამ გეგმის შედგენა შეფერხებულია იმისა გამო, რომ აზერბეიჯანის და სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობებს ჯერ არ წარმოუდგენიათ საჭირო ცნობები.

პერიოდულ ბეჭდვითი სიტყვის 1928-29 წლის ბიუჯეტის შედგენა გვიანდება იმის გამო, რომ ზოგიერთ სტამბებიდან მიღებული არ არის საჭირო ცნობები.

კოლხეთის ჭაობების ამოშრობა

გუშინწინ, სალ. ინჟენერთა კლუბში (პროფსაბჭოს დარბაზი) შესდგა საქ. ტეხნიკურ საზოგადოების და ინჟენერთა ცენტრ. ბიუროს გაერთიანებული სხდომა, რომელსაც გარდა ადგილობრივი ინჟენერებისა საკავშირო გიდროლოგიურ ინსტიტუტის თავმჯდომარე პროფესორი გლუშკოვიც დაესწრო.

თათბირზე კოლხეთის დაბლობის ამოშრობის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს წყალთა მეურნეობის სამართველოს ინჟენერმა გრ. გეგეჭკორმა.

კოლხეთის დაბლობში—სთქვა მომხსენებელმა,—სულ გასაშრობია 170.000 ჰექტარი სივრცე. ამ სივრცის ამოშრობა ერთის მხრით საგრძნობლად შეამცირებს მიწის სივიწროვეს, მეორეს მხრივ კი ამ ვეებერთელა სივრცეზე, შესაძლებელია გაშენდს უამრავი ძვირფასი ტეხნიკური მცენარეულობა, როგორც არის მაგალითად ჩინეთის ჭანდარი (რამა), ახალზელანდიის სელი, ქაფურის ხე, ავსტრალიის აკაცია, ქინაქინის ხე, ევკალიპტის ხე, ციტრუსოვანი მცენარეულობა, ბამბუკი და სხვ. ამ მცენარეულობის გაშენება საშუალებას მოგვცემს თავი გავინთავისუფლოთ მრავალი ნედლეულის იმპორტისაგან. გარდა ამისა ევროპის ბაზრებზედაც შევსძლებთ ამ საქონლის გატანას.

საშრობი არხების გასწვრივ გაშენდება დიდ ძალი ალვის ხე, რომელიც ნედლი მასალით სავსებით უზრუნველყოფს განზრახულ ქაღალდის ქარხანას (შემგონის). ეს მასალა გაცილებით იაფი დაჯდება არხებით მოზიდულ ხე-ტყესთან შედარებით.

გარდა ამისა კოლხეთის დაბლობის დაშრობას დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის განმანადგურებელ სენის მალარიის მოსასპობათ.

ამჟამად უკვე დაგეგმილია 104.000 ჰექტარი მიწა და სწარმოებს ჰიდრო-გეოლოგიური და ბოტანიკური გამოკვლევა.

ამ საქმეზე ადგილობრივი ძალებთან ერთად ცენტრიდან მოწვეული კონსულტანტები მუშაობდნენ. კოლხეთის დაბლობის დაშრობა შესაძლებელია. კომბინიურ სისტემით; მაღლობ ადგილობი დაიშრობა ახალი არხებით, დაბალი ადგილები—კოლმატაციით (ნალექის დასილვით-დალამვით), ხოლო ზღვასპირად მდებარე ზონა—მექანიკური გადაქაჩვით. მიუხედავად იმისა, რომ მთელი სივრცის ამოშრობას დიდი თანხა დასჭირდება, ამ პრობლემის განხორციელება სპეციალისტებისაგან მაინც რენტაბელიარულათ არის მიჩნეული, რადგანაც მას საკავშირო მნიშვნელობა აქვს.

საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელი შეეხო ფოთი-ოჩამჩირის არხის გაყვანის საჭიროებას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება, როგორც დაბლობის დაშრობა-გამოყენებაში, ისე ტყვარჩელის ქვა-ნახშირის გამოზიდვის გასაიაფებლად.

მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. დასასრულ მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც საჭიროდ არის ცნობილი გამოკვლევის დაჩქარებით წარმოება და ამ გამოკვლევების დაყენება მეცნიერულ ნიადაგზე.

ჩადრების მოხსნა

31 ივლისს, ქედაში, ადგილობრივი მრავალრიცხოვანი გლეხობისა და აჭარისტანის მთავრობის წევრების თანდასწრებით, ქედის მაზრის აჭარელ ქალების მიერ ჩადრების მოხსნის აღსანიშნავად, შესდგა საზეიმო სხდომა. კლუბის შენობაში, რომელშიაც უნდა გახსნილიყო კრება, ვერ მოთავსდა ზეიმისათვის მოსული დიდძალი საზოგადოება. კრება გადატანილ იქნა სკოლის ვეებერთელა ეზოში. ტრიბუნის ირგვლივ მოთავსდა 150 აჭარელი ქალი, რომელთაც მოიხსნეს ჩადრები. კრება გახსნა ქედის აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **მუსეინ სურმანიძემ**.

„დღეს,—სთქვა მან,—თავისუფალი ქალი ნებაყოფლობით მოვიდა ამ კრებაზე, რათა საბოლოოდ მოიხსნას მონობის სიმბოლო—ჩადრი".

შემდეგ გამოვიდა აჭარისტანის ცაკის თავმჯდომარე ამხ. **მოჰედინ სურმანიძე**, რომელმაც, აღნიშნა რა ჩადრის როგორც მავნე ზნეჩვეულების გადაგდების აუცილებლობა და, შეეხო რა მის რელიგიურ სარჩულს, განაცხადა, რომ ყურანშიაც არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ ჩადრის ტარება აუცილებელია.

შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ ჩადრმოხსნილი აჭარელი ქალები. ერთმა მათგანმა, **გულზა დიასამიძემ** სთქვა: „მე ვიხსნი ჩადრს და ვიწვევ ყველა აჭარელ ქალს—ასევე მოიქცეს. დღეს ჩადრები მოიხსნეს პარტიულებისა და მუშა-მოსამსახურეების ცოლებმა და დებმა. ეს არ არის საკმარისი. საჭიროა, ყველა აჭარელმა ქალმა მოიხსნას ჩადრი.

კრებამ დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა ცაკის წინაშე, რათა 31 ივლისი ქედის მაზრაში გამოცხადებულ იქნეს ჩადრების მოხსნისა და ქალთა განთავისუფლების დღედ. ჩადრებმოხსნილ აჭარელ ქალთა სახელით მისალმებული დეპეშები გაეგზავნა ამიერ-კავკ. ცაკს, საქართველოს ცაკს, საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ.-ს მუშა-გლეხ-ქალთა განყოფილებას და ამხ. სერგო ორჯონიკიძეს მოსკოვში. (ადს).

საშემოდგომო თესვის კამპანია

ა.-კ. ეკონომსაბჭოს უკანასკნელ სხდომაზე განხილული იქნა საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩატარების საკითხი.

ა.-კ. სახ. საგეგმო კომისიას წინადადება მიეცა—წარადგინოს საკავშირო საგეგმო კომისიაში საშემოდგომო თესვის კამპანიის წინასწარი მასალები და, საშემოდგომო თესვის ფინანსიურათ უზრუნველყოფის მიზნით, შუამდგომლობა აღძრას, გეგმის გარეშე, 2 მილიონ მანეთის სესხის მოცემის შესახებ.

ეკონომსაბჭოს მიერ გამოყოფილია სპეციალური კომისია ამხ. ამბარცუმიანის, მაგიროვის და ბეკზადიანის შემადგენლობით, რომელსაც დავალებული აქვს საშემოდგომო თესვის კამპანიის რწმუნებულებთან (ამხ. ბუნიატ-ზადე, ს. ჯუღელი და ერზინკიანი) ერთად დამატებით დაამუშაონ საკითხი საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩატარების შესახებ.

კომისიას დავალებული აქვს, 1928 წლის საშემოდგომო თესვის კამპანიაში, მარცვლოვან კულტურათა ნათესების კონტრაქტაციის ჩატარების საკითხის დამუშავება.

ნორვეგიის კომუნალურ მუშაკთა დელეგაციის გამგზავრება

გუშინ სალამოს თბილისიდან ბათომში გაემგზავრა ნორვეგიის კომუნალური მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც თან გაყვა საქართველოს კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კავშირის ცენტრ. გამგეობის თავმჯდომარე ამხ. **თავდგირიძე**.

გუშინ დილით დელეგაციასა და საქართველოს კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კავშირის წარმომადგენლებს შორის გაიმართა საუბარი, რასაც გარდა კავშირის ცენტრალური გამგეობის მთელი შემადგენლობისა დაესწრნენ ადგილკომებისა და კომუნალურ წარმოებათა წარმომადგენლები.

საქ. კომუნალ. მუშაკთა კავშირის წარმომადგენლები შეეკითხნენ დელეგაციას, თუ როგორ პირობებში უხდებათ მუშაობა ნორვეგიის კომუნალურ მეურნეობის მუშებს, ან რა პირობები არსებობს შრომის უშიშროების დასაცავად, როგორია ქალთა და მოზარდთა შრომის პირობები, არის თუ არა შემოღებული მუშების სავალდებულო დაზღვევა და სხვ.

თავის პასუხში დელეგაციის წევრები განმარტავდნენ, რომ ნორვეგიელ მუშებს საერთოდ და კომუნალურ მუშაკებს კერძოთ, უხდებათ მეტად ცუდ პირობებში მუშაობა. სავალდებულო დაზღვევა არაა შემოღებული და მუშების დაზღვევა დამოკიდებულია ყოველ ცალკე შემთხვევაში მწარმოებლებთან დადებულ პირობების ხასიათზე.

ამავე დროს დელეგაციის წევრებმა აღნიშნეს, რომ ნორვეგიის პროფკავშირებში გაერთიანებული მუშათა მასები დიდ ინტერესს იჩენენ პროფმოძრაობის მთლიანობისადმი.

დასასრულ დელეგაციამ მადლობა გადაუხადა ცენტრ. გამგეობას საქართველოს მუშათა კლასის მდგომარეობის შესახებ ცნობების მოწოდებისათვის.

პროფკავშირთა კულტმუშაობის ამოცანები

ამხ. ასრიბეკოვის მოხსენება

პროფსაბჭოს გაფართოებულ სხდომაზე

გუშინ სალამოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგა საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელსაც დაესწრნენ პროფკავშირთა ცენტრალური გამგეობები, მუშათა კლუბების გამგეობები, კულტკომისიების თავმჯდომარეები და საფაბრიკო საქარხნო კომიტეტების წარმომადგენლები.

თათბირზე კულტმუშაობის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **ასრიბეკოვმა**.

— ხანამ ჩემი მოხსენების თემაზე გადავიდოდე—განაცხადა ამხ. ასრიბეკოვმა—მე მინდა ორიოდე სიტყვით დავახასიათო ის მდგომარეობა, რომელშიაც უხდებათ პროფკავშირებს კულტურული მუშაობის წარმოება. მუშათა კლასი ამჟამად ფართო მასშტაბით აწარმოებს სოციალისტურ აღმშენებლობას. ამ აღმშენებლობის პერიოდში შესამჩნევი ხდება ბურჟუაზიულ ელემენტების წინააღმდეგობა, როგორც სოფლად, ისე ქალაქად. ეჭვი არაა რომ მუშათა კლასს ასეთი წინააღმდეგობების დაძლევა ადვილად შეუძლია, თუ იგი შესაფერისად მომზადებული იქნება კულტურულად. მუშათა კლასის კულტურული მომზადებისათვის კი უაღრესი მნიშვნელობა აქვს კულტურული მუშაობის შესაფერისად დაყენებას. ამიტომაა, რომ ყურადღების ცენტრში ამჟამად სდგას იდეოლოგიური ფრონტი. ყველაფერი ის, რაც ხელს გვიშლის იდეოლოგიურ ფრონტზე გამარჯვებაში, დაძლეული უნდა იქნეს.

შემდეგ ამხ. ასრიბეკოვი აღნიშნავს ყველა იმ მიზეზებს, რომლებიც აბრკოლებენ პროფკავშირების კულტმუშაობას. ამ მიზეზებს შორის აღსანიშნავია ის, რომ პროფკავშირები და ხშირად სხვა ხელმძღვანელი ორგანიზაციები სათანადო მნიშვნელობას არ აძლევენ კულტურულ საქმიანობას, არ არის კულტმუშაკთა საჭირო კადრები, კულტმუშაობაში არაა გამომჟღავნებული ფართო მშრომელთ მასების თვითმოქმედება, შესამჩნევად მოიკოჭლებს საკლუბო მუშაობა და სხვა.

დასასრულ მომხსენებელი შეეხო იმ ამოცანებს, რომელთა განხორციელებაც საჭიროა პირველ რიგში, რომ პროფკავშირების ხაზით წარმოებული კულტურული მუშაობა უფრო საღ გზას დაადგეს და მეტი ეფექტი გამოიღოს.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რის შემდეგაც მიღებულ იქნა სათანადო რეზოლუცია.

ა.-კ. სას.-სამ. კოოპერაციის ინსტრუქტორთა თათბირი

გუშინ სალამოს საქართველოს პროფსაბჭოს მცირე დარბაზში გაიხსნა ამიერ-კავკასიის სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ინსტრუქტორთა მეორე თათბირი. თათბირზე მონაწილეობას ღებულობენ საქართველოს, აზერბეიჯანის, სომხეთის და ავტონომიურ რესპუბლიკათა სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის (როგორც უნივერსალური, აგრეთვე სპეციალური სახეების) კავშირების და საკავშირო სას. სამ. კოოპერაციის ცენტრის „კავშირთ კავშირი"-ს წარმომადგენლები. თათბირზე ესწრებიან აგრეთვე სასოფლო სამეურნეო ბანკების, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლები.

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ თათბირმა დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: სასოფლო სამეურნეო კოოპ. ძირითადი ამოცანები მე-15 პარტყრილობის დადგენილებებთან დაკავშირებით; სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის ძირითადი ამოცანები; ღარიბი გლეხობის კოოპერაციაში შეკავშირება; საინსტრუქტორო მუშაობა; „ველური" კოოპერატივები, ა. კ. სას. სამ. კოოპერაციის საორგანიზაციო მშენებლობის საკითხები; ხელმძღვანელი კადრები; ა. კ. სას. სამ. კოოპერაციის განვითარების ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა და სხვ.

გუშინდელ სხდომაზე მოსმენილი იქნა საკავშირო სას. სამ. კოოპერაციის ცენტრის „კავშირთ კავშირი"-ს წარმომადგენლის ამხ. აბაევის მოხსენება სას. სამ. კოოპერაციის ამოცანების შესახებ.

ბრძოლა ხუნაგთან

ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების სანიტარულ-ეპიდემიურ ქვე-განყოფილებაში იმ მოსამზადებელი მუშაობის შესახებ, რომელიც მიმართულია ხუნაგის წინააღმდეგ საბრძოლველად ჩვენს თანამშრომელს აცნობეს შემდეგი:

ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტს დავალებული აქვს დაამზადოს მასალა (ვაკცინა) ბავშვების მასიური იმუნიზაციისათვის ხუნაგის წინააღმდეგ.

საიმუნიზაციო მუშაობას ჩაატარებენ საექიმო რაზმები და მუდმივი პუნქტები. სკოლებში მეცადინეობის დაწყების შემდეგ იმუშავებენ საექიმო რაზმები.

კოჯორში, სადაც ამჟამად 4.000 ბავშვია გაგზავნილი არიან მოძრავი რაზმები, რომლებიც პირველ რიგში აცრას ჩაატარებენ საბავშვო კოლონიებში და პიონერთა საბანაკოებში, შემდეგ კი აუცრიან ყველა ბავშვს, ვისაც სურვილი აქვს ამისა.

თბილისში ბავშვებს სკოლის ასაკამდის აუცრიან მუდმივ საექიმო პუნქტებში.

გასული წლის ზამთრის გამოცდილებამ ბევრი მშობელი დაარწმუნა,—რომ აცრას დიდი მნიშვნელობა აქვს ხუნაგთან ბრძოლის საქმეში. მშობლებიდან ამჟამად მრავალი შეკითხვა შემოდის აცრის დაწყების დროის შესახებ, რადგან მათ სურვილი აქვთ აუცრან თავიანთ ბავშვებს.

ექსპედიცია მყინვარ-წვერზე

დღეს დილის 7 საათზე თბილისიდან მყინვარ-წვერზე ასასვლელად მიემგზავრება საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის პოლიტგანათლების სამმართველოსთან არსებულ საექსკურსიო ტურისტულ ბიუროს მიერ მოწყობილი ექსპედიცია. ექსპედიციაში მონაწილეობენ მთასვლელები— **ს. ჯაფარიძე** (ექსპედიციის ხელმძღვანელი), **გ. გიორგაძე**, ექ. **ს. ასლანიშვილი**, ექ. **მაევსკი** ალპინისტი ქალები—**ლ. ჩხეიძე**, **მ. ტყავაძე**, **ალ. ლორთქიფანიძე** და საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების რამოდენიმე წევრი—სულ 20 კაცამდე.

ექ. ასლანიშვილი და ექ. მაევსკი მოახდენენ დაკვირვებებს ექსპედიციის მონაწილეთა ორგანიზმის მდგომარეობაზე იმის და მიხედვით, თუ რა სიმაღლეზე იქნებიან ექსპედიციის წევრები ზღვის დონიდან.

ექსპედიციის ხელმძღვანელები გააგრძელებენ იმ მეტეოროლოგიურ დაკვირვებებს, რომელიც ამ რამოდენიმე წლის წინად დაიწყო. ამ მიზნით 4200 მეტრის სიმაღლეზე და მყინვარ წვერზე დადგმული იქნება მეტეოროლოგიური აპარატები. პირველი ასვლიდან ერთი კვირის შემდეგ ექსპედიციის რამდენიმე წევრი ისევ ავა წვერზე აპარატების ჩამოსატანად.

ექსპედიცია დაათვალიერებს და შეისწავლის აგრეთვე უძველეს მონასტერს „ბეთლემს", რომელიც მუდმივი თოვლის ზოლზე —3750 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, ექსპედიციას მიჰყვება „სოვკინო"-ს კინო ექსპედიცია (რეჟისორი **ლებედევი**, კინო ოპერატორი **ბელიაევი** და **ლეონტიევი**). კინო ექსპედიცია გადაიღებს წვერზე ასვლის ყველა ეტაპებს.

მყინვარიდან დაბრუნების შემდეგ ექსპედიცია რეჟისორით და კინოოპერატორებით გაემგზავრება ხევსურეთში, სადაც შეგროვილი იქნება ეთნოგრაფიული მასალები და გადაღებული იქნება ხევსურთა ყოფა-ცხოვრება.

მყინვარზე ასვლა დაიწყება შაბათს—4 აგვისტოს. თუ ამინდმა ხელი შეუწყო ექსპედიცია მყინვარ-წვერზე იქნება 6 აგვისტოს. ექსპედიციის მონაწილეთა 1 ნაწილი დაბრუნდება თბილისში, ერთი კვირის, ხოლო მეორე ნაწილი ორი კვირის შემდეგ.

სასკოლო შენობების შეკეთება

თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილების გამოანგარიშებით, ყველა სასკოლო შენობის შეკეთებას სულ ცოტა 400.000 მან. დასჭირდება. მაგრამ თბილისის საბჭო ამ თანხას ერთბაშად ვერ გაიღებს, და განათლების განყოფილება იძულებულია მხოლოდ გადაუდებელი რემონტი მოახდინოს.

წელს განათლების განყოფილებას სკოლების შესაკეთებლად გადაეცა 86.000 მან. მაგრამ როცა თბილისის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ბოლქვაძემ დაათვალიერა სასკოლო შენობები, მე-40, 58, 86 და 88 სკოლების შენობათა შესაკეთებლად დამატებით გადაიდო 30.000 მან.

სულ სკოლების შესაკეთებლად განათლების განყოფილებამ მიიღო 116.000 მან. ამ თანხით განზრახულია 78 შენობის შეკეთება. ე. ი. დაახლოვებით ყველა სასკოლო შენობის 50 პროც.

ვინაიდან კარგი სახურავი საგრძნობლად იცავს შენობას დანგრევისაგან, ამიტომ განათლების განყოფილება პირველ რიგში შეაკეთებს სახურავებს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა აგრეთვე კანალიზაციის შეკეთებას.

რემონტი უკვე დაიწყო. წვრილი რემონტი დამთავრდება 1 სექტემბრამდე, რაც შეეხება 7 შენობის კაპიტალურ რემონტს, ორი მიზეზის გამო შეუძლებელი იქნება ამ შენობების შეკეთება 1 სექტემბრამდე. პირველ მიზეზს წარმოადგენს ფულის თავის დროზე მიუღებლობა: მაგალითად, ივლისში განყოფილებას უნდა მიეღო 35.000 მან., ფაქტიურად კი მიიღო 17.000 მან. მეორე მიზეზს წარმოადგენს საშენებელი მასალის—რკინის, სალებავი ზეთის და ამ ბოლო დროს ხე-ტყის მასალის სიმცირე ბაზარზე.

საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ ყოველწლობით სასკოლო შენობების რემონტის ღირებულება იზრდება. მიზეზს, სპეციალისტების აზრით, შეადგენს ის, რომ არც ერთი შენობის რემონტი არ სრულდება მთლიანად და მეორე წელიწადს უფრო დიდი რემონტია საჭირო.

ამხ. არტემ ლომთათიძის ხსოვნას

კომუნიზმისათვის მებრძოლ ახალგაზრდათა რაზმს გამოაკლდა ერთ-ერთი ენერგიული ძველი კომკავშირელი, პარტიის წევრი ამხ. არტემ ლომთათიძე.

დღიდან კომკავშირის დაარსებისა ის იყო ამ ორგანიზაციის აქტიური წევრი. ამხ. არტემ კომკავშირთან ერთად დიდი ენერგიით იბრძოდა მენშევიზმისა და მის მიმდევარ ეგრედწოდებულ „ახალგაზრდა მარქსისტთა" წვრილ ბურჟუაზიულ იდეოლოგიის წინააღმდეგ.

ამხ. არტემის მუშაობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამდე და მის შემდეგ კომკავშირში, თემის და რაიონის ხელმძღვანელ პოსტებზე, მისი მეცადინეობა ცენტრალურ პარტიულ სკოლის დამთავრებისათვის და მისი დამთავრების შემდეგ მუშაობა პარტიაში (თემკომის მდივანი და სხვა) და პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა პოლიტსკოლის ხელმძღვანელად ხასიათდებოდა რევოლუციონური ენტუზიაზმით.

მშრომელმა ახალგაზრდობამ ამხ. არტემის სახით დაკარგა თავდადებული მებრძოლი მუშათა ინტერესებისათვის.

ამხ. არტემის წარსული მოღვაწეობა მის თანამებრძოლთათვის ყოველთვის დაუვიწყარი იქნება.

ზერმანი.

ქრონიკა

მოტო-გადარბენის მონაწილენი ჩამოვიდნენ კავკავში

გუშინ საღამოს ამიერ-კავკასიის გზატკეცილების სამმართველოში მიიღეს დეპეშა, რომ მოსკოვიდან თბილისისაკენ წამოსული მოტო-გადარბენის მონაწილენი 2 აგვისტოს საღამოს ჩამოვიდნენ კავკავში.

ამასთანავე იტყობინებიან, რომ გადარბენაში მონაწილეთა კავკავიდან გამოსვლის დრო ჯერ ჯერობით არაა გამორკვეული. 3 აგვისტოს გამოირკვევა, თუ როდის გამოვლენ კავკავიდან.

დღეს დილით კავკავში გადარბენის მონაწილეთა შესახვედრად მიემგზავრება ამიერ-კავკასიის გზატკეცილების სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. აზარინი.

ცვალებადძალთა საყურადღებოთ

მე-2-ე ქართ. მსრ. დივიზიის ცალკე საკავშირო ასეული იწვევს ამა წლის 7 აგვისტოს დილის 6 საათისათვის 1904 წელში დაბადებულ ცვალებად წითელ არმიელებს და აგრეთვე სხვა წლების წითელ არმიელებს, რომლებმაც 1927 წლის ზაფხულში გაიარეს სამთვიანი წინასწარი მომზადება.

ხორბლის მიწოდება დასავლეთ საქართველოს რაიონებისათვის

ცეკავშირის ცნობით ახლო მომავალში, დასავლეთ საქართველოს იმ რაიონებში, სადაც შემჩნეულია პურის ნაკლებობა გეიგზავნება 64.000 ფ. პური. რამოდენიმე ხნის შემდეგ გაიგზავნება აგრეთვე 10.000 ფ. ქვავის ფქვილი და 15.000 ფ. სიმინდი.

გაგზავნილი პურეული მიეწოდება მოსახლეობას კოოპერატიული ორგანიზაციების საშუალებით.

სატყეო ტეხნიკუმის გახსნა

განათლების კომისარიატის ინიციატივით სოფ. საცხენისში (კახეთის მაზრა) მომავალ სასწავლო წლიდან იხსნება სატყეო ტეხნიკუმი, სადაც მომზადებული იქნებიან სატყეო მეურნეობისათვის საჭირო საშუალო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები. ტეხნიკუმის შენობების შესაკეთებლად და მოსაწყობათ გადადებულია 25.000 მანეთი.

ტეხნიკუმში მოსწავლე ახალგაზრდობის კონტინგენტი მოგროვებული იქნება სხვადასხვა მაზრებიდან. ტეხნიკუმში მიიღებენ 7 წლედებში კურსდამთავრებულებს.

წყალზე დახმარება

მიმდინარე წლის 1-ლ აპრილიდან მდ. მტკვარზე დიდუბიდან ორთაჭალამდე გახსნილი იქნა 11 წყალზე დამხმარე პუნქტი. პირველი მაისიდან პირველ ივლისამდე მტკვარზე ადგილი ჰქონდა სულ 107 უბედურ შემთხვევას, აქედან გადარჩენილია 99 კაცი, დაიხრჩო 8. აღნიშნულ 107 შემთხვევიდან 11 მოდის თვითმკვლელობის განზრახვაზე, 99 კი—უბედური შემთხვევაა ბანაობის დროს.

თბილისის აღმასკომში

◆ **ჯარში გასაწვევთათვის შეღავათების მიცემა.** თბილისის აღმასკომმა დაავალა საორგანიზაციო განყოფილებას ჩაატაროს თემაღმასკომებთან გამოყოფილი იმ კომისიების მუშაობის გამოკვლევა, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ ჯარში გასაწვევთათვის შეღავათების მიცემის პირობების შესწავლა.

◆ **დახმარება ფიზკულტურის საბჭოს.** თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა გადასდოს 300 მანეთი ფიზკულტურის ქ. საბჭოს საშუალებათა გასაძლიერებლად.

◆ **შენობების გამონახვა სკოლებისათვის.** თბილისის აღმასკომმა დაავალა კომუნალურ განყოფილებას გამონახოს შენობები აისორთა შრომის სკოლისათვის და მე-65 შრ. სკოლისათვის.

გლეხკომების ცენტრალურ კომიტეტში

◆ **გლეხკომების მოწყობა სვანეთში.** გლეხკომების ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა შემოდგომიდან შეუდგეს გლეხკომების მოწყობას სვანეთის მაზრაში, სადაც დღემდე არ არსებობს არც ერთი გლეხკომი.

◆ **გლეხკომების ფონდის გასაძლიერებლად.** შემოდგომაზე მოსავლის აკრეფის შემდეგ გადაწყვეტილია გლეხკომებში ჩატარებულ იქნეს თვითდაბეგვრის კამპანია გლეხკომების ფონდების გასაძლიერებლად.

განათლების კომისარიატში

◆ **წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.** მიმდინარე საანგარიშო წლის განმავლობაში რესპუბლიკაში გახსნილი წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტები გაუთავებია 43.236 კაცს, მათ შორის 31.139 ქართველია.

◆ **თურქული სკოლების მასწავლებელთა მომზადება.** ახალციხეში გახსნილია თურქული სკოლების მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები, რომლებზედაც მეცადინეობა დასრულდება 1-ლ სექტემბერს.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **პედაგოგიური ლაბორატორიის მოწყობა.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი შეუთანხმდა განათლების კომისარიატს თბილისში პედაგოგიური (სბავშვო სნეულებათა) ლაბორატორიის მოსაწყობათ. სულ ლაბორატორიის მოსაწყობათ გადადებულია—20.000 მანეთი.

◆ **დედათა და ბავშვთა დაცვის სამდღიური.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის დედათა და ბავშვთა დაცვის განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს დედათა და ბავშვთა დაცვის სამდღიური ჩაატაროს სექტემბრის 1-ლ რიცხვებში.

◆ **დაზღვეულ ავათმყოფთა განმანაწილებელი პუნქტი.** პროვინციიდან ჩამოსულ დაზღვეულ ავათმყოფთა საყურადღებოთ, ჯანსახკომი აცხადებს, რომ სხვადასხვა ცენტრალურ სამკურნალო დაწესებულებებს შორის ავათმყოფების განმანაწილებელი პუნქტი გადავიდა ახალ ბინაზე, კამოს ქ. № 45 (ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის ყოფილ შენობაში).

სხვადასხვა

◆ **კოოპერატიული თათბირები.** ცეკავშირის საორგანიზაციო განყოფილებამ გამოიმუშავა გეგმა სამაზრო კოოპერატიული თათბირების ჩასატარებლად მთელ რესპუბლიკაში.

◆ **ქვანახშირის რეცხვა.** ტყიბულის მაღაროებში დაწყებულია მსხვილი ნატეხი ქვანახშირის რეცხვა ახალი სისტემით.

◆ **ამხ. გ. ყურულიშვილის გამგზავრება.** სმუს თავმჯდომარე ამხ. გ. ყურულიშვილი გაემგზავრა ჭიათურაში მარგანეცის სამუშაოთა დასათვალიერებლად.

◆ **ახალი დანიშვნა.** ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ, ამიერ-კავკასიის ფინსახკომის კოლეგის წევრათ დანიშნა ამხ. ვ. პავერმანი.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები:** ბათომიდან—გოგიჩაიას, მოსკოვიდან—კამულკოვს; კავკაზსკაიას სადგურიდან—ხალკამიანს; მაკაროვოდან — ოკურინს, კარაკლისიდან — ნიკოგოსიანს; ქერჩიდან — ეროენოვისას; მოსკოვიდან — ვოლფს; კარაკლისიდან — აზარიანს; ზუკულტუკიდან — აბულაძეს; ბელი გლინადან — ყიფიანს და ნიჟეგოროდიდან — გურამოვს.

—:—

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ მეთაურ წერილში გაპარულია კორექტურული შეცდომა,—სწერია: „დამონებულ იმპერიალიზმისაგან“ უნდა იყოს: „დამმონებელ იმპერიალიზმისაგან“.

სასამართლო

„ღვთისმშობლობა სოფ. ნორიოში

სოფ. ნორიოს (თბილისის მაზრა) „ძმაბიჭების“ ერთმა ჯგუფმა, რომელსაც ქეიფის და ცეკვა-თამაშის მეტი არაფერი აინტერესებს, „ღვთისმშობლობას“ გამართა ნადიმი (ამბავი მოხდა წარსულ წელს).

ღვინის სმა იყო ყანწებით და ჩაფებით.

ერთ მოქეიფეთაგანს—ა. მამუკაშვილს მალე მოეკიდა ღვინო.

შეზარხოშებულმა მამუკაშვილმა თავის ამხანაგებს დაუწყო ლანძღვა-გინება. შეიქნა აყალ-მაყალი.

არეულობის ადგილზე დაუყოვნებლივ გამოცხადდა მილიციის უფროსი ამხ. ესებუა, რომელმაც გასცა განკარგულება ხულიგან მამუკაშვილის დაპატიმრების შესახებ.

დააპატიმრეს მამუკაშვილი, რომელსაც გამოექომაგა მისი ნათესავი ადგილობრივ თემაღმასკომის თავმჯდომარე **კოტე დიმიტრისძე ფარმანიშვილი.** მან იუკადრისა თავის ნათესავის დაპატიმრება. უნდოდა როგორმე ეხსნა პატიმრობიდან მამუკაშვილი, რომელიც თურმე „უკანონოთ“ იქნა დაპატიმრებული.

— გაანთავისუფლეთ ეხლავე, თორემ სულ ყველას დაგითხოვთ სამსახურიდან.

— ხომ იცით, მე ვინ ვარ?

ჰყვირის და იგინება ფარმანიშვილი.

— ვიცით ვინც ხარ და შენ უფრო მეტი მოგეთხოვება ამ შემთხვევაში,—მიმართავს ზრდილობიანათ ამხ. ესებუა.

— რაო? თქვენისთანების ჭკუის მასწავლებელი ვარ. მე შენ გიჩვენებ სეირს,—ღრიალებს ფარმანიშვილი.

მკლავებს დაიკაპიწებს და მაგარ სილას გააწნავს ამხ. ესებუას.

ეს ამბავი მივიდა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოების ყურამდე.

ფარმანიშვილს ჰკადრეს სამსახურიდან მოხსნა და მიაბრძანეს გამსახლში.

მისი საქმე გუშინ გაირჩა თბილისის სამაზრო სასამართლოში ამხ. ა. კალანდაძის თავმჯდომარეობით.

სასამართლომ ფარმანიშვილს მიუსაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ვ. შავიშვილის საქმე

თბილისის სამაზრო სასამართლომ გაასამართლა ვახტანგ შავიშვილი, რომელსაც ბრალდებოდა ი. სარქისოვის მოკვლის განზრახვა.

სარქისოვი და შავიშვილი ერთმანეთთან ცუდ განწყობილებაში იყვნენ.

ამას წინად კომუნარების ბაღში ორივე შეხვდნენ ერთმანეთს. დანახვისთანავე სარქისოვმა მიაძახა შავიშვილს:

— მე შენ გეუბნები, სადაც მე ვიქნები იქ არ გამოჩნდე.

ამ სიტყვებით გაბრაზებულმა შავიშვილმა რამოდენიმეჯერ დანით დასჭრა სარქისოვი, რომელიც მიღებული ჭრილობისაგან განიკურნა.

სასამართლომ შავიშვილს მიუსაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გამფლანგველი მიქელაძე

ნიკოლოზ სიმონისძე მიქელაძე მუშაობდა აღმასკომის უძრავ-ქონებათა სამმართველოში. უკანასკნელ ხანებში მან ხელი მიჰყო სახაზინო ფულების გაფლანგვას.

როგორც გამოირკვა, მიქელაძეს შეუსანსლავს 218 მანეთი.

მიქელაძე გუშინ გაასამართლა თბ. სამაზრო სასამართლომ, რომელმაც მიუსაჯა მას 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო მსჯავრდადებულის სოციალური მდგომარეობა და სასჯელისაგან გაანთავისუფლა.

ავიაქიმში

თავდაცვის კვირეული ხაშურში

თავდაცვის კვირეულის დროს ქ. ხაშურში გაიხსნა ორი ახალი ტირი რკინის გზის მუშათა და ქალაქის კლუბებში.

თავდაცვა-ავიაქიმის ხაშურის ორგანიზაციაში კვირეულის განმავლობაში ჩაეწერა წევრებათ 500 მუშა-მოსამსახურე.

მზადება მანევრებისათვის

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმი შეუდგა მზადებას წითელი არმიის მანევრებში მონაწილეობის მისაღებათ.

გამომუშავებული იქნება მანევრებში მონაწილეობის ფორმები და გეგმა.

მანევრები ჩატარდება აგვისტოს ბოლო რიცხვებში.

მესამე ავიალატარია

საკავშირო თავდაცვა-ავიაქიმის ცნობით, მოკლე ხანში გამოშვებული იქნება მესამე ავიალატარიის ბილეთები.

ბილეთების რიცხვი უდრის 5.000.000 ცალს, რაც შეადგენს 2.500.000 მანეთს.

თავდაცვის კვირეულის შედეგების დამუშავება

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმი შეუდგა თავდაცვის მეორე კვირეულის შედეგების დამუშავებას. დაწვრილებით გამორკვეული იქნება ახალი წევრების და ახლად დაარსებულ პრაქტიკულ ორგანიზაციების რიცხვი.

გაფლანგვა სახელგამის ადგილკომში

ამ დღეებში საქართველოს პროფსაბჭოს და მბეჭდავთა კავშირის ცენ. გამგეობის წარმომადგენლებისაგან შემდგარმა კომისიამ გამოიკვლია სახელგამის ადგილკომის ფინანსიური მდგომარეობა.

ადგილკომის ერთი წლის ფინანსიური მუშაობის (1927 წლის ივლისიდან 1928 წლის ივლისამდე) დოკუმენტალურმა გამოკვლევამ გამოარკვია, რომ ადგილკომის პასუხისმგებელმა მდივანმა შალვა ილიას ძე ტატიშვილმა გაფლანგა ადგილკომის თანხა—1.453 მან. 20 კაპ. ტატიშვილი იღებდა საწევრო ანარიცხებს, წიგნაკებში არ აკრავდა სათანადო მარკებს და თანხას წიგნებში არ ატარებდა. ამას გარდა მას არ აღმოაჩნდა მრავალი ხარჯების გამამართლებელი საბუთები. ადგილკომის როგორც წინანდელი, ისე ეხლანდელი შემადგენლობა (განსაკუთრებით თავმჯდომარე და ხაზინადარი) არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ადგილკომის ფინანსიურ მუშაობას. სარევიზიო კომისიაც გულგრილად ეპყრობოდა თავის მოვალეობას.

კომისიამ დაადგინა გამოკვლევის მასალები ყველა დოკუმენტებით გადასცეს სასამართლოს დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

გამფლანგველი ტატიშვილი დაპატიმრებულია.

შემთხვევები

გაუპატიურება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა დუნია ვალი-ოღლი, რომელსაც ბრალდება ვ. ბ—ს გაუპატიურება.

დაჭრა

შაუმიანის ქუჩაზე ვიღაც ბოროტმოქმედმა დანით მსუბუქად დასჭრა მირამოდ ჯაფარ ოღლი. დაჭრილი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

რეციდივისტის დაპატიმრება

სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ დააპატიმრა ქურდი-რეციდივისტი გიორგი ლევანისძე სარქისოვი.

მოკვლის განზრახვა

გუშინ, დილით, ივანე გრიგოლისძე ბენიასკი მივიდა თავის ყოფილ მეუღლე—ნატალია იალტიშევას ბინაზე (ფოთის ქ. 38). ქალი სახლში არ იყო.

ბენიასკიმ გააღო ოთახი და განიზრახა თავისი ნივთების წაღება. მაგრამ მას მიუსწრო ყოფილი ცოლის ძმამ ბიქტორ იალტიშევმა, რომელმაც არ დაანება ნივთების წაღება.

მათ ამ ნიადაგზე მოუვიდათ ჩხუბი, იალტიშევმა მოკვლის მიზნით დანით დასჭრა ბენიასკი.

ქურდობა

მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს აკაკი ანთაძის ბინა (თაიროვის შესახვევი № 2), წაიღეს 400 მანეთის საოჯახო ავეჯეულობა.—გაქურდეს პლატონ ხურციას ბინა (კოჩუბეევის ქ. 9), წაიღეს 150 მანეთის ნივთები.—ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს ირაკლი ლორთქიფანიძის ბინა (გოგოლის ქ. 66), წაიღეს 200 მანეთის ნივთები.

გაქურდეს არკადი არუთინოვის ბინა (ლერმონტოვის ქ. № 14), წაიღეს 800 მანეთის ძვირფასი ნივთები; — კარის გატეხის საშუალებით გაქურდეს მოქ. გრეკოვის ბინა (ჩიტაძის ქ. №15), მოპარულია 120 მანეთის ნივთები; — დაპატიმრებულია ქურდი - რეციდივისტი მამედ ალი-ოღლი, რომელმაც სადგურში რ. პოლისოვს და მ. მარტიროსოვს მოჰპარა 800 მანეთის ნივთები.

„გასტროლიორები“

სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ დააპატიმრა ქურდი-რეციდივისტები: ნიკოლოზ პავლესძე ჩერნიკოვი, გიორგი ივანესძე კუკუშინი და მიხეილ ნიკოლოზისძე ბელიაევი, რომლებიც „საგასტროლოდ“ ჩამოვიდნენ თბილისში.

თამბაქოს კონტრაქტაცია

აფხაზეთში თამბაქოს კონტრაქტაცია ა.-კ. სას.-სამ. ბანკმა, 8.000 დესეტინაზე, 2.160000 მანეთით განსაზღვრა;

აღნიშნული თანხის რეალიზაცია მოხდება სამ ვადაში. პირველი ვადის ანგარიშში (ხუთ მაისამდე), თამბაქოს კონტრაქტაციისათვის აფხაზეთში ა.-კ. სას.-სამ. ბანკს გაუცია 860.000 მანეთი.

საქართველოში თამბაქოს კონტრაქტაცია, 1500 დ. განისაზღვრა 270.000 მანეთის რაოდენობით. ამ თანხის ანგარიშში გაცემულია 108 ათასი მანეთი. თამბაქოს კონტრაქტაციისათვის გასაღებ თანხების მეორე ვადის დადგომასთან დაკავშირებით, ა.-კ. სას.-სამ. ბანკმა, თამბაქოს თესვის კომპანიის ჩასატარებლად, საქართველოსა და აფხაზეთის სას.-სამ. ბანკებს გაუხსნა კრედიტი 730.000 მანეთის რაოდენობით.

აღნიშნული თანხა გაუნაწილდა სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებსა და პლანტატორებს.

ამას გარდა წინადადება მიეცა საქართველოს და აფხაზეთის სას.-სამ. ბანკებს, აფხაზეთსა და საქართველოში თამბაქოს საქმისათვის საჭირო თანხები მესამე ვადაში, გაიღონ საკუთარ საშუალებებიდან აფხაზეთისათვის —597.000 მანეთი და საქართველოსათვის — 162.000 მანეთი.

საქ. რემედასში

თელავისა და სიღნაღის ორგანიზაციების გაერთიანება

ა. წ. 29 ივლისს, ქ. გურჯაანში, თელავის და სიღნაღის მაზრების გაერთიანებასთან დაკავშირებით შესდგა თელავისა და სიღნაღის რემედასის ორგანიზაციების გაერთიანებული პლენუმი.

პლენუმმა გამოჰყო რემედასის ახალი, მთლიანი ორგანიზაცია, კახეთის სამაზრო კომიტეტის სახით, რომელშიაც გაერთიანდა ორი, ზემოთაღნიშნული ორგანიზაციები.

რემედასის ცეკას პლენუმი

საქ. რემედასის ცეკას პრეზიდიუმის დადგენილებით, სექტემბრის ბოლო რიცხვებისათვის მოწვეულია რემედასის ცეკას მორიგი პლენუმი.

ვის ჩამოერთმევა სახლები

ისაკ ციტლიშვილს (აზიზბეკოვის ქ. № 13), **ტიგრან შერმაზანოვს** (მუხრანის ქ. № 18—1), **სარქის არუთინოვს** (ნავთლუღის ქ. № 25), **ივანე ვარაზაშვილს** (ორბელიანის ქ. № 12), **სათენიკ და თამარ ასატუროვებს** (არსენას ქ. № 2—11), **მარიამ არუთინოვს, სერგო და გრიგოლ სტეფანოვებს** (საბჭოს ქ. № 84), **ზარგარიანცს და ვართაზარიანცს** (კომუნალური ქ. № 118), **ს. და ს. პირკულოვებს** (რიყის ქ. № 30), **ვართანოვს** (ბალაჯარის ქ. № 4), **მარიამ ზალიევს** (მინკევიჩის ქ., № 14—13), **მიხეილ მებუკეს** (ნიკოლაძის 1-ლი ჩიხი № 16), **გიორგი შახნაზაროვს** (ნავთლუღის ქ. № 2—1), **არტემ სულხანოვს** (პირველი და მეორე პარალელური ქ. № 12—9), **იაგორ დავლაშეროვს** (სომხის ბაზარი № 30—2), **შურა არუთინოვს** (მასხიშვილის ქ. № 3), **ბელიაევს და პანფილოვს** (პეტრიწის ქ. № 30), **სარქის ვოსკანოვს** (მიქელოვის ქ. № 3), **გრიგოლ ლალიაშვილს** (ხომასურიძის ქ. № 6).

რადიო-გადაცემა

პარასკევი 3 აგვისტო

დღეს, 3 აგვისტოს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი — განმარტება რუსულ ენაზე.

საბჭოთა მეურნეობის მნიშვნელობა სასოფლო მეურნეობაში—მოხ. ქართულ ენაზე.

შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები—მოხს. რუსულ ენაზე.

ტეხნიკური კონსულტაცია.

საბჭოების მუშაობისა და საბჭოთა დემოკრატიის შესახებ—მოხს. თურქულ ენაზე.

პარტიის მეორე ყრილობა—მოხს. თურქულ ენაზე.

რადიო-გაზეთი—ოსურ ენაზე.

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—ქართულ და რუსულ ენებზე.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

მოხსენებების შუა მუსიკალური ნომრები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 3 აგვისტოს, თბილისის შრომის ბირჟა, სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან: ოლღა კიკვაძე, ლეონ ვარძიელი, ევდოკია წერეთელი; იოსებ მერკვილაძე; მარიამ ნობლაკა, სოფიო მკერვალიძე, ვერა ძაგნიძე, ვლადიმერ სტეფანიშვილი, ტერეზა დიდებულიძე, არსენ მურადოვი და სათენიკ იაშაგაშვილი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ნიკოლოზ ქაჯაია ოლღა სანოვა, ოლღა გვათუა, ვერა ტატიშვილი, ნაზარ ნაკაიძე, ვალერიან ჩაჩუა, ჯაბო ყაჭეიშვილი, ვასილ მანჯგალაძე, იოსებ კირტაშვილი, ალისტრო ჯაბუა, ალექსანდრე ქარუმიძე; ნადეჟდა ხვედელიძე; ალექსანდრე ნაუმენკო, მარიამ ციციშვილი, ლიუდმილა ნარიმანოვა, ლიუბა ლავროვა, გიორგი ზაალიშვილი, გიორგი რამიშვილი, თამარ ფოფხაძე, თამარ ახალაძე, ეკატერინე პატარიძე, ელენე გულიაშვილი, ევგენი ლაზარევი, ლიდა თვარაძე, თამარ ხასიტაშვილი, თამარ მამისაშვილი, შაქარ კოპოიანი, ანჟელ კოპტიევა, ელენე შახბუდაგოვა, ევგენია ქეთხუდოვა, პავლე ლაზარევიჩი, გიორგი გორელი, გ. მიქშარიაშვილი, სოფიო გედევანიშვილი, ნადეჟდა სუმაკი, მიხეილ დარდიმანოვი, გურგენ მხითარიანცი, აიკანუშ ოვანესიანი და გერასიმე სტეფანოვი.

შავ მუშაკთა მესამე სექციიდან: პეტრე ესიტაშვილი, გრიგოლ ჩაჩანიძე, ისაკ ასლამაზოვი, პეტრე გამსახურდია, ვართან გრიგორიანი, ეზეკია პაპიანცი, პორუმ პოლოსოვი, ივანე კალმახელიძე; გიორგი ავაქჯანოვი, ხაჩატურ ხაჩატუროვა, მურად მელქონიანი, სოფიო ალახვერდოვა, ვალენტინა კოსტავა და ა. პოპოვა.

მედსექციიდან: ბაბი ხიდირბეგოვი, ნაუმ კვეეში, ზოია ფროლოვა, იოსებ ზაბლოვსკი და ნინო კასრაძე.

1927 წ. 10 პროცენტიან სესხის ტირაჟი

მოგებათა ოფიციალური ცხრილი

1927 წ. 10 პროც. სესხის მოგებათა მეექვსე ტირაჟი დაიწყო კალუგაში 20 ივლისს

100 მანეთიანი მოგებანი

20 ივლისის საღამოს სხდომა

000908	023602	046500	068445	098
001028	029820	046807	085733	099
002241	030515	053253	087328	101
004887	036071	062977	088114	108
014318	040485	065105	096128	111
117	117360	134889	158685	183538
368	118274	136356	163581	189901
609	124143	136811	163685	192937
175	130322	148131	167856	
733	131775	155943	168106	

21 ივლისის დილის სხდომა

000426	016229	035832	049989	065079	083129
000736	019057	036985	050251	065313	083911
002107	022778	037324	050511	070578	084159
006468	023078	037571	051833	072539	084731
008661	023936	038381	053414	074697	087369
011012	024022	038968	053996	078106	088149
011134	024580	040336	054972	078672	088747
011613	028298	040550	061083	080381	089673
012704	029660	045160	062312	081074	089862
012933	031089	045227	064519	082442	090982
013414	031742	048033	064562	082744	092353
013517	034640	048564	064581	082891	093231
094188	106657	125743	149984	171143	192526
096112	108337	126138	153158	171866	193036
096178	110561	130037	153520	172523	193916
096228	111494	131853	154108	173040	194322
096887	111792	133021	154986	173987	197463
097661	112540	133660	162501	174332	
098613	113663	135867	162898	175453	
098803	114791	138319	163274	178859	
099871	115934	144359	169370	180872	
102648	116811	144952	169632	181963	
103661	118188	145297	170566	185036	
105121	123367	147504	171007	191598	

გარდა ამისა ას მანეთიანი მოგებანი ხვდა: ობლ. № 021573, სერია—15; ობლ.—070.674, სერია—02; ობლ. 087172, სერია—04; ობლ.—033190, სერია—1-16, 18-20; ობლ.—063064, სერია—1-13,15-20; ობლ.—168621, სერია—1-19.

250 მანეთიანი მოგებანი

(21 ივლისის საღამოს სხდომა)

ობლ.	სერია	ობლ.	სერია	ობლ.	სერია
000503	09	044522	04	072193	10
003171	20	045031	10	072715	02
003416	06	045542	09	075021	03
003584	12	046674	15	079654	17
005820	03	048228	15	080437	16
008365	03	049654	17	080699	06
013019	04	050171	05	080839	17
013690	16	051138	06	081911	08
015133	10	051442	08	082794	09
027291	06	052418	10	088170	12
030477	04	054222	01	091131	05
032198	09	055803	01	091721	13
032279	04	055879	07	092545	15
032932	04	056509	12	093013	19
033046	15	056958	01	095058	05
034952	10	058417	14	096764	09
034972	17	059362	06	096852	03
035351	06	062430	01	097087	19
039077	15	068190	16	101520	11
039466	16	070666	05	102937	04
040049	02	070734	16	102977	15
105188	09	143117	07	174876	10
105426	10	148142	04	177144	18
106424	20	149285	02	180610	08
107770	20	149714	20	182185	06
108325	15	150710	12	183480	12
109304	09	150917	06	183982	16
110287	13	151829	14	187957	16
113490	14	153202	04	188127	12
116565	14	154674	03	188216	07
118809	04	156342	17	188772	11
119191	06	157983	06	191535	08
119755	02	158548	10	192973	19
121504	18	159475	14	193441	13
121825	06	162475	14	193614	02
122631	03	164492	06	193808	10
125776	14	166561	18	195250	09
126885	04	172262	03	195856	03
128051	14	172723	07	197268	12
133064	07	172776	15	197589	08
134566	15	173967	13		
142687	15	174234	08		

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

ტრაქტორების რეგისტრაციისა და გასხვისების წესის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყოველი ტრაქტორი, ვის განკარგულებაშიაც უნდა იყოს იგი და რა სამუშაოსათვისაც უნდა გამოიყენებოდეს, რეგისტრაციაში უნდა იქნეს გატარებული ქვემოაღნიშნული წესით, გარდა ისეთი ტრაქტორისა, რომელიც სამხედრო უწყების განკარგულებაშია და ეს უწყება სამხედრო საჭიროებისათვის იყენებს.

შენიშვნა. ის ტრაქტორი, რომელიც თუმცა სამხედრო უწყებას ეკუთვნის, ხოლო ამ უწყების მიერ გამოყენებულია სხვადასხვა სასოფლო - სამეურნეო, სატყეო, საგზაო, სატრანსპორტო და სხვა სამუშაოსათვის, აგრეთვე სხვადასხვა მექანიკური დანადგამის ასამოძრავებლად, რეგისტრაციაში უნდა იქნეს გატარებული საერთო წესით.

2. ტრაქტორების რეგისტრაციას აწარმოებს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი სამიწადმოქმედო განყოფილების მეშვეობით და მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის საერთო ხელმძღვანელობით.

3. ამა დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ სამიწადმოქმედო განყოფილებამ უნდა შეჰკრიბოს ცნობები მაზრაში ქონებულ ტრაქტორების პატრონთა შესახებ და აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა ადგილას არის ეს ტრაქტორები.

4. მე-3 მუხლში აღნიშნული ცნობების მიღებისთანავე, სამიწადმოქმედო განყოფილება შეადგენს ტრაქტორების რეგისტრაციის ჩასატარებლად ზედმიწევნითი საკალენდრო გეგმას და, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ამ გეგმის დამტკიცების შემდეგ, დაუგზავნის, გეგმის მიხედვით, ტრაქტორების პატრონთ უწყებებს, რითაც აცნობებს მათ რა დღეს უნდა გამოცხადნენ ტრაქტორების რეგისტრაციაზე.

შენიშვნა. უწყება რეგისტრაციაზე გამოცხადების შესახებ თავის დროზე უნდა იქნეს გაგზავნილი ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 7 დღისა რეგისტრაციამდე, და ჩაბარდეს ადრესატს ხელწერილის ჩამორთმევით და ჩაბარების დროის აღნიშვნით.

5. ტრაქტორის პატრონთა რეგისტრაციაზე გამოცხადების საკალენდრო გეგმა, გამოცხადების დროისა და ადგილის აღნიშვნით, უნდა გაეგზავნოს ყველა თემაღმასკომს; ეს უკანასკნელი ვალდებულია თვალყური ადევნოს ტრაქტორის პატრონის თავის დროზე გამოცხადებას რეგისტრაციაზე და შეამოწმოს ტრაქტორის პატრონთა მიერ რეგისტრაციის წესის შესრულება (მუხ. 7).

6. ტრაქტორის პატრონს უწყებასთან ერთად უნდა გაეგზავნოს განცხადების ბლანკი მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატში შემუშავებული ფორმით. ეს ბლანკი შევსებულ და ხელმოწერილ უნდა იქნეს ტრაქტორის პატრონის მიერ, ხოლო ამის შემდეგ მას შეამოწმებს მაზრის სატრაქტორო საქმის ინსტრუქტორი ან უბნის აგრონომი.

7. ტრაქტორის პატრონი მოვალეა უწყებაში ნაჩვენებ დღეს გამოცხადდეს დანიშნულ პუნქტზე. მას თან უნდა ჰქონდეს დოკუმენტი იმის დასამტკიცებლად, რომ ტრაქტორი მას ეკუთვნის და აგრეთვე შევსებული და შემოწმებული განცხადება რეგისტრაციის შესახებ (მუხ. 6). ამ ცნობების მიხედვით სამიწადმოქმედო განყოფილება სათანადოდ შეავსებს სარეგისტრაციო მოწმობას და შესაფერი ხელმოწერით, განსაკუთრებული ნომრით და ბეჭდის დასმით გადასცემს ტრაქტორის პატრონს და ჩამოართმევს სამისო ხელწერილს.

8. სარეგისტრაციო მოწმობა გაიცემა თვითეულ ცალკე ტრაქტორზე; ამასთანავე ამ მოწმობას უნდა ჰქონდეს თავისი განსაკუთრებული რიგობრივი ნომერი მაზრისათვის განკუთვნილი ნომრების რიცხვიდან.

შენიშვნა. ტრაქტორების მოწმობებისათვის მთლად საქართველოს სსრ-ში დაწესებულია ერთიანი რიგობრივი ნომერაცია. ამასთანავე მოწმობების ნომრებს ამა თუ იმ ავტონომიურ რესპუბლიკას და ოლქს, აგრეთვე მაზრას, მიაკუთვნებს საქართველოს სსრ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი.

9. სამიწადმოქმედო განყოფილების მიერ გაცემული სარეგისტრაციო მოწმობა საკმარისი დოკუმენტია იმის დასამტკიცებლად რომ ტრაქტორი ამა თუ იმ პირს ეკუთვნის და რომ ამ პირს აქვს ტრაქტორის ექსპლოატაციისა და გასხვისების უფლება.

10. უკეთუ ტრაქტორი სხვა მაზრაში იქნა გადატანილი სამ თვეზე მეტი ვადით, ტრაქტორის პატრონი მოვალეა წარადგინოს ტრაქტორის სარეგისტრაციო მოწმობა იმ ადგილის სამიწადმოქმედო განყოფილებაში აღსანიშნავად, სადაც ტრაქტორია.

11. ტრაქტორების ზემოხსენებული რეგისტრაცია დამთავრებულ უნდა იქნეს 1928 წ. აგვისტოს 1-მდე.

12. მაზრაში ტრაქტორების რეგისტრაციის ჩატარებისას ტრაქტორების სათადარიგო ნაწილები და მათთვის საჭირო ნავთის პროდუქტები გაიცემა, აგრეთვე ტრაქტორები მიიღება სარემონტო სახელოსნოებში დაზიანებული ნაწილების შესაკეთებლად მხოლოდ ზემოაღნიშნული მოწმობის წარდგენის შემდეგ. ამ მოწმობაზე წაიწერება ტრაქტორისათვის დიდი ან საშუალო რემონტის გაკეთება, ან მნიშვნელოვანი ნაწილების გამოცვლა.

შენიშვნა. წარწერაში გაკეთებული რემონტის შესახებ ზედმიწევნით უნდა აღინიშნოს სად, როდის და როგორი რემონტია გაკეთებული და რა დაჯდა იგი. ამ ცნობას ხელი უნდა მოაწეროს სახელოსნოს გამგემ ან მისმა თანაშემწემ ან და სატრაქტორო საქმის ინსტრუქტორმა.

13. უკეთუ მოწმობა დაიკარგა, ტრაქტორის პატრონი მოვალეა ეს დაუყოვნებლივ წერილობით იმ სამიწათმოქმედო განყოფილებას აცნობოს, რომელმაც ტრაქტორი რეგისტრაციაში გაატარა., და შეიტანოს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის სალაროში ორი (2) მანეთი დაკარგვის შესახებ პუბლიკაციის ხარჯისა და დუბლიკატის გაგზავნით გამოწვეული საფოსტო ხარჯების დასაფარავად.

14. სამიწათმოქმედო განყოფილება, თანახმად ტრაქტორის პატრონის წერილობითი განცხადებისა მოწმობის დაკარგვის შესახებ და განყოფილების საქმეებში ქონებული მასალების მიხედვით, ცნობების შემოწმების შემდეგ მოახდენს ადგილობრივ ოფიციალურ ბეჭდვითი ორგანოში პუბლიკაციას მოწმობის დაკარგვის შესახებ და განცხადების შემომტანს მისცემს წერილობით ცნობას, რომ ტრაქტორი მას ეკუთვნის.

15 ეს ცნობა გამოდგება ტრაქტორის ექსპლოატაციის უფლების დამამტკიცებელ საბუთად, ხოლო ვადით არა უმეტეს ორი კვირისა რის შემდეგ, ამ ცნობის ნაცვლად, სამიწათმოქმედო განყოფილებამ უნდა მისცეს ტრაქტორის პატრონს მოწმობის დუბლიკატი.

შენიშვნა. უკეთუ სამიწათმოქმედო განყოფილებაში დუბლიკატი არ აღმოჩნდა, ცნობაზე უნდა აღინიშნოს, რომ ვადა გადადებულია.

16. უკეთუ ტრაქტორის პატრონ-მომხმარებელს სურს თავისი ტრაქტორის გაყიდვა, იგი მოვალეა სამისო განცხადება შეიტანოს იმ სამიწათმოქმედო განყოფილებაში, რომელმაც ტრაქტორი რეგისტრაციაში გაატარა. განცხადებას უნდა დაერთოს: ა) ტრაქტორის გაყიდვის ხელშეკრულება (მყიდველის ვინაობა და გაყიდვის პირობები ზედმიწევნით უნდა აღინიშნოს) და ბ) ტრაქტორის მყიდველის განცხადება, რაც სათანადოდ უნდა იქნეს შევსებული და შემოწმებული ზემოხსენებული ფორმის (მუხ. 6) მიხედვით.

შენიშვნა. უკეთუ ტრაქტორის პატრონს, რომელმაც მოწმობა დაკარგა, ხელთ აქვს მხოლოდ მე-14 და მე-15 მუხლებში აღნიშნული ცნობა, მისი ტრაქტორის გასხვისება, ნამდვილი მოწმობისა ან დუბლიკატის მიღებამდე არ შეიძლება.

17. უკეთუ ტრაქტორს ყიდულობს კერძო პირი (ფიზიკური ან იურიდიული), სამიწათმოქმედო განყოფილებას უფლება აქვს ერთი თვის განმავლობაში დღიდან ზემოხსენებული დოკუმენტების მიღებისა (მუხ. 16), ან განაცხადოს თავისი სურვილი, რომ ტრაქტორს იგი ყიდულობს, ან წარადგინოს მესამე პირის—ამა დადგენილების მე-19 მუხლში აღნიშნული ორგანიზაციის—თანხმობა გასაყიდი ტრაქტორის შეძენაზე.

18. უკეთუ სამიწათმოქმედო განყოფილება არ მოისურვებს ტრაქტორის შეძენას ან არ წარადგენს მესამე პირის თანხმობას ტრაქტორის ყიდვაზე, განყოფილებამ, ერთი თვის ვადის გასვლის შემდეგ დღიდან ხელშეკრულების წარდგენის, უნდა რეგისტრაციაში გაატაროს ის ხელშეკრულება და სათანადო ცნობები ჩასწეროს ტრაქტორის მოწმობაში, რომელიც გადაეცემა ტრაქტორის ახალ პატრონს.

19. უკეთუ ტრაქტორის მყიდველი სახელმწიფო საწარმო ან დაწესებულებაა, ან და კოოპერატიული ორგანიზაცია, კერძოდ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივი (კომუნა, სას. სამეურნეო არტელი, ან მიწის საერთოდ დამუშავებული ამხანაგობა, სამანქანო, სამელიორაციო, ან სხვა ამხანაგობა), სამიწათმოქმედო განყოფილებას უფლება არა აქვს უარი სთქვას ტრაქტორის გასხვისების ხელშეკრულების რეგისტრაციაზე; ამასთანავე ეს რეგისტრაცია ჩატარებულ უნდა იქნეს 7 დღის განმავლობაში ამა დადგენილებაში აღნიშნული წესით.

20. უკეთუ ტრაქტორის გამყიდველი და მყიდველი ვერ შეთანხმდნენ მანქანის ფასზე, ამ ფასს და აგრეთვე ანგარიშგასწორების პირობებს განსაზღვრავს ადგილობრივი სატრაქტორო კომისია ტრაქტორებზე არსებული ფასის მიხედვით; ამასთანავე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მყიდველთან მანქანის მიტანის ხარჯი და ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდისათვის დაწესებული სარგებელი, აგრეთვე ისიც, თუ რამდენადაა გაცვეთილი მანქანა, რა სათადარიგო ნაწილები აქვს მას, რა ინსტრუმენტი და სხვა.

შენიშვნა. ხელმეორედ გასაყიდი ტრაქტორის ფასი არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებელი ორგანიზაციების საწყობებიდან გასაცემი ტრაქტორებისათვის დაწესებულ ფასს.

21. მუშაობისათვის გამოუსადეგარი ტრაქტორი რეგისტრაციაში გატარებულ იქნება ამა დადგენილებით გათვალისწინებული საერთო წესისამებრ. ამასთანავე სამიწათმოქმედო განყოფილებამ უნდა აწარმოოს სრულიად უვარგისი ტრაქტორების აღნუსხვაც.

22. მუშაობისათვის გამოუსადეგარი ტრაქტორების გასხვისება სწარმოებს ამა დადგენილების 16, 17, 18, 19, 20; 23; და 24 მუხლებში აღნიშნული წესით.

23. უკეთუ მოვალის ტრაქტორზე მიქცეულ იქნა ვალის გადახდევინება, გადამხდევინებელი ორგანო მოვალეა სამისო შეტყობინება გაგზავნოს ადგილობრივ სამიწათმოქმედო განყოფილებაში, რომელსაც ასეთ შემთხვევაში უფლება აქვს ერთი თვის განმავლობაში შეიძინოს ტრაქტორი ან წარადგინოს მესამე პირის—ამა დადგენილების მე-19 მუხლში აღნიშნული ორგანიზაციის—თანხმობა მის შეძენაზე.

შენიშვნა. ტრაქტორის გასხვისება ამ შემთხვევაში მოხდება ამ დადგენილების მე-20 მუხლის წესით განსაზღვრულ ფასად.

24. გადამხდევინებელ ორგანოს შეუძლიან დანიშნოს საჯარო ვაჭრობა ტრაქტორის გასაყიდად და გაყიდოს კიდევაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ სამიწათმოქმედო განყოფილება უარს განაცხადებს ამ ტრაქტორის შეძენაზე, ან ვერ წარადგენს მესამე პირის ორგანიზაციის—თანხმობას მის შეძენაზე.

25. ტრაქტორის პატრონის მიერ ამა დადგენილების დარღვევისათვის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლიან, სამიწათმოქმედო განყოფილების წარდგენით, გადააწყვიტოს დამნაშავეს ადმინისტრატიული წესით ჯარიმა ორმოცდა ათ მანეთამდე ან სოციალური დაცვის ღონისძიება—იძულებითი მუშაობა ორ კვირამდე.

26. დაევალოს აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს და აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ლ. ქართველიშვილი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სასახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე ს. სტეფანოვი.

1928 წ. ივნისის 19.
თბილისი, სასახლე

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს, რომლებმაც მიმდინარე წელს დაამთავრეს სახ. უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტი, ორი დღის ვადაში გამოცხადდენ ამხ. ლიცინოვთან საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. საალრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში:

ილია კვანტალიანი, ივანე კვანტალიანი ილია ბერულავა, ივანე ეზიაშვილი, შალვა ხანელიძე, ალექსანდრე ხეროდინაშვილი და აგრეთვე ყველა ის პარტიული და კომკავშირის წევრები, რომლებმაც მიმდინარე წელს დაამთავრეს აღნიშნული ფაკულტეტები.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ამხ. სამსონ კოკაბიძეს და სერგო მდივანს ორი დღის ვადაში გამოცხადდენ ამხ. ლიცინოვთან საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. საალრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში.

იმ შემთხვევაში თუ ხსენებული ამხანაგი თბილისში არ იმყოფება, შეგვატყობინოს მისი ადგილმყოფელობა.

—:—

სახ. უნივერსიტეტთან არსებულ ამხ. მ. კახიანის სახ. მუშათა ფაკულტეტის კოლექტივთა ბიურო იტყობინება, რომ დღეს, 3 აგვისტოს, ქართულ მუშფაკში მოწვეულია კომპარტიის უჯრედის გაერთიანებული კრება საქ. ახ. ლ. კ. კ. უჯრედთან ერთად. დღის წესრიგშია: მოხსენება პარტიის მეორე ყრილობის 25 წლის თავის შესახებ.

დასწრება სავალდებულოა.

დამწუხრებული ცოლი თამარა, შვილები: ციცინო, ნათელა, დედმამა: ფოტინე, თომა ჯანჯღავები, დები: ედუსი, სონია, ძმები: დომენტი, ლავრენტი ჯანჯღავები აუწყებენ ნათესავთ რომ 31 ივლისს გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

პორფილე გუტუს-ძე ფარულავა

დაკრძალვა 3 აგვისტოს კუკიის სასაფლაოზე 3199

გულდამწვარი დედა კონია, ძმები: გრიშა, არუშანა, ვანიჩკა, დები: სონია, ნუცა, ვარინკა, მარუსია, ლუჩია, რძლები: ნუცია, მარუსია, სიძე მ. ბაქრაძე, აუწყებენ საზოგადოებას რომ 5 აგვისტოს გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

დავით ნესტორის ძე ლანდია ს

ხსოვნის აღსანიშნავად. 3202

სახკინმრეწვის კინოთეატრები

განთიადი	ამერიკული კინო-რომანი **რობინზონ კრუზო** 1 და 2 სერია ერთად
საზაფხულო ეთერი	ნიკოლოზ კოლინი მხატვრულ სურათში **საყვარელი მაწანწალა**
საზაფხულო დარბაზი	ახალი სურათი **ქირვეული დედაკაცი** რუფ კლიფორდის მონაწილეობით.
საზაფხულო პალასი	საინტერესო კინო-რომანი **რობინზონ კრუზო** 3 და 4 სერია
პროლეტარი ავლაბარი	**„ამერიკელი ქალის თავგადასავალი“** 5 და 6 სერია

ანონსი: ამ დღეებში კინო ეთერში მხატვრული სურათი „დიდ ქალაქში“ 0-50

მედსანშრომის საზაფხულო კლუბი
დღეს, 3 აგვისტოს
პოპულიარული სიმფონიური კონცერტი
დირიჟორი ხეიფეცის გამოსათხოვარი საღამო
პროგრამაში: გლაზუნოვი, რიმსკი-კორსაკოვი, ლიადოვი, ლიტოლფი.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
უამინდობა კონცერტს ხელს არ შეუშლის.
შემდეგი კონცერტი ხვალ, 4 აგვისტოს, ახალ მუშათა კლუბში.
5 აგვისტოს, მედსანშრომის კლუბში ცნობილი დირიჟორის ხესინის პირველი გასტროლი. ნ. 1450

ანონსი
ამ დღეებში
საუკეთესო კინოში
მხატვრული
სურათი
ცუის ზღაპარი
თვალყური
ადევნეთ რეკლამას
ნ. 1454

ქ. ონსა და მის რაიონში
გაზ. „კომუნისტ“-ზე
ხელისმოწერა და განცხადებები
მიიღება სახელგამის განყოფილებაში
ამხ. **ს. ბერიშვილთან**
5—3. მთავარი კანტორა

ქალ. ქუთაისში
გაზ. „კომუნისტ“-ზე ხელისმოწერა
ბინაზე მიტანით მიიღება კონტრაგენტ
მინა ტყაბლაძესთან
როზა ლიუქსემბურგის ქ. № 64
6—1 „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

ქ. ჭრებალოში და მის რაიონში
გაზეთ „კომუნისტ“-ზე
ხელისმოწერა და განცხადებები
მიიღება საკრედიტო ამხანაგობის ბუხჰალტერ
ამხ. **კოტე ცხვედიანთან**
6—1 „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

ბაღდადის და მის რაიონში
გაზეთ „კომუნისტ“-ზე
ხელისმოწერას და განცხადებების მიღებას აწარმოებს ადგილობრივ პროფკავშირთა წიგნის მაღაზიაში რწმუნებული
ალექსანდრე აბულაძე
6—1 „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

ზუგდიდის და ხობის უბნებთა სახ. სასამართლოების სასამართლოს აღმასრულებელი **ი. დგებუაძე**

ამით აცხადებს, რომ ის 6 აგვისტოს 1928 წ. დღის 12 საათზე, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ადგილობრივ სოფ. აბასთუმანში, ზუგდიდის მაზრა, პორფილე კოწიას-ძე კოდუას ხის სახლს გადატანით, შეფასებულს (400) ოთხასი მან. ზუგდიდის „ეპო“-ს ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ზუგდიდის მაზრის სასამართლოსაგან 26 დეკემბერს 1927 წ. თარიღით № 182 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან. 3201

ქ. ქუთაისის 2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი **დ. აშორდია**

ამით აცხადებს, რომ ის 11 აგვისტოს 1928 წ. დღის 12 საათზე დუქანში № 3, ტროიცკის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ივანე ზუბიევის ერთ შკაფს სტოლს, ქვეშაგებელს, იაშიკს და ერთ სტოლისაფარს შეფასებულს 85 მანეთად, ილიკო ძოწენიძის ვალ ს დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. ქუთ. მე-3 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 11 მაისი 1928 წ. თარიღით, № 1937 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1451

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათად. 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე

დაკარგვა: პირადობის მოწმობა № 45 მოცემული ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოდან ბარბალე ალექსანდრეს ასული ჩიგოგიძის სახელზე ჩ. გ. 3197

დაკარგვა: სიღარიბის მოწმობა № 4430 ახსწრიკ ალაჯანოვნა ავაქიანის სახელზე, ჩ. გ. 3181

დაკარგვა: საკანდიდატო პარტ. ბარათი № 21377 ტერენტი ტყეშელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3203

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი **დიმ. სიხარულიძე**

ამით აცხადებს, რომ ის 4 აგვისტოს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 51 ღვინის აღმართზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. სარიბეგოვის სასადილოს მოწყობილებას. შკაფს, არღანს, სპილენძის ქვაბებს, თეფშებს, საყინულეს და სხვებს, შეფასებულს 313 მანეთად, სახ. კვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 19 აგვისტოს 1928 წ. თარიღით, № 2335 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა 3204

ქუთ. მე-2 უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი **დ. აშორდია**

აცხადებს, რომ ის 8 აგვისტოს 1928 წ. დილის 11 საათზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ედუკი ციცხვიას სახლს № 68, მდებარე ქალ. ქუთ. პროფ. მარის ქუჩაზე, რომელიც შეიცავს ერთ თვალ საცხოვრებელ ქვიტკირის ოთახს წინ შუშაბანდით, დახურულს კრამიტით, აგებული ნაკვეთ მიწაზე ზომით 60 კვ. საჟ. სახლი შეფასებულია, 400 მან. და იყიდება ნადეჟდა კიკნაძის ვალის დასაკმაყოფილებლად; ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნულ 311 მუხლ. და 312 ს.ს. საპ. კოდ. და 10% საწინდარი. ნ. 1451

სიღნაღის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი **ქ. თ. სვიმონიშვილი**

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 4 აგვისტოს დღის 12 საათზე ს. ნუკრიანში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** მოძრავ ქონებისა ვასო კოხაშვილისა რომელიც აღწერილია ვარო ათანელიშვილის ვალში, თანახმად მაჩხაანის უბნის სახალხო მოსამართლის აღმასრულებელი ფურცლისა 26 მარტს 1928 წ. № 581. სია გასასყიდ ქონებისა: რვა კოჭი 7 არშინიანი 4X4 ვერშოკი, 48 ცალი ვერშოკიანი ფიცარი სიგრძე 6 არშინი, სიგანე 5 და 4 ვერშოკი, რეიკა 8 ცალი სიგძე 6 არშინიანი, 8 ცალი შილოვკა სიგრძე 6 არშინი, 5 შეკრული თეთრი თუნუქი 25 ფუთი, ქვიშა სამი საჟენი კუბიკური, ქვა ერთი კუბიკური საჟენი, რვა ცალი კაკლის ჩარჩო 5X5 ვერშოკი, სამი ათასი ცალი აგური. შეფასებულია სულ—321 მან. ნ. 1452

ახალ-სენაკის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებ. **ლ. კიზირია**

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 7 აგვისტოს დილის 10 საათ. დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** ქ. ახალ-სენაკში ლენინის ქუჩაზე, სადაც გაიყიდება მოქ. ეპიფანე თედორეს-ძე ქოჭუას კუთვნილი ერთ თვალიანი დუქნის შენობა ქვის და აგურის, უკან აღდგმული სამთვალიანი აგურის სალით, ლენინის ქუჩაზე, შეფასებული 1000 მან., ოჯახის ავეჯეულობა: კრაოტები, მაგიდები და სხ. შეფასებული 750 მან. და ლიმონათის ქარხანა ლაშაპელის სისტემის № 2 თავისი მოწყობილობით, შეფასებული 600 მან., დასაკმაყოფილებლად ახალ-სენაკის „ეპოსი“ და სხ. ვალისა, თანახმად აღმასრულებელი ფურცლებისა. ნ. 1453

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღის ქუჩიდან. სპეციალ. **სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.**
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 7—9 კაცებს
6—7 ქალებს.

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული. საშარდე—სასქესო ორგანოები სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25—1

თმის მკურნალობა
საექიმო-კოსმეტიკა, ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი
ს. ა. გალუსტიანი
შინაგანი, კანის და ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) სიფილისის მუწუკები, ავადმყოფების მიღება დილის 9-დან ნაშუადღევის 1 საათამდე; ქალების დღის 11-დან 1 საათამდე და საღამოს 5—7-მდე. კლარა ცეტკინის ქ. № 77 (ყოფ. ელისაბედის ქ.) ფოსტის გვერდით. 25—1

დაკარგვა: (დაზღვევის) საანგარიშო წიგნაკი № 390 ელიზბარ ქაიხოსროს ძე ყანჩელის სახელზე, ჩ. გ. 3194

დაკარგვა: წლიური პასპორტი გაცემული მე-1 რაიონის მილიციის სამმართველოდან პეტრე ივანეს ძე გალუსტოვის სახელზე, ჩ. გ. 3196

დაკარგვა: საბჭ. და სავაჭრო მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 3816 ვ. ბენდიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3198

დაკარგვა: პარტიული ბილეთი № 2883 გაცემული ქუთ. სამ.-პარტკომის მიერ აკაკი კიკვაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1451

დაკარგვა: აღმშენებელთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 14/4118 თომა სპირიდონის ძე ქართველიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3200

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.